ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რიტა პროკოპენკო

ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის ფორმები და ორგანიზება

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

13.00.02 სწავლების მეთოდიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი პედ. მეცნ. დოქტ., პროფ.
ნათელა დოღონაძე

Tbilisi, 2006

შესავალი 4

I თავი. ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის თეორიული საფუძვლები 11

1.1.სტუდენტთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი 11
1.2. მოტივაციური სტრატეგიები სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიის წარმოშობა-განვითარებისათვის 21
1.3. სტუდენტის ენობრივი და სამეტყველო უნარ-ჩვევების დონესა და დამოუკიდებელ მუშაობას შორის ურთიერთდამოკიდებულება 34
1.4. სტუდენტთა მოტივაცია უცხოურ ენაზე დამოუკიდებელი მუშაობისას 36
1.5. დამოუკიდებელი მუშაობისას შემსწავლელთა თვით-დაჯერებულობის გრძნობის გაზრდა და თვით-პატივისცემის დაცვა 57

II თავი. ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზების მეთოდური საკითხები 67

2.1. შემსწავლელზე-ორიენტირებული კურიკულუმი 67
2.2. ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში სტუდენტთა დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზება 71
2.3. კომპიუტერის როლი უცხოური ენის დამოუკიდებლად სწავლის პროცესში 78
2.4. მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის ინტერაქტივი 82
2.5. დამოუკიდებელი მუშაობა საშინაო კითხვისას 86

2.6. პროექტის ფორმით მუშაობა უცხოური ენის სწავლებისას 89
2.7. ლექსიკონზე მუშაობა ენის დაუფლების პროცესში 92
2.8. დამოუკიდებელი წერის სწავლება 94

III თავი. პედაგოგიური ექსპერიმენტი.....101

3.1. ექსპერიმენტის მიზანი და მეთოდიკა 101
3.2. ექსპერიმენტის მსვლელობა 110
3.3. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი 130

დასკვნა-რეკომენდაციები 143

გამოყენებული ლიტერატურა 148

შესავალი

საქართველოს საზოგადოების მიერ დემოკრატიის გზის არჩევამ განაპირობა როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ ურთიერთობებში ცვლილებები. აღნიშნულ ცვლილებებს საზოგადოების მხრიდან მოჰყვა მზარდი მოთხოვნა ქვეყნის მოსახლეობა უფრო მეტად ჩართულიყო სწავლის პროცესში განურჩევლად მათი ასაკისა (მაგალითად, საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურაში კანდიდატთა პროფესიული დასაქმება ხდება ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით).

მიმდინარე ტენდენციები თავისთავად წარმოშობს შემდეგი ცნების 'სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე' ('ლიფელონგ ლეარნინგ') გავრცობის აუცილებლობას. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უზრუნველსაყოფად არსებითი მნიშვნელობისაა თვითორგანიზებული, ავტონომიური ინფორმაციული წიგნიერება, რაც მოიცავს ინფორმაციის მისაწვდომობის, კვლევა-ძიების, გაანალიზებისა და გამოყენების ჩამოყალიბებული უნარების ფლობას. ამ უნარების წარმოშობა-განვითარებაზე როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლებია პასუხისმგებელი, მაგრამ უპირატესი ფუნქციონალური დატვირთვა უმაღლეს სასწავლებლებს ეკისრება.

საზოგადოებრივ ცვლილებებთან ერთად შეიცვალა სწავლების თანამედროვე თეორიაც, რამაც განაპირობა დიდაქტიკაში ისეთი მოდელის განხილვა, როგორიცაა შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება. შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება ეს არის სასწავლო გარემო, რომლის შედეგად მოსწავლე/სტუდენტი თვითონ აშენებს თავის ცოდნას სწავლის პროცესში მასწავლებლის დახმარებით, აქტიურად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში, პროგრამა ემხრობა სწავლების ინდივიდუალიზაციას, შემსწავლელები თავისუფლად იკვლევენ იდეებს, სვამენ შეკითხვებს, ცოდნასთან

ერთად ეუფლებიან უნარ-ჩვევებს, პასუხისმგებელნი არიან თავიანთ ქცევასა და სწავლაზე.

საზოგადოების ცვლილებებთან ერთად უფრო სწრაფად იცვლება ენაც (განსაკუთრებით, მისი ლექსიკა). ყოველივე ზემოთ აღნიშნული აუცილებელს ხდის ენის სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ ენობრივ მასალაზე და მისი გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირება-სრულყოფაზე, არამედ ენის შესწავლის დამოუკიდებლად გაგრძელების უნარ-ჩვევების ფორმირებაზეც. ენობრივი უნარ-ჩვევების ფორმირება-სრულყოფაზე დამოუკიდებლად მუშაობა საჭიროებს სათანადო სტრატეგიების ქონას. სპეციალური მომზადების გარეშე მოსწავლეთა/სტუდენტთა დიდ ნაწილს უჭირს დამოუკიდებლად მუშაობა.

აქედან გამომდინარე, არსებულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად უნდა უზრუნველყონ სათანადო მეთოდიკით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზებას.

ენობრივი უნარ-ჩვევების სრულყოფაზე დამოუკიდებელი მუშაობის როლის აღიარების მიუხედავად ჯერ-ჯერობით ცოტაა გაკეთებული ამ პრობლემის მეცნიერული გააზრების თვალსაზრისით. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ჩვენი კვლევის თემა **აქტუალურია**.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ინგლისური ენის სპეციალობის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების პროცესში.

კვლევის მიზანია ინგლისური ენის ფაკულტეტზე ენის დაუფლების პროცესში სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად სათანადო მეთოდიკის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინგლისური ენის სპეციალისტის პროფესიონალის დონეზე განვითარებას.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში არის წამოყენებული შემდეგი კონკრეტული **ამოცანები**:

- <u>ფსიქოლოგიურ ასპექტში</u>: შესწავლილ იქნას თითოეული სტუდენტის სწავლის ინდივიდუალური სტილი, ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებების განსაზღვრით; შემუშავებულ იქნას მოტივაციური სტრატეგიები სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიის განვითარებისათვის; უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა მოტივაცია და შესაბამისი სტრატეგიები უცხოურ ენაზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის.
- <u>მეთოდურ ასპექტში</u>: დადგინდეს დამოუკიდებლად მუშაობის როლი უცხოური ენის დაუფლების პროცესში, დამუშავდეს ეფექტური მეთოდიკა ამ მუშაობის უზრუნველსაყოფად, ექსპერიმენტულად შემოწმდეს მისი ეფექტურობა.

კვლევის შედეგად მიღებული <u>დასკვნების საიმედოობა</u> უზრუნველყოფილია თემაზე არსებული ლიტერატურის ღრმა ანალიზით, ანკეტირებისა და ექსპერიმენტული სამუშაოს მასშტაბით, შედეგების სტატისტიკური დამუშავებით.

ამ ამოცანათა გადასაწყვეტად ნაშრომში გამოყენებულია **კვლევის შემდეგი მეთოდები**:

- საკვლევი თემის შესახებ არსებული მეთოდური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ლიტერატურის ანალიზი;
- არსებული სახელმძღვანელოებისა და მათში დართული სავარჯიშოების შესწავლა-ანალიზი;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვება;
- ექსპერიმენტული სწავლება;
- საკონტროლო ექპერიმენტით მიღებული შედეგების სანდოობის დადგენა;
- ტესტებისა და ანკეტირების შედეგების სტატისტიკური დამუშავება.

არსებული ლიტერატურის ღრმა ანალიზითა და სასწავლო პროცესზე დაკვირვებით ჩამოვაყალიბეთ <u>კვლევის ჰიპოთეზა</u>: უცხოური ენის ფაკულტეტზე სტუდენტთა დამოუკიდებლად მუშაობა

უზრუნველყოფილი იქნება და ენის შესწავლის ეფექტურობა მკვეთრად გაიზრდება, თუ:

- მთავარ პირობად გავხდით სტუდენტთა მზარდ მონაწილეობასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას სწავლა-სწავლების პროცესში. მათ უნდა იგრძნონ, რომ ისინი ნაწილობრივ მაინც აკონტროლებენ იმას, რაც მათ აქვთ შესასწავლი;

- ცვლილებას შევიტანთ მასწავლებლის როლში და მასწავლებელი აითვისებს მუშაობის თანამედროვე, ფასილიტატორულ სტილს;

- დავადგენთ სტუდენტთა ზოგად და სპეციფიკურ (პროფესიულ) ინტერესებს ენის დაუფლების პროცესის მიმართ ანკეტირების ან სავარჯიშოების სახით,

- ნაკლებად მოტივირებულ ან თავდაჯერებულ სტუდენტებს უზრუნველვყოფთ:

ა) ენობრივად / შინაარსობრივად მისაწვდომი დავალებებით,

ბ) დამოუკიდებელი მუშაობის სტრატეგიების შესამუშავებლად ეტაპობრივი მუშაობის გატარებით,

გ) მრავალსახიანი მოტივებით,

დ) იმის ახსნით, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მუშაობა ენის წარმატებული შესწავლისათვის და ასევე იმით, რომ დამოუკიდებელი მუშაობა ენის შესწავლაზე დადებით ეფექტს ახდენს არა მხოლოდ ენის სწავლაზე გაზრდილი დროის ხარჯზე, არამედ ეხმარება მათ სწავლის პროცესის უკეთესი გააზრების, "გათავისების" მიზნით. დამოუკიდებელი მუშაობა შედარებით სუსტ სტუდენტებსაც შეუძლიათ, თუ ისინი მარტივ მასალას გამოიყენებენ;

- სავარჯიშოთა შესრულებისას დამოუკიდებლად მუშაობის უნარის შესამუშავებლად პირველ ეტაპზე სტუდენტებს სავარჯიშოებს მეცადინეობაზე დავამუშავებინებთ, ხოლო შემდეგ – მივცემთ შინ შესასრულებლად, მომდევნო ეტაპზე - უცნობი სახის მარტივი და გასაგები ფორმულირების დავალებებს მივცემთ შინ გასაკეთებელად და ბოლოს – ლექსიკურ-გრამატიკული მასალის მითითებით ვთხოვთ

სტუდენტებს გარკვეული რაოდენობის უკვე ნაცნობი საავარჯიშოები შეადგინონ (სტუდენტები თვითონ ირჩევენ კონკრეტულ საავარჯიშოებს);

- მივცემთ სტუდენტებს თვითკონტროლისა და ურთიერთკონტროლის საშუალებას, თვითკონტროლი და ურთიერთკონტროლი გაზრდის სტუდენტთა თვითდაჯერებულობის გრძნობას და დაეხმარება მათ აღარ დაუშვან მსგავსი შეცდომები შემდგომში.

<u>ნაშრომის მეცნიერული სიახლე.</u> დისერტაციაში შეთავაზებულია უცხოური ენის ფაკულტეტზე ენის დაუფლების პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზების მეთოდიკა, რაც შეესაბამება თანამედროვეობის მოთხოვნებს. ნაშრომში გაანალიზებული და სისტემატიზირებულია ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და მეთოდური მონაცემები, რომელთა ასახვაც აუცილებელია დამოუკიდებლი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

სადისერტაციო ნაშრომის <u>თეორიული ღირებულება</u>. დისერტაციაში გამოკვლეულია შემდეგი საკითხები: დამოუკიდებლად მუშაობის ფსიქოლოგიური ბუნება, ფაქტორთა მრავალსახეობა სტუდენტთა ინდივიდუალური სტილის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამოუკიდებლად მუშაობის აღმძრელი მოტივები.

კვლევის <u>პრაქტიკულ ღირებულებას</u> შეადგენს ჩვენს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს უცხოური ენის ფაკულტეტზე სტუდენტთა დამოუკიდებლად მუშაობის უზრუნველყოფაში და ენის დაუფლების პროცესის ეფექტურობის გაზრდაში. უფრო მეტიც, კვლევის მასალები და დასკვნა-რეკომენდაციები სარგებლობას მოუტანს მათ, ვინც მოინდომებს გაიუმჯობესოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები.

<u>ნაშრომის აპრობაცია.</u> კვლევის ძირითადი დებულებები ასახულია 3 სამეცნიერო პუბლიკაციაში. დისერტაციამ აპრობაცია გაიარა ილია

ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკურ დისციპლინათა მოდულის სხდომაზე (ოქმი № 8, 2006 წ. 27 აპრილი).

დასაცავად გამოტანილი დებულებები:

1. უცხოური ენის სწავლების პროცესში სტუდენტთა დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სტუდენტებში პასუხისმგებლობის გრძნობისა და ავტონომიის განვითარება. ამ მიზნით, მასწავლებელმა უნდა მისცეს სტუდენტებს საშუალება, მიიღონ აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესის ორგანიზებაში.

2. ამ მიზნით, ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ შემსწავლელთა არჩევანს არსებული სტანდარტული სასწავლო გეგმის კონკრეტული ჯგუფის ინტერესებისადმი ადაპტირებისათვის.

3. შემსწავლელზე-ორიენტირებულ სისტემაში სტუდენტები არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, სასაუბრო თემატიკის, ტექსტებისა და სავარჯიშო-დავალებების შერჩევა-შედგენაში, არამედ საკუთარი მიღწევების შეფასებაშიც უნდა გახდეს ცენტრალური ფიგურა.

4. საშინაო (ან ე.წ. ექსტენსიური) კითხვა არის საგანი, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი შინ (და, მაშასადამე, მასწავლებლისაგან დამოუკიდებლად) სრულდება. თუმცა, დამოუკიდებლობისათვის სტუდენტს სათანადო ენობრივი, სტილისტური და ლიტერატურული ანალიზის უნარ-ჩვევები სჭირდება, რომელთა ჩამოყალიბებასაც სათანადო დავალებები უნდა ემსახურებოდეს. მათი შესრულება პირველ ეტაპზე (ერთი-ორი თვე) აუდიტორიაში უნდა მოხდეს, შემდგომში – ნაწილობრივ შემოწმდეს აუდიტორიაში და ბოლოს – მთლიანად დამოუკიდებლად. ტექსტის გაგებისა და შინაარსის გადმოცემის უნარი სტუდენტების მიერ შედგენილი კითხვების შეჯერებით და შემდგომ პასუხის გაცემით უნდა შემოწმდეს. თითქმის ყველა შეეცდება მათვე მიერ შედგენილ კითხვებზე პასუხი გასცეს.

5. პროექტის ფორმით სწავლების მეთოდის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში მიმართულია სტუდენტების აქტიური დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისაკენ. იგი უზრუნველყოფს ინფორმაციის, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი იძლევა, არა მხოლოდ დამახსოერებას, არამედ მის რეალიზებას პრაქტიკაში.

6. უცხოური ენის სწავლების პროცესში, თანამედროვე მეთოდების შესაბამისად, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს კომპიუტერის მეშვეობით კომუნიკაციას ენობრივ ჯგუფებში. მაგალითად.: ქსელური (ონ-ლინე) კომუნიკაციის გამოყენება მასწავლებელსა და ინდივიდუალურ სტუდენტს შორის, სტუდენტებს შორის ან დისტანციური ინტერაქტივი სტუდენტებსა და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის (ე-მაილ, ცჰატ, მესსენგერ).

უცხოური ენის ფაკულტეტის სტუდენტი საკმარის დონეზე ფლობს შესასწავლ ენას, რათა დამოუკიდებლად გაიღრმაოს მისი ცოდნა კომპიუტერის გამოყენებით, რომელიც ენის შესწავლის თავისებურ ხიდს წარმოადგენს, მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და სრულიად დამოუკიდებელ მუშაობას შორის.

<u>დისერტაციის სტრუქტურა</u>

დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნა-რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

I თავი. ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის თეორიული საფუძვლები

1.1. სტუდენტთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი

ყოველად შეუძლებელია ვიმსჯელოთ სტუდენტთა დამოუკიდებლად მუშაობაზე მათი ასაკობრივი ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლად. დღესდღეობით საქართველოში სტუდენტური ასაკი 17 წლიდან იწყება. ეს კი ისეთი ასაკია, რომელსაც წინ უძღვის მოზარდის განვითარების კრიტიკული პერიოდი. კრიტიკული პერიოდი მოიცავს მოზარდის როგორც ფიზიკურ, ისე კოგნიტურ განვითარებას. ამ პერიოდში მოზარდები, ბავშვებისაგან განსხვავებით, გამოირჩევიან ლოგიკური მსჯელობით, შეუძლიათ აბსტრაქტული ცნებებით ოპერირება კონკრეტული ობიექტებისაგან დამოუკიდებლად, მნიშვნელოვანი ფაქტის გააზრება და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტით სწორი გადაწყვეტილების მიღება. შრომითი საქმიანობისათვის მზადებაც მოზარდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ პერიოდში. გააზრებული და რეალისტური არჩევანი საშუალებას აძლევს მას კარიერის არჩევით წინასწარ განსაზღვროს მომავალი (თუმცა ეს შეიძლება იყოს მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული: მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები, გენდერულ და კულტურულ ფაქტორებზე) [იმედაძე, 2005].

კოგნიტური განვითარების გარდა, მოზარდები კრეატული, შემოქმედებითი ინდივიდუალურობითაც გამოირჩევიან. მოზარდობის ასაკში შეიძლება ითქვას, რომ მათი საგრძნობი ნაწილი ინტერესს მოკლებულია შემეცნებითი ქმედებების მიმართ. მათ შორის არიან როგორც გონებრივად ნაკლებად განვითარებული ახალგაზრდები, ისე იმ მშობელ-მასწავლებელთა მსხვერპლიც, რომლებმაც ხელი არ შეუწყეს ამ ბუნებრივი თვისების განვითარებას. ამასთანავე არიან მოზარდები, რომლებიც იჩენენ ჭეშმარიტ ინტერესს სწავლასა და შემოქმედებისადმი. სტუდენტობის ეტაპისთვის მათი ინტელექტის

განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული შემოქმედებით უნართან, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ინფორმაციის ათვისებას, არამედ ინტელექტუალური ინიციატივის გამუღავნებას და უნარს, შექმნან რაიმე ახალი.

დღესდღეობით შემოქმედების მნიშვნელოვან ინტელექტუალურ კომპონენტად ითვლება მოზარდებში დივერგენტული აზროვნების ჩამოყალიბება, რომელიც ითვალისწინებს ერთ კითხვაზე რამოდენიმე სწორი და ლოგიკური პასუხის გაცემას. კონვერგენტული აზროვნება კი, პირიქით, ორიენტირებულია მხოლოდ ერთ სწორ პასუხზე.

თუმცა პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალი მისი ინტელექტის ხარისხს არ ემთხვევა, ფსიქოლოგების მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ უბრალო მიზანშეწონილი ქმედებისაგან განსხვავებით, შემოქმედებითობას გააჩნია მიზანმიმართული ხასიათი. აქედან გამომდინარე, ინტელექტუალური შემოქმედება გვევლინება კერძო შემთხვევად სუბიექტის აქტიურობის საერთო თვისებებიდან გამომდინარე. ეს თვისებები ნებისმიერ ქმედებაში შეიძლება გამომუღავნდეს, მაგალითად, სოციალურ აქტიურობაში, მხატვრულ შემოძმედებაში და ა.შ. ამასთანავე შეგვიძლია დავამატოთ, რომ შემოქმედებითობის ასაკობრივი პარამეტრები და მისი თანმხლები პიროვნული თვისებები დღესდღეობით ნაკლებადაა შესწავლილი.

კრეატულობა, ენის შესწავლის უნარისა და ცურვის დაუფლების მსგავსად, ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, თუმცა, თუ მათ განვითარებას არ შეეუწყობთ ხელს, ადამიანი ამ უნარებს კარგავს. დედაენისა და უცხოური ენის შესწავლასთან დაკავშირებით არსებობს ცნება "კრიტიკული ასაკი", რომლის შემდეგაც ენის შესწავლის პირველად დაწყება უიმედოა (მშობლიური ენისთვის, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ასეთი "ზღვრული" ასაკია 5-9 წელი, უცხოური ენისთვის – 14, 25 ან 40 წელი) [Lightbown, 1993]. მსგავსი ცნება, ალბათ, შეიძლება გამოყენებულ იქნას კრეატულობის მიმართაც, თუმცა ცნობილია შემთხვევები, როცა ადამიანს ძალიან სოლიდურ

ასაკში პირველად მოუკიდია ხელი შემოქმედების ამა თუ იმ ფორმისათვის. პირადი გამოცდილება და მოცემულ პრობლემაზე ლიტერატურა ადასტურებს ჩვენს აზრს იმის თაობაზე, რომ სტუდენტური ასაკი კრეატულობის განვითარების თვალსაზრისით უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდია.

რაც შეეხება შემოქმედებით ადამიანთა პიროვნულ თვისებებს, ამერიკელი ფსიქოლოგების [Парлоф, 1968 იხ. Реан, 2001 გვ. 329] გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ უფრო შემოქმედებითი ადამიანები, ასაკისა და ინტერესთა მიმართულების მიუხედავად, სხვა ადამიანებისაგან განსხვავდებიან განვითარებული ინდივიდუალურობის გრძნობით, სპონტანური რეაქციის არსებობით, საკუთარ ძალებზე დაყრდნობისა და ემოციური სისხარტის უნარით, დამოუკიდებლად მუშაობის სურვილითა და ამავდროულად თვითდაჯერებულობის გრძნობით, გაწონასწორებულობითა და შეუპოვრობით (სიმტკიცით). ამ თვისებების მიხედვით სწავლულებმა ასაკობრივი განსხვავება ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ სხვა პიროვნულ თვისებებში, რომელსაც პირობითად „დისციპლინირებული ეფექტურობა" შეარქვეს, გაერთიანდა ისეთი თვისებები, როგორიცაა: თვითკონტროლი, მიღწევისადმი მოთხოვნილება და კეთილდღეობის გრძნობა. გამოკვლევების შედეგებმა უჩვენა მოცემული პრობლემის მკვლევარებს, რომ შემოქმედი ზრდასრულები უფრო დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან, ვიდრე მოზარდი შემოქმედნი.

ამერიკელი მეცნიერების დაკვირვებებმა ასაკობრივ თავისებურებებზე მიიყვანა ისინი დასკვნამდე, რომ შემოქმედებითობა, ერთის მხრივ, არის უნარი გათავისუფლდე ბანალური შეხედულებებისა და აკრძალვებისაგან, მოძებნო ახალი ასოციაციები და ახალი მიდგომები წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად, ხოლო მეორეს მხრივ, გულისხმობს ადამიანის განვითარებული თვითკონტროლის არსებობას, ორგანიზებულობას, თვითდისციპლინას.

ამასთანავე შეიძლება ხაზი გავუსვათ, რომ კონკრეტული პიროვნული თვისებები შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული მოზარდებისა არსებითად განსხვავდებიან, რაც დამოკიდებულია ადამიანის მოღვაწეობის სფეროზე. მაგალითად, ი.პავლოვის აზრით, მეცნიერული შემოქმედობითობა უნდა ეთანხმებოდეს საერთო მაღალი ინტელექტის მაჩვენებლებს, აბსტრაქტულ-ლოგიკური მსჯელობის უნარს, რაც სავსებით არ არის საჭირო მხატვრებისთვის, რომლებშიც ყველაზე ხშირად ხატოვანი აზროვნება ჭარბობს.

ბავშვის კოგნიტური სფეროს განვითარების კიდევ ერთ თავისებურებად მოზარდობის ასაკში გვევლინება ის, რომ გონებრივი განვითარება იმდენად არაა დამოკიდებული გარკვეულ დაგროვილ გამოცდილებაზე (ცოდნაზე) და მისი ინტელექტის ცალკეული თვისებების ცვლილებებში, რამდენად გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილის ფორმირებაზე.

მოქმედების ინდივიდუალური სტილი, კლიმოვას განსაზღვრებით, არის "ინდივიდუალურ-თავისებური სისტემა ფსიქოლოგიური საშუალებებისა, რომელსაც ადამიანი ცნობიერად ან სტიქიურად ესწრაფვება მისი (ტიპიურად განპირობებული) ინდივიდუალურობის საგნობრივი, ქმედების გარე პირობებთან საუკეთესოდ გაწონასწორების მიზნით."

მკვლევარების უმრავლესობა თვლის, რომ შემეცნებით პროცესებში ქმედების ინდივიდუალური სტილი გვევლინება, როგორც აზროვნების სტილი, ე.ი. ინდივიდუალური ვარიაციების მყარი (მდგრადი) ერთობლიობა აღთქმის, დამახსოვრებისა და აზროვნების საშუალებებში, რასაც თან ახლავს ინფორმაციის შეძენის, გააზრების, გადამუშავებისა და გამოყენების სხვადასხვა გზები.

მოზარდის აზროვნების სტილი გარკვეულ წილად განისაზღვრება მისი ნერვული სისტემის ტიპის მიხედვით, მაგალითად: ინერტული ნერვული სისტემის მქონე მოზარდები სასწავლო მასალით გადატვირთვის შემთხვევაში უფრო ცუდად სწავლობენ, ვიდრე სწრაფი

ნერვიული სისტემის მფლობელები, რადგან ისინი ვერ ეწევიან სასწავლო პროცესის სწრაფ ტემპს. თუმცა უსამართლო იქნებოდა ინტელექტუალური შემოქმედებითობა დაგვეკავშირებია მხოლოდ მოზარდის ნერვიული სისტემის თავისებურებებთან, რამდენადაც ნერვიული სისტემის ტიპით გამოწვეული სწავლის ხარვეზები შეიძლება ანაზღაურდეს შემსწავლელის სხვა თვისებებზე დაყრდნობით. ასე რომ ინერტული ნერვიული სისტემის მქონე პიროვნებები თავიანთ "დაყოვნებას", არადროულ რეაქციას ანაზღაურებენ უფრო გულმოდგინე დაგეგმარებითა და თავიანთი მოქმედების კონტროლით. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ყოველი სტუდენტისადმი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობას.

უცხოური ენის დაუფლებისას კრეატულობა შეიძლება მიმართული იყოს თვით ენაზე (მაგალითად, საკუთარი ინიციატივით კითხვა, თემების დაწერა, თარგმანის შესრულება, შესასწავლი ენობრივი მასალის თავისებური ორგანიზება სამუშაო რვეულში, პირად ლექსიკონში, სავარჯიშოების შედგენა და ა.შ.) და უცხოურ ენაზე გამოხატული სხვა საგნობრივ ან სპეციალურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე (სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ლიტერატურის გამოყენებით მოხსენებების მომზადება, თვალსაჩინოების შექმნა და სხვ.)

პიროვნული თვისებების გარდა, კრეატულობის განვითარებისათვის დიდი როლი **აღზრდა-განათლების** პირობებს უკავია. ასე რომ ნიჭიერ მოზარდს გაძნელებული თვითგამოხატულებით შეიძლება ახასიათებდეთ მღელვარება და ნერვიულობა, რაც სავსებით არ ახასიათებთ იმათ, ვისაც სკოლა და ოჯახი დაეხმარა ნიჭის, უნარის აღმოჩენასა და რეალიზაციაში. მიუხედავად ამ ფაქტისა, უამრავი ფსიქოლოგიური გამოკვლევა მიუთითებს იმაზე, რომ შემოქმედებითი მიღწევები სტატისტიკურად არ უკავშირდება აკადემიურ მოსწრებას სკოლაში [Хоген, 1980 იხ. Реан, 2001 გვ.]. მაგალითად, ცნობილი ადამიანების უმრავლესობა სასკოლო და სტუდენტურ წლებში

გამოირჩეოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრებით და ითვლებოდნენ უნიჭო ან საშუალო მოსწავლეებად. მათ რიცხვს ეკუთვნიან: დარვინი, ჰეგელი, ვაგნერი, ვერდი, შილერი, სვიფტი, შერიდანი, ნიუტონი, ჰაინე, პრისტლი და ა.შ. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ სასკოლო პროგრამა მკაცრად რეგლამენტირებულია, ხოლო ბავშვებისა და მოზარდთა შემოქმედებითობა მეტწილად არასტანდარტულობაში მჟღავნდება, ამ თვალსაზრისით ყოველი მასწავლებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ფსიქოლოგთა ხედვა მოზარდთა შემოქმედებითობის (კრეატულობის) შესახებ, შეისწავლოს თითოეული სტუდენტის შემოქმედებითობის ინდივიდუალური სფეროს არსი და მთავარ ამოცანად დაისახოს მათი გათვალისწინება სწავლების პროცესში და სტიმულირება სასურველი კუთხით [Реан, 2001].

სტუდენტთა კრეატულობის დონის გათვალისწინების გარდა, მასწავლებელი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს კვლევებს შემსწავლელთა ტიპების შესახებ, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის მიმართულებას განსაზღვრავს.

ტ.რაიტი შემსწავლელთა ოთხ ტიპს აღწერს:

1. "ენთუზიასტი" შემსწავლელი, რომელიც მასწავლებელს უყურებს როგორც ინფორმაციის წყაროს და გააჩნია დასახული ამოცანა სწავლების პროცესის შესახებ;
2. "იდუმალი" შემსწავლელი, რომელიც აგრეთვე ეყრდნობა მასწავლებელს, მაგრამ მეტადაა ორიენტირებული პირადი მიზნების დასაკმაყოფილებლად;
3. "მონაწილე", რომელიც ჯგუფურ მიზნებსა და სოლიდარობაზეა კონცენტრირებული;
4. "მეამბოხე", რომელიც უშუალოდ თავისი ინიციატივებით ჯგუფისაკენაა მიმართული, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მიზნების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. [Wright, 1987]

ქ.ვილინგის მოსაზრებით, სტუდენტები შეიძლება დაიყოს შემდეგი ტიპის შემსწავლელებად:

1. "კონვერჯერები" განეკუთვნებიან იმ სტუდენტთა რიცხვს, რომლებიც ბუნებით მარტოები, დამოუკიდებლები და თავიანთ შესაძლებლობებში დარწმუნებულები არიან, ერიდებიან ჯგუფს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მათი ანალიტიკურობა და უნარია, მოიწონონ საკუთარი სტრუქტურა სწავლის პროცესში. ისინი ცივები და პრაგმატულები არიან.

2. "კონფორმისტები" არიან სტუდენტები, რომლებიც ირჩევენ "სწავლას სწავლისათვის", რათა შეძენილი ცოდნა გამოიყენონ მომავალში. ისინი დამოკიდებულები არიან უფროსებზე და ზედმიწევნით მუშაობენ არაკომუნიკაციურ ჯგუფებში. ისინი აკეთებენ იმას, რასაც მათ ეუბნებიან. კონფორმისტების ჯგუფი ის ჯგუფია, რომლის წევრებსაც ურჩევნიათ საქმე იქონიონ კარგად ორგანიზებულ მასწავლებელთან.

3. "კონკრეტული" შემსწავლელები კონფორმისტებს გვანან, იზიარებენ სწავლების სოციალურ ასპექტებს და მოსწონთ ჩვეული გამოცდილებით სწავლა. მათ ენა აინტერესებთ მხოლოდ როგორც საკომუნიკაციო საშუალება და არა როგორც სისტემა, მოსწონთ თამაშები და ჯგუფური მუშაობა.

4. "კომუნიკაციური" შემსწავლელები ენის გამოყენებაზე ორიენტირებული სტუდენტები არიან. ისინი მყუდროდ გრძნობენ თავს აუდიტორიის გარეთაც და ამჟღავნებენ თავდაჯერებულობასა და რისკისთვის მზადყოფნას, რაც სხვა ტიპის შემსწავლელებს აკლიათ. მათ უფრო მეტად აინტერესებთ სოციალური ურთიერთობები სხვა მოსაუბრეებთან, ვიდრე ანალიზი იმისა, თუ როგორ მუშაობს ენის მექანიზმი. შესანიშნავად გრძნობენ თავს მასწავლებლის ზედამხედველობის გარეშე [Willing, 1989].

ტ.რაიტი და ქ.ვილინგი გვირჩევენ კატეგორიებად დავყოთ შემსწავლელები, გავითავისოთ მათი ინდივიდუალური თავისებურებები დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზებისათვის, რაც უზრუნველყოფს

თითოეული სტუდენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და გახდის მათი სწავლების პროცესს უფრო ნაყოფიერს, ვიდრე აქამდე იყო.

ყოველი სტუდენტი, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, კონკრეტულ ენობრივ ასპექტებში გამოირჩევა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არსებობს სხვაობა აზროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებს შორის ენის სწავლისას. ერთიდაიგივე სტიმულზე სხვადასხვა პიროვნება სხვადასხვაგვარად ახდენს რეაგირებას. როგორ უნდა მივუდგეთ ასეთ შემთხვევაში თითოეულ სტუდენტს? რამდენად ეფექტური აღმოჩნდება მათთვის ის მეთოდები, რომლითაც ვასწავლით? არსებობს ორი თეორია ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ, რომელსაც მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ ენის შემსწავლელ სტუდენტთა მიმართ:

1. ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება: ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების პრაქტიკოსების მიხედვით (Neuro-Linguistic Programming (NLP)) ადამიანები იყენებენ "ძირითად შემეცნებით სისტემას" (primary representational system), რათა შეიცნონ სამყარო, რომელიც გამოხატულია აკრონიმით VACOG: V —visual - მხედველობითი, A — auditory - სმენითი, C — kinaesthetic კინესთეტური (მოძრაობითი), O — olfactory - ყნოსვის, G — gustatory -გემოს. ყოველი ადამიანი იყენებს მთელ ამ სისტემას სამყაროს შესაცნობად, მიუხედავად ამისა, ერთი გამორჩეული, ძირითადი ელემენტი სისტემისა დომინირებს თითოეულ მათგანში. ეს ყოველივე იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი სტუდენტი აღიქვამს მეტ შესასწავლ მასალას, როცა მას მხედველობითი საყრდენი გააჩნია, ე.ი. ამ ტიპის სტუდენტებს განვითარებული აქვთ მხედველობითი აღქმის უნარი, ხოლო ზოგი კი – როცა ისმენს (სმენითი აღქმის უნარი). თუმცა არსებობს გარკვეული კვლევები არომატების გამოყენებაზე სასწავლო მასალის უკეთესი შეთვისების მიზნით, რასაკვირველია, ენის ტრადიციული სწავლებისას გასათვალისწინებელია, თუ ისინი ეკუთვნიან აუდიალებს, ვიზუალებსა თუ კინესთეტებს.

2. MI (Multiple Intelligences) არის თეორია, რომელიც ჰარვარდის ფსიქოლოგს ჰ.გარდნერს ეკუთვნის [Gardner, 1993]. თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: ადამიანები არ არიან მხოლოდ და მხოლოდ ერთი გონებრივი უნარის მატარებლები, არამედ რამოდენიმე გონებრივი უნარი აქვთ განვითარებული. ფსიქოლოგმა შვიდი მათგანი ჩამოთვალა:

1. მუსიკალურ/რითმული.
2. ვერბალურ/ლინგვისტური.
3. ვიზუალურ/სივრცითი.
4. ფიზიკურ/კინესთეტური.
5. ლოგიკურ/მათემატიკური.
6. ინტრაპერსონალური.
7. ინტერპერსონალური.

მისი აზრით, ყოველ ადამიანს ეს უნარები რაღაც დონეზე აქვს განვითარებული, მაგრამ ყოველ პიროვნებაში ერთ-ერთი მათგანი უფრო ძლიერადაა განვითარებული. ყოველივე ზემოთქმულმა ნება დართო გარდნერს გამოეტანა დასკვნა, რომ ლოგიკურ/მათემატიკური გონებრივი უნარის მქონე ადამიანის ადგილი მეცნიერებაშია, ხოლო ვერბალურ-ლინგვისტურისა – ჟურნალისტიკაში, მწერლობასა და ენის სწავლა-სწავლებაში. გარნერმა კიდევ ერთი (მერვე) გონებრივი უნარი დაამატა მის ჩამონათვალს და დაარქვა მას "ნატურალისტური" გონებრივი უნარი [Gardner, 1993], რომელიც მოიცავს უნარს ამოიცნო და კლასიფიკაცია მოახდინო ბუნებაში არსებული საგნებისა/მოვლენებისა. დანიელ გოულმენმა კი დაამატა მეცხრე – "ემოციური" უნარი [Goleman, 1996], რომელიც მოიცავს უნარს კონტროლი გაუწიო იმპულსსა და თვითმოტივირებას.

თუ დაეუშვებთ, რომ სხვადასხვა ადამიანებში დომინირებენ სხვადასხვა გონებრივი უნარები, ეს ყოველივე ისევ და ისევ იმაზე მეტყველებს, რომ ერთიდაიგივე სასწავლო დავალება ვერ დააკმაყოფილებს ყველა სტუდენტის მოთხოვნილებებს, რადგან

სტუდენტებს ლოგიკურ/მათემატიკური გონებრივი უნარით ძალუძთ კარგად უპასუხონ რთულ გრამატიკულ განმარტებებს, სხვები კი მოითხოვენ დიაგრამებს და ფიზიკურ დემონსტრირებას, რადგან ისინი ვიზუალურ/სივრცით სფეროში უფრო ძლიერები არიან, დანარჩენები, რომლებსაც ინტერპერსონალური გონებრივი უნარი აქვთ განვითარებული, საჭიროებენ უფრო ინტერაქტიულ კლიმატს მათი სწავლების ეფექტურობისათვის [Harmer, 2001].

მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს სტუდენტებს აქამდის არ გამოუმჟღავნებიათ კრეატულობა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, ამის კარგი წინაპირობები არსებობს უმაღლეს დაწესებულებაში სწავლისასაც. რასაკვირველია, ამისთვის მასწავლებელმა სათანადო პირობები უნდა შექმნას. უცხოური ენის შესწავლის პროცესში დამოუკიდებელი მუშაობისთვის ხელშეწყობა შემდეგში გამოიხატება:

- ერთი და იგივე მასალის შესათვისებლად სხვადასხვა ხერხების შეთავაზება მასწავლებლის მხრიდან, იმ ხერხების ხშირი გამოყენება, რომელსაც თვითონ სტუდენტები შემოგვთავაზებენ;
- უცხოურ ენაზე სხვადასხვა (მხატვრული, სამეცნიერო, საზოგადოებრივი) სახის შემოქმედებითი დავალებების მიცემა სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით;
- როგორც აუდიტორიული, ისე აუდიტორიის გარეთ მუშაობისას სტუდენტთა აზრის გათვალისწინება მუშაობის ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით;
- შფოთვის მოხსნა, მეგობრული ატმოსფეროს შექმნა; სტუდენტებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი ინიციატივა მხარდაჭერით სარგებლობს;
- "ენთუზიასტი", "იდუმალი" და "კონფორმისტი" სტუდენტებისთვის მასწავლებელი შემოქმედების ნიმუშად უნდა გამოდიოდეს;
- "მონაწილე" სტუდენტებისთვის კოლექტიური შემოქმედებისთვის ხელშეწყობა (მაგალითად, პროექტების ჯგუფური შერსულება);

- “მეამბოხე” და “კონვერჯერი” სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინდივიდუალური შემოქმედებითი კონკურსების ჩატარება;
- “კონვერციული” და “კომუნიკაციური” სტუდენტებისთვის რეალურად კომუნიკაციური დავალებების უზრუნველყოფა;
- ისეთი შემოქმედებითი დავალებების მიცემა, რომელიც ითვალისწინებს აუდიალურ, ვიზუალურ და მოძრაობით ასპექტს,
- სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა უცხოურ ენაში უნდა შეიცავდეს სიმღერების შესრულებას, თეატრალურ დადგმებს, სამეცნიერო მოხსენებებს, სტუდენტ-მასწავლებლების ანკეტირებას, კედლის გაზეთისთვის სტატიების წერას, მათ ილუსტრირებას, სხვადასხვა თემატიკაზე დისპუტების ჩატარებას და ა.შ.

1.2. მოტივაციური სტრატეგიები სტუდენტში პასუხისმგებლობისა და ავტონომიის წარმოშობა-განვითარებისათვის

რაში მდგომარეობს შემსწავლელის პასუხისმგებლობა? როგორ შეიძლება აღვწეროთ პასუხისმგებელი შემსწავლელი? ასრულებენ ისინი ყოველთვის საშიანაო დავალებებს და მიყვებიან მასწავლებლის მითითებებს? კარგად მუშაობენ ჯგუფში? ან იღებენ საკუთარ თავზე დაფის გაწმენდას? არიან ბეჯითნი და მორჩილები?

პასუხისმგებელი შემსწავლელები არიან შემსწავლელები, რომლებიც აცნობიერებენ აზრს იმის შესახებ, რომ მათი მონდომება არის გადამწყვეტი სწავლაში პროგრესის მისაღწევად, და შესაბამისადაც იქცევიან. აქედან გამომდინარე, როცა ისინი დავალებას ასრულებენ ან კითხვაზე პასუხობენ კლასში, იმას კი არ ცდილობენ, რომ მასწავლებელს ასიამოვნონ ან მიიღონ კარგი ნიშანი, არამედ უბრალოდ ცდილობენ გაიღრმავონ ცოდნა.

პასუხისმგებელი შემსწავლელები არ ამჟღავნებენ განსაკუთრებულ მოწონებას ჯგუფური მუშაობის მიმართ, მაგრამ სურთ ითანამშრომლონ მასწავლებელთან და ჯგუფის წევრებთან

ყველას სასარგებლოდ. თანამშრომლობა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყოველთვის უსიტყვოდ ემორჩილებიან მითითებებს. მათ შეიძლება სავარჯიშოს შესრულებამდე დასვან კითხვა მის მიზანზე, ან გამოთქვან აზრი სავარჯიშოს გაუმჯობესების შესაძლებლობის თაობაზე.

საბოლოოდ მივდივართ დასკვნამდე, რომ პასუხისმგებელმა შემსწავლელებმა შეიძლება ყოველთვის არ შეასრულონ დავალება, მაგრამ როდესაც კი არ ასრულებენ, ისინი ათვითცნობიერებენ შესაძლებლობის დაკარგვას გაეღრმავებინათ ცოდნა უცხოური ენის დაუფლებისათვის. ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ ისინი შეგნებულად აკონტროლებენ საკუთარ პრ̣ოგრესს, და ძალდონეს არ იშურებენ არსებული შესაძლებლობის· თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებისათვის, საკლასო სავარჯიშოებიდან დაწყებული საშინაო დავალებით დამთავრებული.

თეორიაში შემსწავლელთა ავტონომია შეიძლება აიხსნას როგორც თავისუფლება და შესაძლებლობა მართო საკუთარი საქმეები აკეთო, რაც მოიცავს გადაწყვეტილების მიღების უფლებასაც.

პასუხისმგებლობაში შეიძლება იყოს ნაგულისხმევი, იყო რამეზე პასუხისმგებელი, მაგრამ იმ აზრით, რომ გაუმკლავდე საკუთარი მოქმედების შედეგებს. ავტონომია და პასუხისმგებლობა ორივე მოითხოვენ აქტიურ მონაწილეობას, და ამდენად ისინი აშკარად ურთიერთდამოკიდებულნი არიან.

პრაქტიკაში ამ ორი კონცეფციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მეტად ძნელია, შემდეგი სამი ქცევის გათვალისწინებით:

1. მასწავლებლის ახსნის გაწყვეტა კითხვის დასმის მიზნით.
2. უცხო სიტყვის სახლში განმტკიცება, რომელიც მასწავლებელმა მეცადინეობაზე გამოიყენა, მაგრამ არ "ასწავლა".
3. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, როცა შემსწავლელი მოიკოჭლებს გაკვეთილის თემაზე.

ამ სამივე შემთხვევაში, შემსწავლელები იქცევიან პასუხისმგებლობით ისე, რომ ისინი შეგნებულად ცდილობენ რამე შემატონ საკუთარ ცოდნას. ამავდროულად ავტონომიურები არიან, რადგან მასწავლებლისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ შემსწავლელთა ავტონომიას, უპირველეს ყოვლისა უნდა განვავითაროთ პასუხისმგებლობის გრძნობა და ამავდროულად, წავახალისოთ ისინი, მიიღონ აქტიური მონაწილეობა მათი სწავლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში [Scharle, 2000].

როგორ უნდა წარმოვშვათ ავტონომია შემსწავლელებში? ზ.დორნი [Dornyei, 2001] გვთავაზობს მოტივაციურ სტრატეგიებს, თუ როგორ უნდა შეეწყოთ ხელი ავტონომიის წარმოშობას შემსწავლელში:

1. შემსწავლელის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესის ორგანიზებაში:

მთავარი პირობა შემსწავლელის მზარდი მონაწილეობისა არის პასუხისმგებლობის გადანაწილება შემსწავლელებს შორის სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ. მათ უნდა იგრძნონ, რომ ისინი ნაწილობრივ მაინც აკონტროლებენ იმას, რაც მათ აქვთ შესასწავლი. ამ შედეგის მისაღწევად უამრავი ხერხი არსებობს:

- უპირატესობა მიანიჭეთ შემსწავლელთა არჩევანს სასწავლო პროცესის იმდენი ასპექტის მიმართ, რამდენიც კი შესაძლებელია, მაგალითად: საავარჯიშო-დავალებების, სასწავლო მასალის, სასაუბრო თემების, მუშაობის ფორმატის და სწავლების ტემპის ან თუნდაც წყვილებში მუშაობის მიმართ. არჩევანის გაკეთება ძირითადი არაა პასუხისმგებლობისათვის, ამავე დროს ის შესაძლებლობას აძლევს შემსწავლელებს დაინახონ, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესზე. სიძნელე ამგვარი არჩევისა მდგომარეობს იმაში, რომ სუდენტებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი ნამდვილად აკონტროლებენ სასწავლო პროცესს. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ შეიძლება სტუდენტები შეცდნენ გადაწყვეტილების მიღებაში.

ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს ერთადერთი გზა, ეს არის განუვითაროთ სტუდენტებს უნარი, მიიღონ ჭეშმარიტი გადაწყვეტილებები მასწავლებელთან თანამშრომლობაში (და არა უბრალოდ მის გადაწყვეტილებებს დაემორჩილონ). პირველ ეტაპზე შერჩევა ხდება მასწავლებლის მიერ მოცემული "მენიუდან", შემდეგ - მასში მოდიფიკაციის შეტანით, და ბოლოს სასწავლო მიზნისა და პროცედურების სრულიად დამოუკიდებლად არჩევით.

- პატივი ეცით სტუდენტების პოზიციას. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებლობა აქცევს მათ ჯგუფის აქტიურ წევრებად.
- წაახალისეთ სტუდენტთა საინტერესო ინიციატივა.
- წაახალისეთ წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა, კერძოდ, პროექტული ფორმით. სტუდნტები ავტონომიურად იმოქმედებენ, დამოუკიდებლად მიიღებენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი შედეგის მისაღებად, და ბოლოს გაუზიარებენ ჯგუფს თავიანთ აღმოჩენებს.
- როცა კი შესაძლებელია, ნება დართეთ სტუდენტებს გამოიყენონ თვითშეფასების პროცედურა. თვითშეფასება ზრდის შემსწავლელთა შემეცნებით დონეს და ამცირებს დაშვებულ შეცდომათა რაოდენობას.

2. ცვლილებები მასწავლებლის როლში.

იმისთვის, რომ დავუშვათ შემსწავლელის მზარდი დამოუკიდებლობა, საჭიროა მასწავლებელმა მუშაობის თანამედროვე სტილი აითვისოს. ამ სტილს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც "ფასილიტატორულ სტილს". ფასილიტატორი-მასწავლებელი შემსწავლელს არ იხილავს, როგორც "ცარიელ კონტეინერს", რომელსაც ავსება სჭირდება უცხოური ენის სიტყვებით, ტექსტებითა და გრამატიკული წესებით, არამედ როგორც სასწავლო პროცესში თანამშრომელს, სასწავლო მასალის დიზაინერს, რომელიც თვითონ აკეთებს აღმოჩენებს და ეხმარება მეგობრებს მათ გაკეთებაში.

წიგნში "The Facilitator's Handbook" [Heron, 1988] განხილულია ფასილიტატორის მიერ გამოყენებული სამი მეთოდი:

- იერარქიული,

- თანამშრომლობითი,
- ავტონომიური.

იერარქიული მეთოდის გამოყენებისას ფასილიტატორები თავიანთ ძალაუფლებას იყენებენ, რათა წარმართონ სასწავლო პროცესი ჯგუფისათვის, სრული პასუხისმგებლობითა და გადაწყვეტილების უმრავლესობის მიღებით. თანამშრომლობითი მეთოდი გულისხმობს, გაანაწილო ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ჯგუფში და უბიძგო სტუდენტებს იყვნენ მიზანმიმართულები.

ავტონომიურ მეთოდში ფასილიტატორი უპირატესობას ანიჭებს ჯგუფის სრულ ავტონომიას, რათა დამოუკიდებლად გაიკვალონ გზა და დახვეწონ საკუთარი მსჯელობა. ხელოვნება ეფექტური ფასილიტატორისა, ჰერონის თქმით, მდგომარეობს ამ სამი მეთოდის სწორად ბალანსირება–შეთანხმებაში.

ბენსონი [Benson, 2001], თავის მხრივ, გვთავაზობს ხუთ სხვადასხვა სახის პრაქტიკულ მიდგომას შემსწავლელთა ავტონომიის ხელშესაწყობად:

- წყაროზე დაყრდნობილი მიდგომა, რაც ხაზს უსვამს მასალის დამოუკიდებელ მოპოვება-შერჩევას;
- ტექნიკის გამოყენებაზე დაყრდნობილი მიდგომა, რაც ხაზს უსვამს დამოუკიდებელ ინტერაქტივს სასწავლო ტექნიკასთან (მაგალითად, კომპიუტერთან);
- შემსწავლელზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ქცევითი და ფსიქოლოგიური ცვლილებების უშუალო პროდუცირებას შემსწავლელში (მაგალითად, სწავლის სტრატეგიების შემუშავებას);
- ჯგუფზე ორიენტირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სტუდენტ-მასწავლებელს შორის ურთიერთდამოკიდებულებას აუდიტორიაში და სტუდენტთა კონტროლს მასალის შერჩევის პრინციპებზე და სწავლა-სწავლების შეფასებაზე;

- კურიკულუმზე დაყრდნობილი მიდგომა, რაც ზრდის სტუდენტთა როლს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

რატომ უნდა განვითარდეს პასუხისმგებლობა და ავტონომია შემსწავლელში? ნათქვამია, რომ "ცხენს წყალთან მიიყვან, მაგრამ წყლის სმას ვერ აიძულებო". ენის სწავლების პროცესში მასწავლებლები უზრუნველყოფენ ყველა საჭირო პირობას, მაგრამ სწავლების პროცესი მხოლოდ მაშინ ხორციელდება სრულყოფილად, როცა შემსწავლელებს სურთ აითვისონ მასალა და ამ მიზნით გარკვეულ შრომასაც გაწევენ. მათი მეცადინეობაზე პასიურად ყოფნა არ არის საკმარისი. მხოლოდ შემსწავლელები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სწავლის პროცესში, ნამდვილ წარმატებას აღწევენ. ამ მიზნით მათ თავდაპირველად უნდა გააანალიზონ და მოიაზრონ, რომ წარმატება სწავლაში დამოკიდებულია არამარტო მასწავლებელზე, მის ცოდნასა და მის მიერ გამოყენებულ მეთოდებზე, არამედ მათ წვლილზე სასწავლო პროცესში. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმატება სწავლებაში მეტადაა დამოკიდებული შემსწავლელის შეგნებულ მიდგომაზე.

მნიშვნელობა არა აქვს, რამდენს სწავლობენ სტუდენტები ლექციაზე, ყოველთვის მოიძებნება სამუშაო, რომელიც მათ თვითონ, დამოუკიდებლად უნდა შეასრულონ. საუკეთესო გზა მოვამზადოთ სტუდენტები ამ დავალებისათვის არის დავეხმაროთ გახდნენ უფრო ავტონომიურები.

როგორ უნდა განვითარდეს პასუხისმგებლობა და ავტონომია შემსწავლელში? მოტივაცია არის აუცილებელი წინაპირობა ეფექტური სწავლებისათვის და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებისათვის.

ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ სტუდენტთა **შინაგან მოტივაციას**, რის წყაროდაც გვევლინება შინაგანი სტიმული (inner drive) ან შემსწავლელის ინტერესი. შინაგანად მოტივირებულ შემსწავლელებს მეტად შეუძლიათ განსაზღვრონ სწავლების მიზანი. მეორეს მხრივ,

შემსწავლელთა უმრავლესობაში გამბედაობა (self-determination) და აეტონომია წარმოშობს შინაგან მოტივაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოტივაცია და პასუხისმგებლობა განამტკიცებენ ერთმანეთს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ წახალისება და დასჯაც ახდენს სწავლის სტიმულირებას, მაგრამ ამავდროულად ისინი ზრდიან შემსწავლელის დამოკიდებულებას მასწავლებელზე.

შემსწავლელებს უნდა სჯეროდეთ, რომ მათ შეუძლიათ გაუმკლავდნენ სწავლას და შეუძლიათ დაეყრდნონ საკუთარ თავს და არა მხოლოდ მასწავლებელს. თუმცა სხვა გზითაც შეიძლება იგიეე შედეგის მიღება: პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა წარმოშობს საკუთარ ძალებში რწმენას.

მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, თუ რა გამოცდილებით მოდიან სტუდენტები აუდიტორიაში და, შესაბამისად, რას ელიან მასწავლებლისაგან. აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის არსებული დამოკიდებულების შესახებ სწავლის პროცესისა და უცხოური ენის მიმართ არის უპირველესი ამოცანა პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოსაყალიბებლად. ამ ინფორმაციის მისაღებად არსებობს რამდენიმე გზა, მაგალითად, შევავსებინოთ სტუდენტებს კითხვარი სწავლების სტილსა და სავარჯიშოებზე. სტუდენტებს შეუძლიათ კითხვარი აუდიტორიაში შეავსონ ან დაზოგონ დრო და შეასრულონ ეს სამუშაო როგორც საშინაო დავალება.

სტუდენტების მიერ ანკეტების უცხოურ ენაზე შევსებისას შეიძლება შემდეგი მიზნების მიღწევა: სტუდენტების ინტერესებზე, მათ ტიპებზე და სხვ. ინფორმაციის მიღება და უცხოურ ენაზე კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება. განვიხილოთ ჩვენს მიერ გამოყენებული ანკეტების ნიმუშები.

1. Questionnaire to survey past experience

Please read the questions and answer as many as you can.

Did your school / private language teacher always explain every point to you?	YES / NO / DON'T KNOW
Did you have to guess rules/meanings yourself?	YES / NO / DON'T KNOW
Did your language teacher ever ask you to work in pairs or groups?	YES / NO /DON'T KNOW
Did your language teacher usually stand at the front of the class when he/she was teaching?	YES / NO /DON'T KNOW
Did your language teacher speak the foreign language most of the time in a lesson?	YES / NO /DON'T KNOW
Did you ever have to speak/write about yourself in the English lesson or as homework?	YES / NO /DON'T KNOW
Did you get an extra task or a bad mark if you did not do your homework?	YES / NO /DON'T KNOW
Did you ever have to correct/mark the work of another pupil?	YES / NO /DON'T KNOW
Did your teacher ever ask for your opinion about what to do in the lesson or how you would like to learn?	YES / NO / DON'T KNOW
Did you often use other materials in the lesson (or only the textbook)?	YES / NO / DON'T KNOW
What did you especially like or dislike about the way you were taught at school?	YES / NO / DON'T KNOW

2. Questionnaire on learning styles

Please read the sentences carefully, and tick the ones that apply to you.

a)
In class, I like to learn by games. ☐
In class, I like to learn by pictures, films, video. ☐
I like to learn the foreign language by talking in pairs. ☐
I like to go out with the class and practise the foreign language. ☐
At home, I like to learn by using cassettes. ☐
In class, I like to listen and use cassettes. ☐

b)
I like to study grammar. ☐
At home, I like to learn by studying foreign language books. ☐
I like to study the foreign language by myself (alone). ☐
I like the teacher to let me find my mistakes. ☐
I like the teacher to give us problems to work on. ☐
At home, I like to learn by reading news papers. ☐

c)
I like to learn by watching, listening to foreign language speakers. ☐
I like to learn by talking to friends in the foreign language. ☐
At home, I like to learn by watching TV in the foreign language. ☐
I like to learn by using the foreign language in shops, on the phone, . . . ☐
I like to learn the foreign language words by hearing them. ☐
In class, I like to learn by conversations. ☐

d)
I like the teacher to explain everything to us. ☐
I want to write everything in my notebook. ☐
I like to have my own textbook. ☐
In the foreign language class, I like to learn by reading. ☐
I like to study grammar. ☐
I like to learn new words by seeing them. ☐

პასუხები a ჯგუფიდან მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტი კონკრეტული აზროვნებით ხასიათდება, b ჯგუფიდან – ანალიტიკური აზროვნებით, c ჯგუფიდან – კომუნიკაბელურები და d ჯგუფიდან – მასწავლებელზე დამოკიდებულები არიან.

კითხვარი პასუხისმგებლობის გრძნობის შესასწავლად ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი შემსწავლელს ეხება მეორე

კი ჯგუფს ზოგადად. ზოგმა სტუდენტმა შეიძლება შეაფასების დროს გადააჭარბოს რათა მასწავლებელს ასიამოვნოს, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება კითხვარის პირველი ნაწილის შეფასებისას უნდა გავამახვილოთ. მეორე ნაწილი კი გამოიყენება ზოგადი ატმოსფეროს ან ქცევის ნორმების აღსაწერად კლასში. თუ მე-2, მე-3 და მე-5კითხვის ჯამი აღწევს 15 ქულას – ნიშნავს, რომ ძალიან პასუხისმგებელი სტუდენტია, მაგრამ თუ პირველი, მე-4 და მე-6 კითხვის მაქსიმუმი 15 ქულაა – შემაშფოთებლად უპასუხისმგებლოა.

3. Questionnaire on responsible attitudes

Read the sentences carefully. If you completely agree, circle 6.
If you do not agree at all, circle 1.

As for me . . .
the reason why I am good (bad) at the foreign language, is because I have had good (bad) teachers. 1 2 3 4 5 6
I know what I should practise more in the foreign language.1 2 3 4 5 6
I pay more attention to the lesson if we are practising something I am not so good at.1 2 3 4 5 6
I want only to survive the language lesson.1 2 3 4 5 6
sometimes I learn/read things that the teacher did not give as a task.1 2 3 4 5 6
I do as little as possible for my homework.1 2 3 4 5 6
It is important for me to learn the foreign language (not only for my parents' sake or for the marks).1 2 3 4 5 6

As for most of the others in the class . . .

the reason why they are good (bad) at the foreign language, is because they have had good (bad) teachers. 1 2 3 4 5 6
they know what they should practise more in the foreign language.1 2 3 4 5 6
they pay more attention to the lesson if we are practising something they are not so good at. 1 2 3 4 5 6
they want only to survive the language lesson. 1 2 3 4 5 6
sometimes they learn/read things that the teacher did not give as a task. 1 2 3 4 5 6
they do as little as possible for their homework. 1 2 3 4 5 6
it is important for them to learn the foreign language (not only for my parents' sake or for the marks). 1 2 3 4 5 6

4. Questionnaire on attitudes towards learning the foreign language

Please read the sentences carefully and finish them with the adverb that best applies to you.
I enjoy learning the foreign language ///very much / quite a lot / not much / not at all
In my language learning this year I expect to do ///very well / quite well / not badly / poorly
We waste a lot of time in the foreign language class /// very often / sometimes / never
In five years' my command of the foreign language will be /// much better / a little better / the same / worse
I like the people in my language class /// very mach / quite a lot / not much / not at all
I would like to visit / have friends from a country where the foreign language is spoken /// very mach / quite a lot / not much / not at all
I would like to live in a country where the foreign language is spoken ///very much / quite a lot / not much / not at all
Is there anything else you find important about your feelings towards the target language, or the people who speak the target language?
.....

სიძლიერისა და სისუსტის ანალიზი

ამ სახის კითხვარმა შეიძლება უზრუნველყოს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტუდენტის შემეცნებით დონეზე უცხო ენების ფლობის მიმართ, ეს შეიძლება იყოს პირველი ნაბიჯი დააფიქროს სტუდენტები მათ სწავლაზე.

5. Questionnaire on strengths and weaknesses

Think about what you can do or cannot do in the foreign language. (For example: talking with other students, filling in grammar tests, speaking without grammar mistakes, writing without grammar mistakes or spelling mistakes, understanding tape recorded speech, speaking in front of the whole class, speaking with correct pronunciation.) Finish the sentences below giving more than one example if you can.

In the foreign language, I am quite good at .....
In the foreign language, I am fairly good at .....
In the foreign language, I am not so good at .....
In the foreign language, I find it difficult to .....

Is there anything that you are good at, but still keen to improve, or anything that you find difficult, but you don't mind that much? Would you like to add any other comments?
.....
.....

თხზულების წერა პიროვნული შეხედულებებისა და გამოცდილების შესახებ

თუ გრძნობთ, რომ გინდათ უფრო დეტალებში შეისწავლოთ სტუდენტთა გამოცდილება, სთხოვეთ მათ დაწერონ თხზულება საშინაო დავალებად. მაგალითად, იმისთვის, რომ ზოგადად შესწავლილ იქნას საკლასო ატმოსფერო, სტუდენტებს ეძლევათ დავალება დაწერონ თხზულება "ჭკუისკოლოფა" სტუდენტზე (ეს ის სტუდენტია რომელიც არ მოსწონთ .სხვა დანარჩენებს, რადგან სწავლობს "ძალიან კარგად"), მიღებულ იქნას ინფორმაცია მათი შეხედულებების შესახებ სასწავლო ტექნიკის (მეთოდის) მიმართ, რა მოსწონთ ან არ მოსწონთ წინა მასწავლებლისაგან, ან მათი მოტივაციის შესახებ კითხვით თუ რატომ მოსწონთ ან არ მოსწონთ მიზანმიმართული (target language) ენის შესწავლა.

აზრის გამოთქმა ახალ სავარჯიშოზე

თუ რამე ახალი მასალა შეგაქვთ კლასში (სახელმძღვანელო, სავარჯიშო ან თამაში), გინდათ სინჯოთ ღირს თუ არა ამ სახით მუშაობის გაგრძელება. შეგიძლიათ ექსპერიმენტი ტესტის სახით ჩაატაროთ და გაიგოთ სტუდენტთა შეხედულება მოცემული სამუშაოს მიმართ. შემდეგი ტიპის კითხვები შეგიძლიათ გამოიყენოთ:

Did you enjoy using ..... / doing the ..... activity?
Did you feel you learnt more then usual with .....?
Would you like to use / do ..... again?
Do you have any suggestions for other ways to use ... / improve the activity?
What did you feel most interesting or challenging about the new material/activity?
.....
What did you find unusual / boring about the new material / activity?
.....

ინტერვიუ ჯგუფელებთან მათი სწავლების უპირატესობებზე

გააცანით შემდეგი კითხვები სტუდენტებს, აურჩიეთ რამოდენიმე სავარაუდო პასუხი რომ კარგად გაიგონ დავალება და სთხოვეთ მათ თუ შეუძლიათ სხვა შესაბამისი კითხვების დამატება. შემდეგ გაანაწილეთ კითხვები რათა მოიპოვონ რაც შეიძლება მეტი პასუხი ერთმანეთისაგან. სავარჯიშოს დამთავრების შემდეგ შეგიძლიათ შეაგროვოთ პასუხები და გაანალიზოთ, მომდევნო მეცადინეობაზე კი მოკლედ გააცანით შედეგები.

Interview questions

How would you like to work in class? (on your own, with a pair, in a group)

What sort of learning material would you like to work with? (textbooks, music, newspapers, magazines, books, videos, tape recordings, authentic or teaching material, etc.)

What sorts of activities would you like to do in class? (drills, games, projects, etc.)

who should lead the activities? (the teacher, another student, you)

How would you like your work to be evaluated? (in words, in marks, only by the teacher, each assignment or once a month/semester, etc.)

How would you like to be corrected? (not at all, when you make a mistake, addressed to you, later, addressed to the class in general, only in written work, etc.)

ჯგუფური დისკუსია

კარგი და ცუდი განწყობილებების შედარება სწავლის პროცესის მიმართ

სტუდენტები მუშაობენ ჯგუფებში მათი კარგი და ცუდი განყოფილებებისა და უცხოური ენის სწავლის შესაძლებლობების შესადარებლად. ჯგუფიდან ერთერთ სტუდენტს აძლევთ ბილეთს რომელზეც მითითებული იქნება "ჯგუფის ლიდერი", მაგალითად:

Group leader

You will lead the discussion in this group

- Make sure that everybody in the group has a chance to say what they think, and that nobody talks too much.
- Be polite but firm.
- If nobody is willing to speak, say what you think and ask some very easy questions

შეგიძლიათ სადისკუსიო კითხვები დაფაზე მიაწეროთ ან გაავრცელოთ ასლები. მიეცით 10 – 15 წუთი რათა ისაუბრონ და ჩამოაყალიბონ მოკლე რეპორტი (მოსაზრება). თუ საჭიროება მოითხოვს, შეგიძლიათ რეპორტისათვის ნიმუში მიაწოდოთ, მაგალითად:

Discuss similarities and differences in the group in the following areas. Before you start, choose a secretary to take notes, and a chairperson to lead the discussion

- types of class activities that you like best (dialogues in pairs, reading stories, listening to stories, doing grammar tests, etc.)
- your favourite sense (reading texts, watching pictures/video, listening to speech, listening to music, touching, miming)
- your best talent in the foreign language
- ways you use the foreign language outside class (friends, computer games, newspapers, holiday, etc.)

When you finish the discussion, write a report about the group as a whole.
You can start your sentences like this:
Most of us . . .
Some of us . . .
Not one of us . . .

1.3. სტუდენტის ენობრივი და სამეტყველო უნარ-ჩვევების დონესა და დამოუკიდებელ მუშაობას შორის ურთიერთდამოკიდებულება

მასწავლებელთა დაკვირვებით, ენის წარმატებულ შემსწავლელთა უმრავლესობა, სავალდებულო დავალებების გარდა, ამა თუ იმ ფორმით დამოუკიდებლად და ნაბაყოფლობით იღრმავებს

თავის ცოდნას: უყურებს ტელეგადაცემებსა და ვიდეომასალებს უცხოურ ენაზე, კითხულობს პრესას ან მხატვრულ ლიტერატურას, დამატებით სახელმძღვანელოებს, იყენებს სასწავლო კომპიუტერულ პროგრამებს, ინტერნეტის საშუალებით თვალყურს ადევნებს საინტერესო მოვლენებს ან "ჩეთის" (chat) პროგრამების გამოყენებით საუბრობს უცხოელებთან.

ჯერ-ჯერობით არ არის გამოკვლეული (თუ, საერთოდ, შესაძლებელია ამის გამოკვლევა), არის თუ არა პიროვნული დამოუკიდებლობა იმის მიზეზი, რომ მოსწავლე / სტუდენტი უკეთეს ცოდნას იძენს საგანში, ან პირიქით, თუ საგნის უკეთესი ცოდნა უზრუნველყოფს პირობებს შემსწავლელის დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ფაქტია, რომ ორივე (ცოდნის დონეც და დამოუკიდებელი მუშაობაც) ახდენენ გავლენას ერთმანეთზე.

უცხოური ენის შესწავლასთან დაკავშირებით პირველი ასპექტი (ენობრივი და სამეტყველო უნარ-ჩვევების დონე) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია დამოუკიდებელ მუშაობასთან დაკავშირებით. პროექტული მუშაობისას თუ ჯგუფურ დისკუსიაში ენობრივი უნარ-ჩვევების დაბალი დონის მქონე სტუდენტი უმეტეს შემთხვევაში პასიურია. გამონაკლისს მხოლოდ ძალიან მოტივირებული და კომუნიკაბელური სტუდენტები წარმოადგენენ. ისინი ცდილობენ დაძლიონ ენობრივი სირთულეები დამოუკიდებელ მუშაობაში. ნაკლებად მოტივირებული ან თავდაჯერებული სტუდენტები ვერ იღებენ სიამოვნებას სირთულეების დაძლევაში და მათთვის დამოუკიდებელი მუშაობა მიმზიდველი არ არის.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა უხოურ ენაზე სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის სტიმულირებისას უნდა უზრუნველყოს:

- დავალების ენობრივი / შინაარსობრივი მისაწვდომობა,

- ეტაპობრივი მუშაობა სტუდენტებში დამოუკიდებელი მუშაობის სტრატეგიების შესამუშავებლად,
- სტუდენტთა მოტივაცია,
- იმის ახსნა, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მუშაობა ენის წარმატებული შესწავლისათვის და ასევე იმისა, რომ დამიუკიდებელი მუშაობა შედარებით სუსტ სტუდენტებსაც შეუძლიათ, თუ ისინი შედარებით მარტივ მასალს გამოიყენებენ.

1.4. სტუდენტთა მოტივაცია უცხოურ ენაზე დამოუკიდებელი მუშაობისას

შენეიდეკერისა და ფრიმანის [Scheidecker and Freeman 1999, გვ. 116] აზრით, "მოტივაცია არის, ეჭვგარეშე, ყველაზე რთული და ყველაზე საინტერესო პრობლემა, რომლის წინაშეც დგანან პედაგოგები". ხანგრძლივად შეიძლება ვიმსჯელოთ იმის დასამტკიცებლად, რომ მოტივაცია ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ენის შესწავლისათვის და რომ უნარი შემსწავლელთა მოტივირებისა გადამწყვეტია ენის მასწავლებლისათვის. მოტივაციის გარეშე თითქმის მთლიანად იკარგება მასწავლებლის მიერ გაწეული შრომა და თუ მოტივაცია ასე მნიშვნელოვანია, ის წარმოშობს აუცილებლობის გრძნობას განვავითაროთ მისი არსი. მოტივირება სჭირდება სტუდენტის მუშაობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მის დამოუკიდებელ მუშაობასაც.

შეიძლება ყველა სიტუაციის ერთი ხერხით / საშუალებით მოტივირება? რა არის მასწავლებლის როლი სტუდენტის მოტივაციაში? როგორ შეიძლება ის შევინარჩუნოთ (განვახორციელოთ)?

მისი ძირითადი ფუნქციის (მნიშვნელობის) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოტივაცია არის შინაგანი ძალა, რომელიც ბიძგს

აძლევს ადამიანს იმოქმედოს მიზნის მიღწევისათვის. როგორც ჰ. დუგლას ბრაუნი აღნიშნავს, მოტივაციის კოგნიტური შეხედულება მოიცავს ფაქტორებს, როგორიცაა გამოკვლევა, მოქმედება, სტიმულირება, ახლი ცოდნა, ეგოს გაძლიერება [Brown , 2000, გვ. 160-166]. მერიონ უილიამსი და რიჩარდ ბარდენი გვთავაზობენ, რომ მოტივაცია არის "კოგნიტიური გამოწვევის მდგომარეობა", რომელიც პროვოცირებს "გადაწყვეტილებას, იმოქმედო", რომლის შედეგადაც გვევლინება "უწყვეტი ინტელექტუალური თუ ფიზიკური ძალისხმევა", "წინასწარ დასმული მიზნის" მისაღწევად [Williams and Burdan, 1997, გვ. 120]. ისინი ხაზს უსვამენ, რომ ამგვარი მოტივაციის ძალა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ფასობს ინდივიდის როლი სასურველი შედეგის მიღწევისას.

მოტივაციაზე მსჯელობისას დასაშვები განსხვავებაა მოყვანილი გარეგან და შინაგან მოტივაციას შორის, ეს არის მოტივაცია, რომელიც მოდის გარედან (მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები) და შიგნიდან (სტუდენტის საკუთარი ინტერესი ან მოთხოვნილებები).

გარეგანი მოტივაცია წარმოიშვება ნებისმიერი გარე ფაქტორისაგან, მაგალითად საჭიროება ჩააბარო გამოცდა, ფინანსური დაჯილდოების მოლოდინი (იმედი), ან მომავალი მგზავრობის შესაძლებლობა.

შინაგანი მოტივაცია კი, პირიქით, გამომდინარეობს ინდივიდის შიგა ბუნებიდან. ასე, მაგალითად, პიროვნება შეიძლება მოტივირებული იყოს თვით სასწავლო პროცესის მსვლელობის სიყვარულით ან სურვილით იგრძნოს თავი უკეთესად. მკვლევრების უმრავლესობა მიდის დასკვნამდე, რომ შინაგანი მოტივაცია აუცილებელია წარმატების მისაღწევად, მაგალითად, როცა ძირითადი მიზანი შემსწავლელისა დაეუფლოს ენას მოდის შინაგანად, სტუდენტთა წარმატება უფრო ეფექტურია. მოტივაცია

არის აქტივობისადმი ბიძგი, მისი მასტიმულირებელი ძალა. [Harmer, 2001].

რადგან ადამიანთა ქცევას გააჩნია ორი ძირითადი საზომი – მიმართულება და სიდიდე (ინტენსივობა) – მოტივაცია, მისი განმარტების მიხედვით, ორივე მათგანს ეხება. ის პასუხისმგებელია:

- გარკვეული მოქმედების არჩევაზე,
- გაწეულ ძალისხმევასა და სიმტკიცეზე (გამძლეობაზე).

ამგვარად, მოტივაცია ხსნის, თუ რატომ იღებენ ადამიანები ამა თუ იმ საქმის კეთების გადაწყვეტილებას, თუ როგორ იღწვიან ისინი მიზნის მისაღწევად და რამდენ ხანს ისურვებენ მოქმედების გაგრძელებას (შენარჩუნებას).

მის ცნობილ 'მოთხოვნილებათა იერარქიაში' (Hierarchy of Needs) მასლოუ [Maslow, 1970] განასხვავებს მოთხოვნილებათა ხუთ ძირითად კლასს, რომლებიც მან განმარტა როგორც:

- ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (მაგალითად, შიმშილი, წყურვილი, სექსუალური მოშლილობა),
- უსაფრთხოების მოთხოვნილებები (დაცულობის მოთხოვნილება, ტკივილისა და შიშის მოვლა პროტექცია)
- სიყვარულის მოთხოვნილებები (მოთხოვნა სიყვარულისა, სიყვარული და სოციალური მოწონება)
- პატივისცემის მოთხოვნილებები (საჭიროება ცოდნის მიღების, მტკიცებისა და შეცნობისა)
- თვითრეალიზების საჭიროება (მოთხოვნილება გააანალიზო ვინმეს პოტენციალი და შესაძლებლობები, და შეიძინო ცოდნა და გამჭრიაობა).

ბოლო ორი მოთხოვნილება უცხოური ენის სწავლის, კერძოდ, მასზე დამოუკიდებელი მუშაობის მოტივი შეიძლება იყოს.

მოტივაციის თანამედროვე კვლევების შესაბამისად, ყველა ინდივიდი მიზანდასახული, მიზანმიმართული მოქმედი პირია,

რომელიც მდგრად გონებრივად ბალანსირებულ ქმედებაშია, რათა კოორდინაცია გაუწიოს პირად სურვილებსა და მიზნებს მათი შეგნებული შესაძლებლობების, ანუ შეგნებული კომპეტენციისა და გარემომცველი ფაქტორების მეშვეობით. სხაგვარად რომ ვთქვათ, სანამ ინდივიდი გადაწყვეტს რამე გააკეთოს, პირველ რიგში იგი რწმუნდება ქმედების ღირებულებაში, შემდგომ კი ფიქრობს მათი შეფასების ეფექტურობაზე გარემომცველ ფაქტორებთან მიმართებაში. მაშასადამე, რათა ენობრივი ფაკულტეტის სტუდენტმა მოინდომოს უცხოურ ენაზე დამოუკიდებელი მუშაობა, იგი დარწმუნებული უნდა იყოს მის აუცილებლობაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის ყველა მცდელობა მიაჩვიოს სტუდენტები დამოუკიდებელ მუშაობას წარუმატებელი იქნება, თუ სტუდენტებმა ვერ იგრძნეს, რამდენადაა დამოკიდებული მათი წარმატება ენის დაუფლების პროცესში დამოუკიდებელ მუშაობაზე. სასარგებლოა ამ თვალსაზრისით სტუდენტური ჯგუფის წევრებმა დაასახელონ ჯგუფში ენის 2-3 ყველაზე წარმატებული შემსწავლელი და შემდეგ ესაუბრონ მათ, თუ როგორ სწავლობენ ისინი უცხოურ ენას. გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა მისცეს სტუდენტებს ისეთი დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები, რომლებიც დაეხმარებათ მათ გამოცდისთვის მომზადებაში. თუ დამოუკიდებელი სამუშაოს შემოწმება ფორმალური იქნება, დაბალმოტივირებული სტუდენტები ყოველთვის შეეცდებიან აარიდონ მას თავი (სხვას გააკეთებინონ ან უბრალოდ არ შეასრულონ). თუ დამოუკიდებელი მუშაობის ფაქტი არც კი მოწმდება, მაგრამ მისი შესრულება-არშესრულების ფაქტი ჩანს გამოცდის ჩაბარებისას, სტუდენტები შინაგანად იქნებიან მოტივირებულები, შეასრულონ ეს სამუშაო.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია რეზიუმე დღესდღეობით დომინირებადი მოტივაციური მიდგომებისა [Dornyei, 2001:10].

ფსიქოლოგიაში ყველაზე ცნობილი თანამედროვე მოტივაციური თეორიების მოკლე ჩამონათვალი.

	ძირითადი მოტივაციური კომპონენტები	ძირითადი მოტივაციური პრინციპები
მოლოდინის ღირებულების თეორიები (expectancy-value theories) Brophy 1999, Eccles and Wigfield 1995	წარმატების მოლოდინი; დავალების შესრულებისას მიღწეული წარმატების ღირებულება	მოტივაცია შეასრულო სხვადასხვა სახის დავალება ორი ძირითადი ფაქტორის შედეგია: მოცემულ დავალებაში წარმატების მოლოდინი და მოვემულ აქტივობაში წარმატების ღირებულება. რაც უფრო მაღალია წარმატების ალბათობა და მიზნის მიღწევის ღირებულება, მით უფრო მაღალია პოზიტიური მოტივაციის დონე.
მიღწევის მოტივაციის თეორია (Achievement motivation theory) Atkinson and Raynor 1974	წარმატების მოლოდინი; წამაქეზებელი ღირებულებები; მიღწევის მოთხოვნილება; წარუმატებლობის შიში	მიღწევის მოტივაცია განისაზღვრება კონფლიქტური მიდგომითა და აცილების ტენდენციებით. პოზიტიური ზეგავლენებია წარმატების მოლოდინი (ალბათობა), ღირებულება მოთხოვნილება. ნეგატიური ზეგავლენები მოიცავენ წარუმატებლობის შიშს, წაქეზებას თავი აარიდო წარუმატებლობას და წარუმატებლობის შესაძლებლობას.
თვითეფექტურობის თეორია (Self-efficacy theory) Bandura 1997	აღქმული თვითეფექტურობა	თვითეფექტურობა ეხება ადამიანთა აზრს საკუთარი შესაძლებლობების შესახებ გარკვეული სპეციფიკური დავალებების შესრულებისას; შესაბამისად, აღქმა საკუთარი ეფექტურობისა განისაზღვრება მათი გადაწყვეტილებით აქტივობის შერჩევისას, გაწეული ძალისხმევით

		(ამ გადაწყვეტილების სარეალიზაციოდ) და იმ სიბეჯითით, რომელსაც ისინი გადაწყვეტილების რეალიზაციის პროცესში გამოამჟღავნებენ.
გამოცდილების თეორია (Attribution theory) Weiner 1992	წარსული წარმატებებისა და წარუმატებლობების გამოცდილება.	ინდივიდის განმარტებები, თუ რატომ აღმოჩნდა, რომ წარსულში მომხდარი წარმატებები და წარუმატებლობები გავლენას ახდენენ მის მოტივაციაზე, რათა ინიცირება გაუწიონ მომავალ მოქმედებებს. სასწავლო დაწესებულების კონტექსტებში უნარი და ძალისხმევა განისაზღვრება როგორც წარმატების ყველაზე დომინანტური მიზეზები; ამიტომ გამოირკვა, რომ წარსული წარუმატებლობა, რომლის მიზეზიც იყო ენის შესწავლის უნარი, შემსწავლელმა განიცადა უფრო მეტად, ვიდრე არასაკმარისი ძალისხმევით გამოწვეული წარუმატებლობა.
თვითღირებულების თეორია (Self-worth theory) Convington 1998	აღქმული თვითღირებულება	ადამიანები მეტად არიან მოტივირებულები, თუ აქტივობის შედეგად გაიზრდება მათი თვითდაფასება. როცა თვითდაფასებას რამე ემუქრება, შემსწავლელები თავგამოდებით იბრძვიან მის დასაცავად, რაც აისახება სხვადასხვა ქცევაში "სახის შესანარჩუნებლად".
მიზნის დასახვის თეორია (goal setting theory)	მიზნის თვისებები: კონკრეტულობა, სირთულე და აუცილებლობა.	ადამიანთა აქტივობა გამოწვეულია რომელიმე მიზნით. იმისათვის, რომ აქტივობას ჰქონდეს ადგილი, მიზანი უნდა დაისახოს და მიღწეულ იქნას

Locke and Latham 1990		არჩევის გზით. მიზნები, რომლები(ც არიან დაკონკრეტებულები და ამავდროულად (ზომიერად) რთულები, უფრო ხშირად მიიღწევა, იმ პირობით, რომ ინდივიდი გამოიჩენს საკმარის გულისხმიერებას.
მიზანზე ორიენტაციის თეორია (Goal orientation theory) Ames 1992	დახელოვნების მიზნები და შესრულების მიზნები.	დახელოვნების მიზნები (კონტექსტზე ორიენტირებული სწავლება) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შესრულების მიზნები (უნარის დემონსტრირება და კარგი ნიშნების მიღება). დახელოვნების მიზნები ეფუძნება შინაგან ინტერესსა და დადებით დამოკიდებულებას სწავლის მიმართ.
თვითგამორკვევის თეორია (Self determination theory) Deci and Ryan 1985; Vallerand 1997	შინაგანი მოტივაცია და გარეგანი მოტივაცია.	შინაგანი მოტივაცია ეხება შესრულებულ "აქტივობას აქტივობისათვის" - სიამოვნებისა და კმაყოფილების მისაღწევად (მაგალითად, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება). გარეგანი მოტივაცია დაკავშირებულია აქტივობის შესრულების საბოლოო შედეგთან, ე.ი. ჯილდოს (მაგალითად, კარგი ნიშნების) მიღებასთან ან დასჯის თავიდან აცილებასთან. ყველა მოტივი შეიძლება განთავსდეს მოტივაციის თვითგამორკვევისა (შინაგანი) და კონტროლირებადი (გარეგანი) ფორმების კონტინიუმში.
სოციალური მოტივაციის თეორია (social motivation theory) Weiner	გარემოს გავლენა	მოტივების მეტი ნაწილი წარმოიშობა სოციოკულტურული კონტექსტიდან, ვიდრე ინდივიდუმისგან.

1994;Wentzel 1999		
დაგეგმილი ქცევის თეორია (Theory of planned behaviour) Ajzen 1988; Eagly and Chaiken 1993	დამოკიდებულება, სუბიექტური ნორმები, აღქმული ქცევითი კონტროლი.	დამოკიდებულებები მიმართულ გავლენას ახდენენ აქტივობაზე, რადგან ადამიანის დამოკიდებულება მიზნის მიმართ გავლენას ახდენს მის პასუხისმგებლობაზე მიზნის მიმართ. მათი გავლენა დამოკიდებულია ადამიანთა სუბიექტურ ნორმებზე (იმის აღქმაზე, თუ რამდენად ძლიერია სოციალური ზემოქმედება) და ქცევის კონტროლზე (შესრულებული ქცევის აღქმული სირთულით თუ სიადვილით).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ჩვენი აზრით, მოყვანილ ცხრილში გამოცდილების თეორია: თუ ადამიანს წარმატება მიუღწევია რომელიმე აქტივობის შედეგად, იგი მოტივირებულია ისევ შეასრულოს სათანადო მოქმედებები, მარცხის გამოცდილების შემთხვევაში კი ძალიან ძნელია, მას შეასრულებინო ხელახლა იგივე მოქმედებები. სამწუხაროდ, ჩვენი განათლების სისტემა ჯერ-ჯერობით ნაკლებად უწყობს ხელს სკოლის მოსწავლის / სტუდენტის დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას. სამწუხაროდ, მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში მაქსიმალურად ზღუდავენ მოსწავლის / სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი აზრის გამოხატვას, მათ ინიციატივას. შედეგად, როცა რომელიმე მასწავლებელი (მოსწავლის / სტუდენტის აზრით, მოულოდნელად) სთხოვს მათ ნამდვილად დამოუკიდებელ მუშაობას (და არა უბრალოდ "დაღეჭილი" მასალის შინ გადამეორება-დამახსოვრებას), მათ ასეთი "დამოუკიდებელი" მუშაობის შესრულების უარყოფითი გამოცდილება არ იწვევს სტუდენტებში არავითარ სურვილს მიიღონ მასში მონაწილეობა. თუ ჩვენ გვინდა მივაღწიოთ სტუდენტების

დამოუკიდებელ მუშაობას (მათ შორის, უცხოური ენის სწავლისას), ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ მათ, რომ მივესალმებით მათ ინიციატივას და რომ მხოლოდ მათი აქტიური ჩაბმით სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში შეიძლება ენის ნამდვილად წარმატებული შესწავლა.

სტუდენტურ ასაკში გადასვლა ხასიათდება სხვადასხვა ფსიქოლოგიური გარდაქმნით, კერძოდ, სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მოტივაციის სფეროში. მოტივებს, რომლებიც დომინირებდნენ ონთოგენეზის წინა საფეხურზე, ენაცვლებიან სხვა, წინა ეტაპისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი მოტივები.

მკვლევარები საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეების სწავლის წამყვან მოტივაციად ასახელებენ მოზარდის მისწრაფებას დაიკავოს განსაზღვრული ადგილი კლასში, მიაღწიოს თანატოლების აღიარებას, რაც ნაკარნახევია ამ ასაკობრივი პერიოდის ზოგადი თავისებურებებით. სტუდენტებს ეს მოტივები გარკვეულწილად უნარჩუნდებათ, მაგრამ პირველ პლანზე წამოიწევს ისეთი მოტივები, როგორიცაა წარმატებული დასაქმება და უცხოეთში სასწავლოდ / სამუშაოდ წასვლა.

სტუდენტთა საკუთრივ შემეცნებითი ინტერესების გამოვლენა, როგორც წესი, ძლიერ განსხვავდებიან, ზოგიერთებში ის ხასიათდება განუსაზღვრელობითა და ცვლილებებით, სხვებში ვლინდება სასწავლო საგნების ვიწრო წრის მიმართ, ხოლო დანარჩენებში კი მათი უმრავლესობისადმი ინტერესით [Мухина, 1997], თუმცაღა მთლიანობაში მკვლევარები აღნიშნავენ უფროსკლასელების შემეცნებითი ინტერესების საკმაოდ დაბალ დონეს. საშუალოდ მოსწავლეთა 22%-ს გააჩნიათ მყარი ინტერესი სასწავლო საგნებისადმი, ხოლო მოზარდების უმრავლესობას სწავლის მიმართ აქტიური და ჩამოყალიბებული ინტერესი არ გააჩნიათ და მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის (დაახლოებით 54%)

დამახასიათებელია არა ცოდნის მიღების ორიენტაცია, არამედ ნიშნისა [Кон, 1989]. ანალოგიური კვლევები სტუდენტების მატივაციისთან დაკავშირებით არ ჩატარებულა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი უფრო მოტივირებული უნდა იყოს, ვიდრე მოსწავლე, რადგან იგი იმ სპეციალობას ეუფლება, რომელიც (იმედია) მან თვითონ შეარჩია, ბევრ სტუდენტს სკოლიდან მოსდევს სწავლისადმი დამოკიდებულება. ჩვენს მინიკვლევაში, მაგალითად, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ სოხუმის ვეკუას სახელობის უნივერსიტეტში I-IV კურსის სტუდენტებს შორის (100 სტუდენტი), კითხვაზე "რამდენად დაინტერესებული ხართ სწავლით?" პასუხი "სწავლა და ჩემი მომავალი პროფესია ამჟამად ჩემი მთავარი ინტერესია" აირჩია სტუდენტების 15%-მა, ხოლო " პასუხი "სწავლა და ჩემი მომავალი პროფესია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია" – კიდევ 18%-მა. დანარჩენი სტუდენტების მიტივაცია საშუალო (50%) ან დაბალია (32%).

ასაკთან ერთად უმცროს და, შემდეგ უფროს სტუდენტებში ხდება უფრო ღრმა დიფერენციაცია საგნობრივი ინტერესებისა, რომელიც ჩამოყალიბდა სკოლის უფროს კლასებში. ინტერესების მიზეზი შეიძლება იყოს შემეცნებითი და პრაგმატული. აღსანიშნავია აგრეთვე ძლიერი გენდერული განსხვავებების არსებობა შემეცნებითი ინტერესების ხასიათში: სკოლის დამთავრებისას გოგონებს ჩვეულებრივ ახასიათებთ ჰუმანიტარული საგნების მიმართ მეტი ინტერესი, ხოლო ბიჭებს კი – ტექნიკური და საბუნებისმეტყველო. ეს ერთ-ერთი მიზეზია, თუ რატომ უცხოური ენის ფაკულტეტების სტუდენტების უმრავლესობა გოგონებია.

მაღალ კლასებში მოზარდთა სასწავლო–შემეცნებითი საქმიანობა განისაზღვრება მომავლის რეალიზების, ცხოვრებისეული პერსპექტივების აღქმის და პროფესიული განზრახვების მოტივებით, მაგალითად, ა.ვ. კირიაკოვას გამოკვლევებში პირველი ადგილი

დაიკავა "ცხოვრებისეული გეგმების რეალიზების" ზოგადმა მოტივმა, ხოლო შემეცნებითმა – კი მხოლოდ მეოთხე [Кирякова, 1991]. არსებული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ უფროსკლასელთა სასწავლო მოტივები სულ უფრო ემთხვევიან პროფესიული ორიენტაციის მოტივებს და ქმნიან მათ ერთიანობაში (მთლიანობაში) განხილვის აუცილებლობას.

მოტივი	პასუხთა რაოდენობა %	რიგობრივი ადგილი
1.მისწრაფება საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანისადმი	20,4	III
2.პასუხისმგებლობა კოლექტივის მიმართ	7,7	V
3. სურვილის უქონლობა წყენინებისადმი, მშობელთა და მასწავლებელთა განაწყენებისადმი	43,1	II
4. ცხოვრებისეული გეგმების რეალიზაცია	57,6	I
5. შემეცნებითი ინტერესი	14,5	IV

ჩვენ იგივე ანკეტა მივეცით შესავსებად პირველი და მეოთხე კურსის სტუდენტებს. სტუდენტებს შეეძლოთ რამდენიმე მოტივის შერჩევაც. შედეგები ქვემოთ არის მოტანილი:

მოტივი	პასუხთა რაოდენობა %		რიგობრივი ადგილი	
	I კურსი	IV კურსი	I კურსი	IV კურსი
1.მისწრაფება საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანისადმი	12%	15%	IV	IV
2.პასუხისმგებლობა კოლექტივის მიმართ	0%	0%	-	-
3. სურვილის უქონლობა წყენინებისადმი, მშობელთა განაწყენებისადმი	30%	18%	II	III
4. ცხოვრებისეული გეგმების რეალიზაცია	62%	75%	I	I
5. შემეცნებითი ინტერესი	18%	27%	III	II

მიუხედავად ჩვენი კვლევის მცირე მასშტაბისა, მიგვაჩნია, რომ ის დაახლოებით ასახავს ჩვენს უნივერსიტეტებში არსებულ მდგომარეობას: ცხოვრებისეული გეგმების რეალიზაცია მოტივებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია, მშობელთა და მასწავლებელთა წყენის მოტივი თავისი წარუმატებლობით იკლებს თავისი მნიშვნელობით, თუმცა ასე თუ ისე გარკვეულ როლს თამაშობს. შემეცნებითი ინტერესის როლი იზრდება, თუმცა მაინც და მაინც მაღალ დონეს ვერ აღწევს.

მაშასადამე, იმისათვის, რომ ჩავრთოთ სტუდენტები უცხოურ ენაზე დამოუკიდებელ მუშაობაში, აუცილებელია გამოვიყენოთ მოტივების მრავალსახეობა:

- ზოგადი ინტერესი ენისადმი, მისი დაუფლებისადმი, ამ ენის მატარებელი ერის /ერების კულტურისადმი,
- ინტერესი ენის რომელიმე ასპექტისადმი,
- რომელიმე სხვა ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებაც ძირითადად შესაძლებელია უცხოური ენის საშუალებით (მაგალითად, ინტერნეტში მასალების მოძიება),
- მასწავლებლის პატივისცემა,
- ჯგუფელების წინაშე თავის გამოჩენა ან, პირიქით, მათი დაცინვის შიში,
- დიპლომის მიღების საჭიროება,
- მომავალ დასაქმებაზე ზრუნვა,
- უცხოური ენის სხვა პრაქტიკულ გამოყენებაზე ზრუნვა (ბიზნესში, მოგზაურობისას და ა.შ.).

დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალების მიცემისას მასში ერთ-ერთი ან რამდენიმე მოტივი უნდა იქნას გათვალისწინებული. სასურველია, მასწავლებელმა მიუთითოს, რა მიზნით შეიძლება გამოადგეს სტუდენტებს მოცემული დავალების შესრულება,

დააინტერესოს ისინი დავალების შინაარში, მისი შესრულების პროცესში ან შედეგში.

"რეალური პრობლემა მოტივაციასთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ეძებს ერთადერთ და მარტივ პასუხს იმაზე, თუ როგორ მივაღწიოთ შემსწავლელთა მოტივირებას. მასწავლებლები ეძებენ მხოლოდ იმ ერთ პედაგოგიურ მიდგომას, რომლის გამოყენებითაც საკლასო ოთახში (აუდიტორიაში) ნავარჯიშევზე ყველა სტუდენტს მოუნდება საშინაო დავალების შესრულება, როცა, ამის შემდეგ, ისინი მოვლენ მეცადინეობაზე კარგად მომზადებულები და კარგ ნიშნებს მიიღებენ ტესტებში. საუბედუროდ, და რეალისტურად, სტუდენტთა მოტივირება გუშინ, დღეს და ხვალ არასოდეს მოხდება ერთადერთი ან მარტივი ხერხით" [Scheideckes and Freeman 1999, გვ. 117].

დ. ბრაუნის აზრით, უცხოური ენის სწავლებას ყოველთვის მოსდევს სხვა კულტურის რაღაც დონეზე სწავლებაც, მიუხედავად იმისა, ხარ თუ არა ნამყოფი ამ ენაზე მოსაუბრთა ქვეყანაში. ენა და კულტურა (ტრადიციები, მენტალიტეტი) მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. ყოველი ადამიანი კულტურის ნაწილია და ყველა იყენებს ენას ამ კულტურის გამოსახატავად. მოცემულ ენაზე კომუნიკაციის დასაუფლებლად გჭირდებათ გაერკვეთ იმ კულტურაში, რომელსაც ეს ენა განეკუთვნება [Brown, 1989, გვ. 65].

ენასა და კულტურას შორის კავშირი ენის სწავლა-სწავლებისას, მასზე დამოუკიდებელი მუშაობის სტიმულირებისას ძლიერ მოტივად შეიძლება გამოვიყენოთ.

მ. უილიამსის აზრით, ეჭვგარეშეა, რომ უცხოური ენის სწავლება განსხვავდება სხვა საგნების სწავლებისაგან. ენა ლინგვისტური და სოციალური მოვლენაა. უცხოური ენის შესწავლა უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე უბრალოდ უნარ-ჩვევების ფორმირებას, ან გრამატიკული წესების სისტემის ცოდნას; ენა ახალი სოციალური

და კულტურული ქცევების ათვისების საშუალებასაც ნიშნავს, და ამავდროულად მას აქვს უნარი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შემსწავლელის სოციალურ ბუნებაზე [Williams, 1994, გვ. 77].

ძირითადი პრინციპი სოციალურ-ფსიქოლოგიური მიდგომისა მდგომარეობს შემსწავლელის დამოკიდებულებაში შესასწავლ უცხოურ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების მიმართ. ამ პრინციპზე დაყრდნობით ენის შემსწავლელთა მიზნები ორ დიდ კატეგორიად იყოფა:

- ინტეგრაციული ორიენტაცია, რაც აისახება პოზიტიურ განწყობილებაში შესასწავლ უცხოურ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების მიმართ და სურვილში ურთიერთობა იქონიო ამ საზოგადოების წარმომადგენლებთან ან თუნდაც გახდე მათ მსგავსად მნიშვნელოვანი წევრი იმ საზოგადოებისა.
- ხელისშემწყობი ორიენტაცია, სადაც უცხოური ენის სწავლება ძირითადად ასოცირდება პოტენციურ პრაგმატულ მიღწევასთან უცხოური ენის გამოყენებით, როგორიცაა უკეთესი სამსახურის მიღება ან მაღალი ხელფასი [Gardner, 1993].

გარდნერის ზემოთ აღწერილი თეორია მხოლოდ მის ინტეგრაცია/ხელშეწყობაში როდი მდგომარეობს, არამედ უფრო ვრცელ კონცეფციაში 'ინტეგრაციული მოტივებისა', რომელიც რთული კონსტრუქციის სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

- ინტეგრაციულობა (რაც აჯამებს ინტეგრაციულ ორიენტაციას, ინტერესს უცხოური ენის მიმართ, და დამოკიდებულებას უცხოურ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების მიმართ).
- დამოკიდებულება სასწავლო სიტუაციის მიმართ (მოიცავს დამოკიდებულებას მასწავლებლისა და კურსის მიმართ).
- მოტივაცია (წარმოქმნილია მოტივაციური ინტენსივობით,
- სურვილით შეისწავლო ენა და დამოკიდებულებით ენის სწავლის მიმართ).

გარდნერის მოტივაციური მოდელის მნიშვნელოვან დანამატად გვევლინება თვითდაჯერებულობა (self-confidence), როგორც მნიშვნელოვანი მოტივაციური ქვესისტემა.

ზოგიერთი ფსიქოლინგვისტური კვლევა, მაგალითად, კრუკისა და შმიდტის ნაშრომი [Crookes and Schmidt, 1991, გვ. 469] ეძღვნება უცხოური ენის მიმართ დამოკიდებულებასა და მოტივაციის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს. მკვლევარებს სურდათ სიცარიელის ამოვსება უცხოური ენის სფეროში არსებულ მოტივაციურ თეორიებსა და საგანმანათლებლო ფსიქოლოგიას შორის, იმის დასტურად, რომ სოციალურ ცნებებზე ზედმეტი ყურადღების მიპყრობით მოტივაციის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები გამოტოვებულ იქნა ან საერთოდ იგნორირებულ იქნა. შედეგად, რამოდენიმე ახალი, გავრცობილი კონსტრუქცია შემოგვთავაზეს უცხოური ენის შესწავლის მოტივაციისა. შემდეგი ორი ცხრილი სქემატურად წარმოადგენს უცხოური ენის დაუფლების მოტივაციის კვლევის შედეგებს.

მეორე / უცხოური ენის შესწავლის მოტივაცია [Dornyei, 2001]

ენის დონე	ინტეგრეციულ-მოტივაციური ქვესისტემა, ინსტრუმენტულ-მოტივაციური ქვესისტემა
შემსწავლელის დონე	მიღწევის მოთხოვნილება, საკუთარ თავში დარწმუნებულობა, შფოთვა, ენობრივი კომპეტენცია, სხვა კომპეტენციები, თვით-ეფექტურობა
სასწავლო სიტუაციის დონე:	
ა) სასწავლო მასალასთან დაკავშირებული მოტივაციური კომპონენტები	ინტერესი მასალისადმი, კურსის შესაბამისობა შემსწავლელთა მოთხოვნილებებისადმი, წარმატების მოლოდინი,

	კმაყოფილება
ბ) მასწავლებელთან ურთიერთობასთან დაკავშირებული კომპონენტები	სურვილი ასიამოვნო მასწავლებელს, ურთიერთობის სტილი (ავტორიტარული – დემოკრატიული), მოდელირება, დავალების წარდგენა, უკუკავშირი
გ) ჯგუფელებთან ურთიერთობასთან დაკავშირებული კომპონენტები	მიზანზე ორიენტაცია, ნორმისა და დაჯილდოების სისტემა, ჯგუფის შეკრულობა, ურთიერთობა (თანამშრომლობითი, შეჯიბრებითი, ინდივიდუალისტური)

მეორე / უცხოური ენის შესწავლის მოტივაცია

[Williams and Burdens, 1997]

შინაგანი ფაქტორები:	გარეგანი ფაქტორები:
- დამოკიდებულება: შესასწავლი ენისადმი, შესაბამისი კულტურისადმი, საკუთარი უნარისადმი, დაეუფლო ენას - ინტერესი, - გამოწვევის საკმარისი დონე, - აქტივობის ღირებულება, - სასწავლო პროცესში საკუთარი როლის აღქმა: მიზნების დასახვის შესაძლებლობა, - ემოციური მდგომარეობა: შფოთვა, თავის თავში დარწმუნებულობა, - საკუთარ თავზე წარმოდგენა: სუსტი და ძლიერი მხარეების ცოდნა, წარმატებისა და "ჩავარდნის" ობიექტური შეფასება, წარმატების / წარუმატებლობის გამოცდილება, - ასაკი, სქესი	- "მნიშვნელოვანი სხვები" (მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები) და მათთან ურთიერთობის სტილი: დაფასება, დახმარება, დასჯა - გარემო: კომფორტული, უცხოური ენების საათების რაოდენობა (სწავლა-სწავლების ინტენსიობა), სასწავლო მასალების ხარისხი, - უფრო ფართო კონტექსტი: საზოგადოების დამოკიდებულება უცხოური ენებისადმი, განათლების სისტემა, კულტურული ნორმები

ეისი ვალდებულებაა შემსწავლელის მოტივირება? მოტივაციური ტექნიკა მჭიდრო კავშირშია საგნობრივ სწავლებასთან (მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია გააცნოს თავის მოსწავლეებს დავალება და ამავდროულად მოახდინოს მათი მოტივირება). ამავე დროს არანაკლები (თუ არა მეტი) მნიშვნელობა აქვს თვით-მოტივაციას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელს შეუძლია საბოლოო ჯამში სტუდენტთა თვით-მოტივირებაზე მოახდინოს გავლენა. ყოველი მასწავლებელი, რომელიც ფიქრობს სტუდენტების ხანგრძლივ განვითარებაზე, ცდილობს დააინტერესოს სტუდენტები არა მხოლოდ სწავლის ,(და დამოუკიდებელი მუშაობის) პროცესში, კონკრეტული დავალების შესრულებაში, არამედ თვით საგანში, მის გარკვეულ ასპექტებში (მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის უცხოურ ენაზე კითხვაში). მაშასადამე, შესაბამის კითხვად გვეელინება არა 'თუ როგორ უნდა მოვახდინოთ შემსწავლელთა მოტივაცია?', არამედ 'როგორ უნდა დავეხმაროთ შემსწავლელებს თვით-მოტივირებისათვის?'

ფაქტია, რომ ზოგ კლასებში / ჯგუფებში, თუნდაც არახელსაყრელ პირობებში და მასწავლებლის დახმარების გარეშეც კი, ზოგი შემსწავლელი უფრო წარმატებულია მიზნის შესრულებისათვის სწრაფვაში, ვიდრე სხვები. როგორ ახერხებენ ისინი ამას? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ფლობენ გარკვეულ თვით-მართვის უნარს გადალახონ გარემო ფაქტორებით გამოწვეული შფოთვა ან ჭარბი / დამბნევი ემოციური ან ფიზიკური მოთხოვნილებები / მდგომარეობები; მოკლედ, ისინი ახდენენ თვით-მოტივაციას. და თუ მათ შეუძლიათ ეს, უთუოდ სხვებიც შეძლებენ, განსაკუთრებით თუ მასწავლებლები უზრუნველყოფენ მათ სათანადო წვრთნას.

კუჰლისა [Kuhl, 1987] და კორნოს [Corno, 1993] ტაქსონომიებზე დაყრდნობით მოცემულია თვით-მოტივაციის სტრატეგიების ხუთი ძირითადი ჯგუფი:

1. შესრულების კონტროლი
2. მეტაკოგნიტური კონტროლი
3. კმაყოფილების კონტროლი
4. ემოციური კონტროლი
5. გარემო ფაქტორების კონტროლი

შესრულების კონტროლის სტრატეგია ეხება შეგნებულ მეთოდს, რომელიც ეხმარება შემსწავლელს შეინარჩუნოს ან წარმართოს ორიგინალური მიზნის შესრულება. ეს შეიძლება განხორციელებულ იქნას:

- კეთილგანწყობილი მოლოდინის ან პოზიტიური წამქეზებელი მიზეზის ან ჯილდოს მიღების მოლოდინით: წარმატებული შედეგის შეგნებულად წარმოდგენით შეგვიძლია მუხტი შევმატოთ მიზნისათვის სწრაფვას (მაგ. ფილმის ბევრი რეჟისორი გადაღების პროცესში ოცნებობს ოსკარის მიღებაზე.).
- ყურადღების გამახვილებით, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ორიგინალური განზრახვის წარუმატებლობას: ზოგჯერ მოქმედების მიტოვებით გამოწვეული აღქმული ნეგატიური შედეგების წარმოდგენამ შეიძლება უზრუნველყოს საკმარისი ენერგია მოქმედების შესრულებისათვის (განხორციელებისათვის).

მეტაკოგნიტური კონტროლის სტრატეგია ეხება შეგნებულ მეთოდს, რომელსაც შემსწავლელი იყენებს კონცენტრაციისათვის ან დაყოვნების შესაჩერებლად, მაგალითად:

- კონცენტრაციისათვის რეგულარული თვით-შემხსენებლების გამოყენება, როგორიცაა 'Concentrate, you're losing your edge/grip!' or 'Come on, just a little bit more!' .

- კონცენტრაციის ნაკლებობისას პოტენციური შედეგების წარმოდგენა: დაყოვნებით გამოწვეულმა შესაძლო შეცდომების დაშვების შედეგებზე ფიქრმა შეიძლება მოდუნებული ყურადღება გააააქტიუროს.
- დროში შეზღუდვის შემთხვევაში პროგრესის რეგულარული შემოწმება დროის ჩარჩოში და თავზე ძალის დატანება სამუშაოს დროში შესრულების მიზნით.
- მიმზიდველი (საინტერესო ტელეპროგრამა) ან შეუსაბამო (ხმაური), უადგილო ალტერნატივების განზრახ იგნორირება;
- განმეორებადი გულმავიწყობის (დაბნეულობის) შემთხვევაში იმ ფიქრების აღმოჩენა, რაც ყურადღებას ფანტავს, ხოლო შემდგომ თვით-შთაგონებითი პასუხის მოძებნა-განვითარება, რაც ხელს შეუწყობს აზრების მოწესრიგებას, აზრების წერილობით (გეგმის სახით) დალაგება, გასაკეთებელი დავალებების სიის ჩამოწერა.
- უმიზნო ან უშედეგო დაყოვნების შემცირება: ზოგჯერ ხანგრძლივმა დაფიქრებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მოქმედების შესრულებას ან მიზნის მიღწევას. სწორედ ამ დროს დგება საკითხი ისეთი დამოკიდებულების ათვისებისა, რაც გამოხატულია შემდეგ გამოთქმაში 'Let's not think about it any more but get down to doing it'.
- მუშაობის დაწყების რიტუალების გამოყენება ყურადღების მოკრების მიზნით: ტექნიკის მუშა მდგომარეობაში მოყვანა, მუშაობის დაწყებამდე ვებ-გვერდის შემოწმება, სამუშაო მაგიდის გადაწმენდა.

კმაყოფილების კონტროლის სტრატეგია. როცა საქმიანობა კარგავს სიახლის შეგრძნებას, იკარგება მისი წარმატებულად შესრულების ხალისი. რუტინული (თუნდაც საინტერესო) დავალებები შეიძლება გახდეს მოსაბეზრებელი. კმაყოფილების სტრატეგია

უზრუნველყოფს სავარჯიშოსთვის ელფერის შეცვლას და მიმზიდველობის მინიჭებას.

- შეიტანეთ ცვლილებები დავალებაში. ეს ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გარკვეული მოქმედებების თანმიმდევრობის არევას; კონტექსტის შეცვლას; რიტმის/ტემპის შეცვლას.
- გამოიყენეთ ფანტაზია დავალების მრავალფეროვნების მიზნით: ამ სტრატეგიამ შეიძლება უამრავი ფორმა განავითაროს. მაგალითად, დავალება შეიძლება აღვიქვათ როგორც თამაში, შექმნათ წარმოსახვითი სცენარი, წარმოვიდგინოთ საგნები სხვადასხვა პიროვნებების სახით, ან შევთავაზოთ საკუთარ თავს გონებრივი თვით-ჯილდოები ან თვით-იმპროვიზირებული შეწირულობა.

ემოციის კონტროლის სტრატეგია. გარკვეული ემოციური მდგომარეობა, როგორიცაა შფოთვა, შიში ან უიმედობა, შეიძლება გაწყვიტოს ან შეაჩეროს მოქმედება და ხელი შეუშალოს განზრახული მიზნის შესრულებას, როცა სხვები ობტიმისტურად, დადებითად არიან განწყობილი დავალების მიმართ. ემოციური კონტროლის სტრატეგიის საშუალებით შეგვიძლია დავძლიოთ აკვიატებული მდგომარეობები და ცნობიერად წარმოვშვათ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის აუცილებელი დადებითი ემოციები:

- როცა შემსწავლელი დაძაბულია, უნდა შეეცადოს და გაიხსენოს რამე სასიამოვნო და პოზიტიური, რათა განმუხტოს დაძაბულობა. ყურადღების გადანაცვლებამ მოცემული შესასწავლი მასალისაგან განსხვავებულ, მიმზიდველ თემაზე შეიძლება აგრეთვე შედეგი მოგვცეს. იგივე ეფექტის მისაღებად შეგვიძლია ვთხოვოთ მოსწავლეებს / სტუდენტებს გადაადგილდნენ აუდიტორიაში (მაგალითად, ყველა სტუდენტი

გარკვეულ ინფორმაციას აგროვებს თავისი ჯგუფელების შესახებ; ამისთვის იგი გადაადგილდება აუდიტორიაში).

- თვით-წახალისება მოიცავს პოზიტიურ თვით-შთაგონებას, დავალების კარგად შესრულების მიზნით თავზე ხელის გადასმას და ძლიერ სურვილს მომავალი მიღწევებისადმი.
- იუმორისტული ელემენტების პოვნა ნაკლებად სასაცილო სიტუაციაში.
- რელაქსაციისა და მედიტაციის მეთოდების გამოყენება. შემსწავლელებმა შეიძლება ისწავლონ, თუ როგორ უნდა გააკონტროლონ საკუთარი რეაქციები და მოახდინონ რელაქსაცია, მაგ., სტრესულ სიტუაციაში ღრმად და შენელებულად სუნთქვა ამშვიდებს ადამიანს.
- ათამდე დათვლა ვიდრე სიბრაზისაგან გავთავისუფლდებით ტრადიციული, მაგრამ ამავდროულად ეფექტური საშუალებაა ჩვენი ტემპერამენტის გასაკონტროლებლად.
- გრძნობების გაზიარება იმ მიზნით, რომ მივიღოთ დახმარება.
- ლოცვა.

გარე ფაქტორის კონტროლის სტრატეგიები ნაწილობრივ ეხება ნეგატიური გარე ფაქტორებით გამოწვეული ზეგავლენების გაუვნებელყოფას და ნაწილობრივ პოზიტიური გარე ფაქტორების ზეგავლენის გამოყენებასა და გაძლიერებას დასახული რთული მიზნის მიღწევისათვის. პირველი ასპექტი პირდაპირია: რაც ნაკლებია ხელის შემშლელი ფაქტორები, მით უფრო წარმატებულად მიიღწევა მიზანი. ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნას დაძლეული შემდეგ ორ კატეგორიად იყოფა:

- ხელისშემშლელი გარე ფაქტორები (როგორიცაა ხმაური)
- მაცდუნებელი გარე ფაქტორები (როგორიცაა მეგობრების მიერ გასართობად წასვლის შეთავაზება).

პოზიტიური გარე ფაქტორების ზეგავლენა შედარებით ირიბია. თუ ისინი ამ მომენტში არ არსებობენ, მათი წარმოშობა სრულიად შესაძლებელია. მაგალითად:

- შეხვედრის მოწყობა მოქმედების დაწყების მიზნით,
- მოქმედების დაწყების საჯაროდ განცხადება.
- 'უკან დასაბრუნებელი გზის მოჭრის' სიტუაციაში თავის ჩაგდება.
- მეგობრებისათვის დახმარების თხოვნა.

1.5. დამოუკიდებელი მუშაობისას შემსწავლელთა თვით-დაჯერებულობის გრძნობის გაზრდა და თვით-პატივისცემის დაცვა

ისეთ გადამწყვეტ ასპექტებს, როგორიცაა თვით-დაჯერებულობა და თვით-პატივისცემა, ხშირ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ექცევა ან საერთოდ იგნორირებულია სასწავლო პროცესის რეალიზაციისას. ცნება 'დაჯერებულობა' ('confidence') ძალიან ახლო კავშირშია 'თვით-პარივისცემის' ('self-esteem'), 'თვით-ეფექტურობის' ('self-eficacy') და 'შფოთვის', ('anxiety') ცნებებთან. ამ თვისებების გამომუშავება სტუდენტებში გავლენას ახდენს, ერთის მხრივ, დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციაზე, მეორე მხრივ კი, მის ეფექტურობაზე.

თვით-პატივისცემა და თვით-დაჯერებულობა შენობის ფუნდამენტის მსგავსად თუ მტკიცე არ არის, საუკეთესო ტექნოლოგიის გამოყენებითაც კი ვერ აშენდება მყარი კედლები. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველაზე კრეატული მოტივაციური იდეები, მაგრამ თუ სტუდენტებს საკუთარ თავში ეპარებათ ეჭვი, ისინი ვერ 'გაიფურჩქნებიან' როგორც შემსწავლელები.

როგორ უნდა წარმოვშვათ თვით-დაჯერებულობა (self-confidence) ენის შემსწავლელებში? ამისათვის არსებობს რამოდენიმე პირდაპირი და ირიბი გზა:

- წარმატების გამოცდილების უზრუნველყოფა,
- შემსწავლელთა წაქეზება,
- შფოთვის მოხსნა,
- შემსწავლელთათვის დამოუკიდებელი მუშაობის სტრატეგიების სწავლება.

წარმატება წარმოშობს წარმატებას, ამიტომ უმჯობესია დამოუკიდებელი მუშაობის დაწყება ისეთი მასალითა და დავალების ფორმით, რომელიც გასაგები და ნაცნობია. შემდგომ დამოუკიდებელ მუშაობაში შეიძლება თანდათანობით უცნობი მასალა და რთული დავალებებიც ჩაირთოს.

ცხადია, რომ ძალიან ადვილი დავალების შესრულებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია – სტუდენტებსაც კარგად უნდა ჰქონდეთ გათვითცნობიერებული, რომ ამ სახის სავარჯიშოები დიდი წარმატების საწინდარი არ არის, მაგრამ სიამაყე, რომელიც წარმატებას მოსდევს ხოლმე, ხელს უწყობს თვით-ღირებულებისა და თვით-დაჯერებულობის გრძნობის წარმოშობას [Covington and Teel, 1996], ამიტომაც გამოსადეგია დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებით ეტაპზე.

რაც შეეხება უცხოური ენის უნარ-ჩვევების დონის შესაფასებელ ტესტებს, სწორედ ტესტებში მიღებული დაბალი ქულები ყველაზე მეტად უკარგავს სტუდენტებს ინტერესს სწავლის (და დამოუკიდებელი მუშაობის) მიმართ. უაღრესად მნიშვნელოვანია, სტუდენტმა იგრძნოს კავშირი მისი დამოუკიდებელი მუშაობის წარმატებასა და ტესტირების შედეგებს შორის. დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის უნდა ასახავდნენ მოსალოდნელი მიმდინარე კონტროლის დავალებების ტიპს, მათ სირთულის დონეს.

ტესტირება კარგავს ეფექტურობას, თუ მისი შედეგები სრულიად არ ასახავს მის მიერ ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობას. მიმდინარე ტესტები ისე უნდა შედგეს, რომ მომუშავე სტუდენტმა იგრძნოს მისი შრომის წარმატება. ისიც შეიძლება დამატებულ იქნას, რომ ტესტებში მიღებული წარუმატებლობაც მკაცრი კონფიდენციალურობითა და წინასწარ მითითებითი მანერით უნდა განიმარტოს, რადგან აწმყოში დაშვებული შეცდომები შეიძლება გათვალისწინებულიქნას მომავალში.

შემსწავლელთა რეგულარული წარმატების გამოცდილების უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- წარმატების შესაძლებლობების გაზრდა ენობრივ ჯგუფებში, დავალების სირთულის დონის შეწყობა სტუდენტთა შესაძლებლობებთან და მომთხოვნი დავალებების გაწონასწორება ადვილად შესასრულებელ დავალებებთან,
- ტესტების შედგენა შემსწავლელთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, და აგრეთვე, პროგრესირებადი ელემენტების დართვა.

თვით-პატივისცემა და თვით-დაჯერებულობა სოციალური გარემოს შედეგებია (პროდუქტებია), რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი წარმოიქმნებიან და ყალიბდებიან ირგვლივ მყოფი საზოგადოების მიერ. ბავშვობის ასაკიდან დაწყებული ადამიანის ინდივიდუალურობა ვითარდება მიღებული შთაბეჭდილებებით. ამიტომაც, ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურის აზრი, როგორიცაა მასწავლებელი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემსწავლელთა თვით-იმიჯის გაღრმავება/შესუსტებაში. "როცა ის, ვისაც შენ პატივს ცემ, თვლის, რომ შენ შეგიძლია წარმატებით ისწავლო, შენც გწამს, რომ შეგიძლია" [Raffini, 1993, გვ. 147].

წაქეზება პოზიტიურად დამაჯერებელი გამოხატულებაა იმ რწმენისა, რომ შემსწავლელებს გააჩნიათ უნარი გარკვეული მიზნის

მიღწევისა. მას შეუძლია შემსწავლელი დაარწმუნოს პირად ძალასა და შესაძლებლობებში, ან გააღრმავოს პიროვნული ნდობის გრძნობა. ნამდვილად, ზოგჯერ მასწავლებლისა და თანაჯგუფელების სტუდენტის მიმართ ნათქვამმა ერთმა წამაქეზებელმა სიტყვამაც შეიძლება შედეგი გამოიღოს. ნდობის გამოხატვას შეუძლია უძლიერესი ეფექტის მოხდენა, თუნდაც ყველაზე რთული დავალების შესრულებისას მათი შესაძლებლობების გამომჟღავნების მიზნით.

რეგულარული წაქეზების უზრუნველყოფით შესაძლებელია სტუდენტთა დაჯერებულობის განვითარება, კერძოდ:

- სტუდენტთა ყურადღების გადატანა მათ ძალასა და შესაძლებლობებზე.
- მინიშნება, რომ გჯერათ მათი ძალისხმევისა შეისწავლონ ენა და წარმატებით იმუშაონ დამოუკიდებლად.

როგორც ცნობილია, უცხოური ენის მეცადინეობა და მითუმეტეს დამოუკიდებელი მუშაობა განსაკუთრებულად შფოთვის გამომწვევია, რადგან შემსწავლელებს კომუნიკაცია საკმაოდ შეზღუდული ენობრივი მასალით, რომელსაც სტუდენტები ფლობენ, უხდებათ. შედეგად, სხვადასხვა სახის ენობრივი შეცდომები ბოჭავს მათ მეტყველებაში და კომუნიკაციური შინაარსი ბევრად დაბალი დონისაა სტუდენტის ინტელექტუალურ სიმწიფესთან შედარებით. ამიტომაც სავსებით ნათელია, რომ "ენობრივი ბარიერი" ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც მოტივაციისა და მიღწევის შემამცირებელი ძირითადი ფაქტორი [MacIntyre, 1999].

როგორ შეიძლება ენის გაკვეთილი და მასზე დამოუკიდებელი მუშაობა "ბარიერისაგან თავისუფალ ზონად" ვაქციოთ? პასუხი მარტივია: იმ ფაქტორების შემცირებით ან მოხსნით, რომლებიც იწვევენ შფოთვას. თუ ჯგუფში ზოგადად თბილი და მზრუნველობითი გარემო სუფევს, ჩათვალეთ, რომ შედეგი თითქმის მიღწეულია. წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობისას უფრო ძლიერი

სტუდენტი არის იმის გარანტი, რომ შეცდომები არ იქნება დაშვებული და რომ წამოჭრილი პრობლემები (მაგალითად, საჭირო სიტყვის / ფორმის არცოდნა) წარმატებით იქნება გადაჭრილი. შინ მუშაობისას კარგია, თუ სტუდენტს ექნება "გასაღები", რომლითაც ის შეამოწმებს თავისი ნაშრომის სისწორეს, ან საცნობარო მასალა, რომელსაც იგი გამოიყენებს ყოყმანის შემთხვევაში.

ენის გაკვეთილზე და უცხოურ ენაზე დამოუკიდებელი მუშაობისას "ენობრივი ბარიერისაგან თავისუფალი" გარემოს შესაქმნელად აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- *სოციალური შედარება:* სოციალურმა შედარებამ სწავლის პროცესში შეიძლება შელახოს, ზოგიერთი ნაკლებად წარმატებული სტუდენტის, თვით-პატივისცემის გრძნობა. ამ მიზნით, თავი უნდა ავარიდოთ ნიშნების საჯაროდ გამოცხადებას (ზოგჯერ შეიძლება მხოლოდ მაღალი ნიშნები გამოცხადდეს);

- *შეჯიბრება:* შეჯიბრებითი ჯგუფი, ისეთი ჯგუფია, სადაც სტუდენტები ერთმანეთის წინააღმდეგ მუშაობენ. მოტივაციის მკვლევარების უმრავლესობა [Ames, 1992; Covington, 1992] ამტკიცებს, რომ არაფერია ცუდი "ჯანსაღი" შეჯიბრებითი მეთოდის მცირე დოზით გამოყენებაში [Covington and Teel, 1996, გვ. 108] ამგვარად რეკომენდირებულია, რომ შევასრულებინოთ სტუდენტებს შეჯიბრებითი ხასიათის დავალებები და ამავე დროს ხელი შევუწყოთ თანამშრომლობას;

- *შეცდომები:* მესამე ძირითად წყაროდ ენობრივი ბარიერისა გვევლინება შეცდომების დაშვების შიში. ენის გაკვეთილზე ამგვარი შიში ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ ზოგიერთი სტუდენტი პრაქტიკულად ამჯობინებს სიჩუმეს, ვიდრე ისაუბროს გრამატიკული შეცდომების დაშვებით. მასწავლებლების უმრავლესობას ჩვევად აქვს ქცეული ყოველი შეცდომის გასწორება და სტუდენტთა უმრავლესობაც ელოდება მათი შეცდომების გასწორებას.

თანამედროვე მეთოდები ტიპიურად გვთავაზობენ შეცდომების სელექციურ გასწორებას ისე, რომ კომუნიკაცია არ ჩაიხშოს და სტუდენტებმა არ დაკარგონ დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი, მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც უნდა ესმოდეთ, რომ არ არსებობს სწავლა შეცდომების გარეშე, ამიტომ აუცილებელია შეცდომების მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულება შემუშავდეს;

- *ტესტები და შეფასება:* შეფასება (დაბალი შეფასების მიღების შიში) ენობრივი ბარიერის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია, არადამაკმაყოფილებელი შედეგი შეიძლება გაკონტროლებულ იქნას წინასწარი გაფრთხილებით და ტესტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. ტესტების ჩატარების დროს სტუდენტები დროში ძალიან ლიმიტირებული არ უნდა იყვნენ, რათა ყველაზე ნელმა სტუდენტებმაც შეძლონ სამუშაოს დასრულება. შემსწავლელზე ორიენტირებულ სწავლებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ორ ასპექტს ტესტირებისას: 1) იმისათვის რომ პოტენციური წარუმატებლობის დაძაბულობა შემცირდეს, სტუდენტებს, ვინც ჯეროვნად ვერ შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები, უნდა შევთავაზოთ საბოლოო ნიშნის გაუმჯობესების შესაძლებლობა; 2) საბოლოო ნიშანი ორგზის შეფასების შედეგი უნდა იყოს, (მაგალითად, სტუდენტებმა, ტესტის გარდა, თავიანთი ცოდნა უნდა გამოავლინონ ზეპირ პასუხშიც).

იმისათვის, რომ ენობრივი ბარიერის გამომწვევი ელემენტების შემცირებას ან თავიდან აცილებას შევუწყოთ ხელი, სასწავლო გარემოში აუცილებელია:

- სოციალური შედარების აცილება, თუნდაც "უვნებელი" ფორმით,
- შეჯიბრების ნაცვლად ძირითადად თანამშრომლობის ხელის შეწყობა,

- სტუდენტებისთვის იმის ახსნა, რომ შეცდომები სასწავლო პროცესის ნაწილია,
- ტესტების და შეფასების სრული "გამჭვირვალობა" და სტუდენტთა ჩართვა საბოლოო ნიშნის გამოყვანაში.

რათა სტუდენტს თავის უნარში, იმუშაოს უცხოენოვან მასალასთან დამოუკიდებლად, რწმენა განუვითარდეს, არ არის საკმარისი დავალების სირთულის დონე შეესაბამებოდეს სტუდენტის კომპეტენციას. საჭიროა მას გარკვეული დახმარება გაეწიოს. დახმარებაში ჩვენ არ ვგულისხმობთ ყველა ენობრივი სირთულის წინასწარ მოხსნას, არამედ ისეთი სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტს, ყველა სირთულე დაძლიოს დამოუკიდებლად.

"სასწავლო სტრატეგიები", რომლებიც სპეციფიკური სწავლის ტექნიკას ეხება და აუმჯობესებს სწავლების ეფექტურობას, მოიცავს ლექსიკის დასწავლის მეთოდებს, ლექსიკონთან მუშაობის ხერხებს, კონტექსტზე დაყრდნობით სემანტიზაციის უნარ-ჩვევებს და ა.შ. ესენია:

- ენობრივი მასალის აზრობრივი პრინციპით (მაგალითად, თემატურად) დაყოფა,
- ახალი ენობრივი ინფორმაციის უკვე მეხსიერებაში არსებულ ცნებებთან დაკავშირება,
- ახალი სიტყვის / ფრაზის წინადადებაში ჩასმა დამახსოვრების მიზნით,
- ახალი ლექსიკის სწავლა ბარათების გამოყენებით,
- ახალი სიტყვების დასწავლა აზრობრივ-ვიზუალური წარმოსახვის საშუალებით,
- ახალი გამოთქმის მნიშვნელობის დადგენა მისი დანაწევრებით,
- ახალი მასალის ზეპირი თუ წერილობითი მოკლე შინაარსის შედგენა,

- ახალი მასალის კლასიფიკაცია, წესრიგში მოყვანა ან კატეგორიებად დაყოფა,
- ენობრივი ელემენტების სპეციფიკური ასპექტების წინასწარ არჩევით დასწრება,
- შესასწავლი მასალის ძირითადი სიძნელეების დაწვრილებით განხილვა,
- ახლად დასწავლილი ენობრივი მასალის რეგულარულად გამეორება,
- მნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩანიშვნა ან ამოწერა,
- შემსწავლელის პირადი პროგრესის რეგულარული შეფასება შესასწავლ უცხოურ ენაზე,
- პრაქტიკის სარეზერვო შესაძლებლობების წარმოშობა ან აღმოჩენა (მაგალითად, ჭურჭლის რეცხვის ან სერიალის ნახვის პროცესში),
- სხვებისაგან დახმარების ძიება,
- კითხვების დასმა გაუგებარი მასალის გარკვევის მიზნით,
- ახალი მასალის მეგობართან ერთად გავარჯიშება [O'Malley and Chamot, 1990].

იგივე მიზნით სტუდენტებს შეიძლება ვასწავლოთ "კომუნიკაციური სტრატეგიები", რომლებიც დაეხმარება მათ კომუნიკაციაში სიძნელეების გადასალახავად:

- თემის აცილება,
- საუბრის თემის შეცვლა,
- სიტყვის მნიშვნელობის აღწერა ან მაგალითის გამოყენება (e.g. "the thing you open bottles with" for a 'corkscrew'),
- მიახლოებითი მნიშვნელობის გადმოცემა: ძნელად დასასწავლი სიტყვების ნაცვლად ახლოს მდგომი ალტერნატული

ტერმინების ან გამოთქმების გამოყენება. (e.g. "ship" for "steamboat"),

- ყოველად-მიზნობრივი სიტყვების გამოყენება: ე.წ. "ცარიელი ლექსიკური ერთეულების" (dummies) გამოყენება, სადაც სპეციფიკური სიტყვების ნაკლებობაა. (e.g. the use of "thing", "stuff", "make", "do", as well as using words like "what-do-you-call-it", "what's-its-name", etc.),
- ახალი სიტყვების შექმნა: სავარაუდო წესზე დაყრდნობით არსებული უცხოური ენის სიტყვის წარმოქმნა (e.g. 'vegetarianist' for 'vegetarian'),
- ექსტრალინგვისტური საშუალებების გამოყენება: მიმიკა, ჟესტი, სახის გამომეტყველება ან ხმის იმიტაცია,
- სიტყვასიტვითი თარგმანი: შესიტყვებების, იდიომების, რთული სიტყვის ან გრამატიკული კონსტრუქციის სიტყვასიტყვითი თარგმანი მშობლიური ენიდან უცხოურ ენაზე,
- გაუცხოება: მშობლიურ ენაზე ნასესხები (საერთაშორისო) სიტყვის გამოყენება მისი უცხოური ენის სიტყვათან ფონოლოგიურად და/ან მორფოლოგიურად.
- სასარგებლოა ასევე შეეუმუშაოთ სტუდენტებს თავის არიდების ან დროის მოგების სტრატეგიები:
- სიჩუმის შემავსებლების ან სხვა საყოყმანო საშუალებების გამოყენება (e.g. "well", "now let me see", "as a matter of fact", etc.)
- ინტერაქტიული სტრატეგიების გამოყენება, როცა თანამოსაუბრეს მივმართავთ დახმარებისთვის (e.g. "What do you call ...?").
- განმეორების თხოვნა, როცა არ გესმით ან ვერ გებულობთ ნათქვამს (e.g. "Sorry?" / "Pardon?"),

- კითხვა ნათქვამის შინაარსის ნათლად გარკვევისათვის: უცნობი მნიშვნელობის სტრუქტურის განმარტების მოთხოვნა (e.g. "What do you mean?", "The what?").
- კითხვა დასტურისათვის: კითხვა დასტურისათვის გაიგო თუ არა სწორად (e.g "Do you mean.....?" / "Is that what you mean?"/ "Dis I get it right?").
- ვერგაგების გამოხატვა (e.g. 'Sorry, I don't understand', 'I think I've lost the thread').

მაშასადამე, თუ ნებისმიერი საგნის შემსწავლელს, მათ შორის უცხოური ენის სტუდენტს, არ ჩამოუყალიბდება საკუთარი ძალების რწმენა, იგი მხოლოდ ელემენტარულ დონეზე თუ შეძლებს დამოუკიდებელ მუშაობას. სტუდენტი კი, რომელიც საკუთარ თავს სცემს პატივს, არა მხოლოდ განახორციელებს დამოუკიდებელ მუშაობას, არამედ შეეცდება შეასრულოს იგი მაღალ დონეზე. თუ მასწავლებელი გააცნობს სტუდენტებს მათი პრობლემების დაძლევის სტრატეგიებს, იგი ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი მუშაობის შესწულებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

II თავი. ენობრივ შაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზების მეთოდური საკითხები

2.1. შემსწავლელზე-ორიენტირებული კურიკულუმი

განათლების ისტორიაში სწავლების თეორია მრავალი წლის განმავლობაში წარმოდგენილი იყო სრულიად ცენტრალიზებული კურიკულუმით. სახელწოდებიდან გამომდინარე სასწავლო პროგრამას მასწავლებელს ტრადიციულად განათლების სამინისტრო ან სასწავლებლის ადმინისტრაცია აწვდიდა, ხოლო მასწავლებლის როლი ამ პროცესში მხოლოდ მისი შესრულებით შემოიფარგლებოდა. მოსწავლეს ან სტუდენტს, მითუმეტეს, სასწავლო პროგრამის შედგენაზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო.

საზოგადოების განვითარების ტენდენციების შესაბამისად წინ წამოიწია შემსწავლელზე-ორიენტირებული კურიკულუმის განვითარებამ და ცვლილებებმა მოსწავლე-მასწავლებელს შორის დამოკიდებულებაში.

თანამედროვე დიდაქტიკაში უკვე ლაპარაკობენ სწავლების ისეთ მოდელზე, რომლის ცენტრშიც მოსწავლის ფიგურა იმყოფება, შემსწავლებლისა და მასწავლებლის ურთიერთობა განიხილება როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორების ურთიერთობა, უფრო მეტიც, შემსწავლელის მოთხოვნილება უფრო ანგარიშგასაწევია, ვიდრე მასწავლებლისა. დღეს არსებობს ტენდენცია სასწავლო პროგრამა შეადგინონ მასწავლებელმა და შემსწავლელებმა, უკანასკნელთა ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით.

ზრდასრული ადამიანების სწავლების თეორიასა და პრაქტიკას გააჩნია დიდი ისტორია, თუმცა სულ ახლახანს მოხდა ამ თეორიისა და პრაქტიკის უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირება.

ზრდასრულ ადამიანთა სწავლების უმნიშვნელოვანესი თეორეტიკოსები ბრუნდიჯი და მაკერესერი [Brundage and MacKeracher, 1980], რომელთა წიგნი Adult Learning Principles and Their Application to Programme Planning რეგულარულად იხილება თანამედროვე ენის სწავლების ლიტერატურაში, გვთავაზობენ მათ მიერ აღმოჩენილ ზრდასრულ ადამიანთა სწავლების რამოდენიმე პრინციპს:

- ზრდასრული ადამიანები, რომლებიც აფასებენ საკუთარ გამოცდილებას როგორც საყრდენს მომავალი სწავლისათვის ან ვისი გამოცდილებაც ფასდება სხვების მიერ, უკეთესი შემსწავლელები არიან.
- ზრდასრული ადამიანები სწავლობენ უკეთესად, როცა ისინი მონაწილეობენ სასწავლო მიზნის განვითარების პროცესში, რომელიც ესატყვისება მათ მიმდინარე და გაიდეალებულ თვით-კონცეფციას.
- ზრდასრულ ადამიანებს უკვე აქვთ განვითარებული ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ორგანიზებული მეთოდები. ეს ყოველივე განიხილება როგორც კოგნიტური სტილი.
- ზრდასრული შემსწავლელი ყოველ გამოცდილებაზე რეაგირებს ისე, როგორც თვითონ აღიქვამს მას და არა ისე, როგორც მასწავლებელი აცნობს მას.
- ზრდასრული ადამიანები სწავლის პროცესში თავიანთი გამოხატულებებისა და გრძნობების ორგანიზებული ერთობლიობით ერთვებიან, რაც აისახება სასწავლო პროცესზე.
- ზრდასრული ადამიანები უფრო მეტად ინტერესდებიან იმ ცვლილებებით, რაც ასახავს მათ საკუთარ გაიდეალებულ თვით-კონცეფციას, ვიდრე სტანდარტულ, სხვების მიერ დასახულ მიზნებს.

- ზრდასრული ადამიანები ვერ სწავლობენ, როცა ისინი ზედმეტი ზეწოლის ქვეშ არიან ან იმყოფებიან სტრესისა და დაძაბულობის ქვეშ.
- ზრდასრული ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა არხებიდან შეუძლიათ ინფორმაციის წარმოება და იციან 'როგორ უნდა ისწავლონ' ყველაზე პროდუქტულ შემსწავლელებად ითვლებიან.
- ზრდასრული ადამიანები საუკეთესოდ სწავლობენ, როცა შესასწავლი მასალა მათ წარსულ გამოცდილებას ან მიმდინარე ინტერესებს ასახავს.
- ზრდასრული ადამიანები საუკეთესოდ სწავლობენ, როცა ახალ ინფორმაციას სხვადასხვა სახის მგრძნობელობითა და გამოცდილებით აცნობენ. [Brundage and MacKeracher, 1980 ; გვ. 21-31]

კვლევები ცხადყოფს, რომ ზრდასრული შემსწავლელები წარსული სწავლის გამოცდილების, მიმდინარე ინტერესებისა და მომავალი პერსპექტივების ღრმა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული სწავლაში სწავლისათვის, ვიდრე სწავლაში მიაღწიონ არც ისე შორეულ ცხოვრებისეულ მიზნებს.

ზრდასრული ადამიანებისათვის უცხოური ენის სწავლების კვლევებში, ბრინდლი [Brindley, 1984] გვთავაზობს:

... ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს მუდმივი განათლების ცნებას, მდგომარეობს იმაში, რომ განათლებამ პიროვნებაში უნდა განავითაროს უნარი საკუთარი ბედის კონტროლისა და ამავდროულად შემსწავლელი უნდა იმყოფებოდეს საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში. სასწავლო დაწესებულებებისა და მასწავლებლებისათვის ეს ნიშნავს იმას, რომ სასწავლო პროგრამა შემსწავლელის მოთხოვნებზე უნდა იყოს ორიენტირებული და რომ შემსწავლელებმა თვითონ უნდა

განავითარონ თავიანთი პასუხისმგებლობა სასწავლო მიზნების შინაარსისა და მეთოდების არჩევით, ასევე გამოყენებული მეთოდების განსაზღვრით მათი შესრულების შესაფასებლად. [Brindley,1984; გვ.15]

აქდან გამომდინარე, ბრინდლი ზრდასრულ შემსწავლებლებს განიხილავს არა როგორც პასიურ ამთვისებლებს სასწავლო მასალისა, არამედ როგორც პიროვნებებს, რომლებსაც გააჩნიათ "დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება", რაც შეიძლება ჩართულ იქნას სწავლების პროცესში.

იქმნება კონფლიქტური სიტუაცია: ერთის მხრივ, არსებობს საგნის გეგმა, რომლის შედგენაც მოეთხოვება მასწავლებელს (ან კათედრას / მოდულს / მიმართულებას და ა.შ.) სასწავლო პროცესის დაწყებამდე, და არსებობს თანამედროვე პედაგოგიკის სრულიად სამართლიანი მოთხოვნა, სასწავლო გეგმა შედგენილ იქნას მასწავლებლისა და სტუდენტების მიერ, რათა რეალიზებული იქნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. თუ გვსურს სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზაცია, რომ იგი პასუხობდეს ოფიციალურ მოთხოვნებს და პედაგოგიური მეცნიერების უახლეს მონაპოვრებს, კომპრომისი უნდა ვიპოვოთ. ეს კომპრომისი არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც (ფართო თემატიკით, ენობრივი მასალით) ეფუძნება წინასწარ შედგენილ გეგმას (ამ გეგმის შედგენის პროცესშიც მასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს, გამოცდილებაზე დაყრდნობით, "სტატისტიკური", "სტანდარტული" სტუდენტის ინტერესები გაითვალისწინოს), მაგრამ ადაპტირებულია სტუდენტთა კონკრეტული ჯგუფის უნარებისადმი და ინტერესებისადმი. სემესტრის დასაწყისში მასწავლებელი ატარებს მეცადინეობას, რომელზეც მას სტუდენტებთან ერთად შეაქვს გარკვეული კორექტივები (მაგალითად, არა აბსტრაქტული "ღირსშესანიშნაობების დათვალიერება", არამედ კონკრეტული და

თანამედროვე "ვირტუალური მოგზაურობა ლონდონის მუზეუმებში"). გარდა იმისა, რომ ეს გაკვეთილი ნამდვილად კომუნიკაციური გამოვა (სტუდენტები ისწავლიან იმას, რაც აინტერესებთ, თუ შეძლებენ მიიტანონ ეს ინფორმაცია მასწავლებლამდე), იგი საშუალებას მოგვცემს სემესტრის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა.

2.2. ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში სტუდენტთა დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზება

უცხოური ენის სწავლების პროცესში სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას და მათ ორგანიზებას უდიდესი როლი უკავია ენის საფუძვლიანად დაუფლებისათვის. დამოუკიდებლად მუშაობა მეტად რთული და კომპლექსური პროცესია, რომელიც შედგება როგორც შემსწავლელთა ინდივიდუალური სტილის გათვალისწინებისაგან, ისე პასიხისმგებლობისა და ავტონომიის საჭირო დოზით წარმოშობა-განვითარებისაგან. თუ შემსწავლელი თვითონ არ იქნება პასუხისმგებელი და თვით-დაჯერებული მოქმედების შესრულებაში ის ყოველთვის აარიდებს თავს მოცემულ დავალებას და შესაბამისად სწავლის პროცესი დაბალ-ეფექტური იქნება. აქედან გამომდინარე, ყოველი მასწავლებლის პირდაპირ და უშუალო მოვალეობაში უნდა შედიოდეს სტუდენტთა მოტივირება და სტიმულირება სასურველი კუთხით, რათა მათ შეძლონ თავი გაართვან ან მონდომებითა და დიდი სურვილით შეასრულონ მოცემული დავალება დამოუკიდებლად. შემსწავლელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მასწავლებელმა და სტუდენტებმა ერთობლივი ძალებით უნდა შეიმუშაონ შესაბამისი სტრატეგიები პასუხისმგებლობის გრძნობისა და ავტონომიის წარმოშობა-განვითარებისათვის და, თუ საჭირო

გახდება, მასწავლებლებმა აითვისონ ფასილიტატორული სტილი. ასე, მაგალითად, სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, სემესტრში, თვეში ან კვირაში ერთხელ სტუდენტები საკუთარი ინიციატივით გამოდიან და ამზადებენ მოხსენებებს. თემას მოხსენებისთვის სტუდენტები სურვილის მიხედვით ირჩევენ და ხალისით ამზადებენ კიდევაც. უფრო მეტი, თუ თემა, რომლის მომზადებაც სტუდენტმა თვითონ გადაწყვიტა (და არა ვიღაცამ დააძალა), არ იქნება მომზადებული, ამან შეიძლება იმოქმედოს სტუდენტის სტატუსზე ჯგუფში, და, შესაბამისად, მის თვით-შეფასებაზე იმოქმედოს. და, პირიქით, თუ თემა არა მხოლოდ მომზადებულ იქნა, არამედ სტუდენტის ჯგუფელებს მოეწონა, ეს აწევს სტუდენტის თვით-შეფასებას და სტატუსს ჯგუფში.

პირველ კურსზე საშინაო დავალებების მიცემისას დავალებების მოცემული სახე ჯერ მეცადინეობაზე უნდა იყოს გამოყენებული, ხოლო შემდეგ – მიეცეს სტუდენტებს შინ შესასრულებლად. მომდევნო კურსებზე დასაშვებია ჯერ უცნობი სახის დავალების მიცემაც, იმ პირობით, რომ დავალების ფორმულირება მარტივი და გასაგებია. იგივე პრინციპით შეირჩევა მასალა შინ გასაკეთებელი სავარჯიშოებისათვის: პირველ თვეებში – მხოლოდ გაკვეთილზე ნასწავლი მასალა, მოგვიანებით – მასალის დამოუკიდებლად შესასწავლად. სტუდენტების მიერ ენის ცოდნის დონისა და მათი შემოქმედებითობის დონის გათვალისწინებით მეორე კურსიდან ან მოგვიანებით შეიძლება დავავალოთ სტუდენტებს, თვითონ შეადგინონ სავარჯიშოები ნასწავლი მასალის უკეთესი შეთვისების მიზნით.

თხრობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საკუთარი სტრატეგიის შემუშავების შესახებ საუბარი ეხმარებათ სტუდენტებს, დამოუკიდებლად მოამზადონ ზეპირი მონოლოგური გამოსვლა. მოცემული სამეტყველო სავარჯიშოებიდან მიეცეთ სტუდენტებს

არჩევანი, მოამზადონ ერთი ან რამოდენიმე მათგანი, რომელიც გაუადვილებს მათ ახალი მასალის ათვისება.

დამოუკიდებლად წაკითხული ტექსტის გაგებისა და შინაარსის გადმოცემის უნარი მოწმდება სტუდენტების მიერ შედგენილი კითხვების შეჯერებით და შემდგომ პასუხის გაცემით. თითქმის ყველა შეეცდება მათივე მიერ შედგენილ კითხვაზე პასუხი გასცეს. აქედან გამომდინარე სტუდენტთა ჩართულობა სწავლების ორგანიზებაში გაზრდის მათ აქტიურობას არა მხოლოდ გამოსაკითხი მასალის მიმართ, არამედ ჯგუფურ ინტერაქტივშიც.

აუცილებელია მივცეთ სტუდენტებს ურთიერთკონტროლის საშუალებაც, ჩაინიშნონ არასწორად გაცემული პასუხები და შეძლებისდაგვარად გაასწორონ ისინი. მნიშვნელოვანია, ურთიერთკონტროლი არ იყოს პირადული მიმართულების (მთავარია შეცდომა გასწორდეს, და არა სტუდენტი შეფასდეს). ურთიერთკონტროლი გაზრდის სტუდენტთა თვითდაჯერებულობის გრძნობას და დაეხმარება მათ აღარ დაუშვან მსგავსი შეცდომები შემდგომში. მასწავლებლის როლი ამ სახის სავარჯიშოს შესრულებისას მინიმუმამდეა დაყვანილი, თუ არ ჩავთვლით მის მიერ წინასწარ შედგენილ სავარჯიშოთა ტიპების მენიუს მიწოდებას და კონსულტანტის ფუნქციას გამოკითხვისას. მსგავსი სავარჯიშოს შესრულებისას მასწავლებელი სრულ ავტონომიას ანიჭებს შემსწავლებლებს და ამავდროულად ითვისებს ფასილიტატორულ სტილსაც, რაც უცხოური ენის დაუფლების პროცესის მეტ წარმატებულობას განაპირობებს.

როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზებისათვის აუცილებელია მასწავლებელმა მოახდინოს მათი მოტივაცია და ხელი შეუწყოს სტუდენტთა თვითმოტივაციის ჩამოყალიბებას. აუცილებელია ამაღლდეს სტუდენტთა შეგნება.

სტუდენტთა თვით-მოტივაციის სტრატეგიების შემუშავებისთვის, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს შემდეგი ექსი ძირითადი ფაზა:

- გაარკვიოს, რომელ თვით-მოტივაციურ სტრატეგიას იყენებენ სტუდენტები, და განიხილოს ის მათთან,
- შესთავაზოს და ნიმუშად მოუყვანოს რამოდენიმე ახალი სტრატეგია,
- უზრუნველყოს მიზანშეწონილობა სტრატეგიის გამოყენებისა; შემსწავლელები მხოლოდ იმ პირობით მიაღწევენ საკუთარ მიზნებს, თუ გამოიყენებენ იმ სტრატეგიებს, რომლებიც უკვე გააჩნიათ, და განავითარებენ ახალ სტრატეგიებს,
- გამოიყენოს ინსტრუქციული (guided) სავარჯიშოები ან გამოცდილება, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებს სტრატეგიების პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის,
- წაახალისოს ისინი, განავითარონ მათი საკუთარი სტრატეგიები,
- მოახდინოს სტუდენტთა შორის სტრატეგიების გაზიარების ორგანიზება: დროდადრო თხოვოს სტუდენტებს გაუზიარონ ერთმანეთს მათ მიერ შემუშავებული სასარგებლო სტრატეგიები.

დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების მნიშვნელოვანი ასპექტი არის სტუდენტთა მიერ ობიექტური თვითშეფასების უნარის განვითარების ხელშეწყობა.

მთავარი მიზანი შეფასებისა მდგომარეობს შემსწავლელის პროგრესის შემოწმებაში, არის თუ არა ის დამაკმაყოფილებელი და იმ შემთხვევაში, თუ არა, დავადგინოთ მიზეზი ან მიზეზები და შევთავაზოთ გამოსასწორებელი საშუალებები.

შემსწავლელზე-ორიენტირებულ სისტემაში სტუდენტები არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, სასაუბრო თემატიკის, ტექსტებისა და სავარჯიშო-დავალებების შერჩევაში, არამედ

საკუთარი მიღწევების შეფასებაში უნდა გახდეს ცენტრალური ფიგურა. სტუდენტის მიერ საკუთარი გამონათქვამის სისწორის თვითშეფასება მჭიდროდ დაკავშირებულია სტუდენტის რწმენასთან საკუთარ ძალებში, თვით-პატივისცემასთან. ასევე, შფოთვის მაღალი დონის ქონა ხელს უშლის სტუდენტს დამოუკიდებელ მუშაობაში და თვითშეფასებაში. უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტებს თვითშეფასებისას სათანადო კრიტერიუმები შეუმუშავდეთ.

შესაძლებელია ასეთი კრიტერიუმების შემუშავებას სპეციალური გაკვეთილი დავუთმოთ. ნიმუშად განვიხილოთ კითხვები, რომლებსაც ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩვენი სტუდენტები ამ მიზნით იყენებდნენ:

Table 1.

Self-assessment of proficiency

1. I can ask for factual information.	YES	NO
2. I can provide personal details.	YES	NO
3. I can understand weather forecasts on the radio.	YES	NO
4. I can read public notices.	YES	NO

Imagine you are watching a television show in English with subtitles. Suddenly the subtitles disappear.

How much would you understand?



(*Adapted from*: Oskarsson 1980)

Table 2.

Self-diagnosis of reading difficulties

I have problems
- understanding the general meaning .....
- picking out the main information .....
- because I find too many words I don't understand .....
- because I always feel I am missing some of the information .....
- following the points in an argument .....
- understanding the details .....
- following instructions .....
- reading newspapers .....
- reading stories or novels .....
- understanding official letters or forms .....

Table 3.

Self-Evaluation of learning activities

Activity	*I like*	*It's OK*	*I don't like it*
Listening to authentic conversations			
Watching the TV news			
Singing songs			
Doing grammar			
Doing pronunciation			
Doing drills in the language lab			
Doing group work			
Doing role-play			
Playing games			
Writing letters			
Reading the newspaper			

Table 4.

Self-Evaluation of materials

Tick the box

Activity	*I like*	*It's OK*	*I don't like*
Worksheets			
Videotapes			
Cassette recordings			
Strategies			
Streamline			
Listen to Australia			
Situational English			

Table 5

Self-evaluation of skills

Tick the box

	very good	good	satisfactory	bad
pronunciation				
grammar				
vocabulary				
listening				
speaking				
reading				
writing				

თუ შევადარებთ სტუდენტის მიერ მითითებულ სირთულეებსა და მათ მიერ სახელმძღვანელოს, მისი სასწავლო მასალების შეფასებას, აღმოჩნდება, რომ ძირითადად სწორედ იქ, სადაც სტუდენტი

უარყოფითად აფასებს სასწავლო მასალებს, მას პრობლემები აქვს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ეჭვგარეშეა, რომ ყოველ შემსწავლელზე-ორიენტირებულად წოდებულ სისტემას სჭირდება შეფასების პროცესის განვითარება, რომელშიც როგორც მასწავლებელი, ისე შემსწავლელები არიან ჩართული. შემსწავლელებს სჭირდებათ მათი პროგრესის შეფასება, და ასევე სჭირდებათ წახალისება შეფასებისათვის, საკუთარი პერსპექტივებიდან დაწყებული, კურიკულუმის სხვა ელემენტებით დამთავრებული. ამგვარი შემსწავლელზე-ორიენტირებული შეფასება დაეხმარება შემსწავლელებს მათი როლის, როგორც სასწავლო პროცესის მონაწილეების, კრიტიკული თვით-შემეცნების განვითარებაში.

2.3. კომპიუტერის როლი უცხოური ენის დამოუკიდებლად სწავლის პროცესში

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპიუტერის (კერძოდ, ინტერნეტის) როლი უცხოური ენის დაუფლების პროცესში.

ზოგიერთ მასწავლებელს აშინებს სწავლების ინტენსიური კომპიუტერიზაცია, ეს შიში გაცილებით დიდი იყო პირველ წლებში, მაგრამ ამჟამად თითქმის არავინ დავობს მის სიკეთეზე და მასწავლებლები მიესალმებიან კომპიუტერის გამოყენებას.
კომპიუტერიზაციის დადებით ეფექტებად მიიჩნევენ:

- ინფორმაციის მისაწვდომობას (ვირტუალური ბიბლიოთეკა, ქსელური მედია),
- სწავლების ინდივიდუალიზაციის უზრუნველყოფა,
- ავტონომიური, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა იყენებს კომპიუტერს (კერძოდ, ინტერნეტს) იდეათა გასაზიარებლად, ძიების საწარმოებლად და ურთიერთ თანამშრომლობით ცოდნის გასაღრმავებლად.

დღესდღეობით ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომპიუტერის მეშვეობით კომუნიკაციას ენობრივ ჯგუფებში. მაგალითად: ქსელური (on-line) კომუნიკაციის გამოყენება მასწავლებელსა და ინდივიდუალურ სტუდენტს შორის, სტუდენტებს შორის ან დისტანციური ინტერაქტივი სტუდენტებსა და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის (e-mail, chat, messenger).

ენის შემსწავლელ კომპიუტერულ პროგრამებს უკუკავშირი აქვს, რომელიც, ზედმეტი ემოციურობის ან შეურაცყოფის გარეშე არა მხოლოდ აფასებს ყოველ პასუხს და (მცდარი პასუხის შემთხვევაში) იძლევა სწორ პასუხს, არამედ ან ხსნის შეცდომის მიზეზს ან მიუთითებს საცნობარო ლიტერატურას, სადაც შემსწავლელს შეუძლია იპოვოს პასუხები საკუთარ კითხვებზე.

თუმცა პროგრამირებული სწავლება და კომპიუტერის გამოყენება ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, ისინი იდენტური როდია. პროგრამირებული სწავლებისას მოცემულ დავალებაზე მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა არსებობდეს. დაპროგრამებული სასწავლო მასალები "ქაღალდის" ვერსიაშიც არსებობს (მაგ., თვითმასწავლებელი სახელმძღვანელოები ე.წ. "გასაღებით"). სასწავლო ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული) და, გარკვეულწილად, სამეტყველო (აუდირების, კითხვის, შეზღუდულად - წერის) კომპიუტერული სავარჯიშოებიც დაპროგრამებულია. მაგრამ, გარდა ამისა, კომპიუტერი გამოიყენება სასწავლო პროცესში მოდერნიზებული დაფის, კავშირგაბმულობის საშუალებისა და ინფორმაციის რესურსის როლში.

კომპიუტერის საშუალებით შესაძლებელი ხდება ტექსტის, ბგერის, სტატიკური და დინამიკური სურათის კომბინირება, ნებისმიერ მომენტში ლექსიკონისა და სხვა საცნობარო მასალების სწრაფი გამოყენება, მართლწერის შემოწმება, შედგენილი ტექსტის რედაქტირება და სხვ.

უცხოური ენის ფაკულტეტის სტუდენტი საკმარის დონეზე ფლობს შესასწავლ ენას, რომ დამოუკიდებლად გაიღრმაოს მისი ცოდნა კომპიუტერის გამოყენებით, რომელიც თავისებურ ხიდს წარმოადგენს ენის შესწავლისა მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და სრულიად დამოუკიდებელ მუშაობას შორის.

უცხოური ენის სწავლებისას კომპიუტერის გამოყენება შესაძლებლობას მისცემს შემსწავლელს:

- ნებისმიერ მომენტში მიიღოს უკუკავშირი,
- იმუშაოს დამოუკიდებლად (მისთვის დამახასიათებელი ტემპით, ინტენსივობით, მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით), წყვილებში, ჯგუფებში,
- უფრო მდიდარი რესურსებით ისარგებლოს,
- მიმართოს დისტანციურ და ანონიმურ კომუნიკაციას,
- სწავლის პროცესში ნამდვილად ავთენტიკურ ენასთან იქონიოს საქმე, აუდიტორიის საზღვრებს გარეთ გაიდეს და განახორციელოს ნამდვილი კომუნიკაცია,
- სასწავლო კურსის დამთავრებისას დამოუკიდებლად გააგრძელოს უცხოური ენის სწავლა და / ან პრაქტიკული გამოყენება,
- კომპიუტერის დღევანდელ პოპულარობასთან დაკავშირებით მისი სასწავლო მიზნით გამოყენება ბევრად უფრო მოტივირებულია, ვიდრე რომელიმე სხვა ტრადიციული თუ ტექნიკური საშუალებისა,
- კომპიუტერის საშუალებით წერითი კომუნიკაცია დაეხმარება კომუნიკაციის პრობლემების მქონე სტუდენტებს, მიაღწიონ თავის

უნარში დარწმუნებულობას და (ენობრივად, ფსიქოლოგიურად) მოემზადონ პირისპირი კომუნიკაციისათვის.

უცხოური ენების სწავლების პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც სასწავლო მასალას არ წარმოადგენენ ან ენის სწავლებისთვის არ არის შემუშავებული. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

- ენის სწავლების პრაქტიკულ მიზნებთან დაკავშირებით სასარგებლოა:

ა) სასწავლო პროცესში "რეალიების" ჩართვა (ნამდვილი ბილეთების, რუკების, სურათებისა და ა.შ.), რომელთა საუკეთესო წყაროა ინტერნეტი;

ბ) არასასწავლო, პრაქტიკული ამოცანების (თამაში, ანკეტის შევსება, რეალური პირადი და საქმიანი მიწერ-მოწერა და სხვ.) გადაწყვეტა;

- საგანთაშორისო კავშირების დამყარების მიზნით (რაც მომავალში სხვადასხვა საქმიანობისას უცხოური ენის გამოყენებას შეუწყობს ხელს) სასარგებლოა სათანადო ენაზე სხვა საგნების (დისციპლინების) სასწავლოდ შედგენილი მასალების გამოყენება;

- ამ მიდგომისას გამოსაყენებელი მასალები უსაზღვრო ხდება, რადგან გონივრული მიდგომით ვერბალური მასალის (განსაკუთრებით, ინსტრუქციების) ყველა შემცველი კომპიუტერული პროგრამა (სახატავი, ცხრილის შემდგენი, საანგარიშო) გამოსადეგია ენის დაუფლების მიზნით;

- ეკონომიის საშუალება გვეძლევა, რადგან არ არის სავალდებულო სპეციალურად ენის დასაუფლებლად პროგრამების შეძენა;

- არსებული სასწავლო პროგრამები ხშირად არ აკმაყოფილებენ სწავლების მიზნებს, პირველ რიგში, თავიანთი დაბალი კომუნიკაციურობის გამო;

- არასასწავლო მასალების გამოყენებისას მოტივაცია ძლიერდება და, სათანადოდ, ქვეცნობიერი შეთვისება უფრო ეფექტურია.

ლექსიკის სწავლებისას სასარგებლოა ვიქტორინის სახის და თემატური პრინციპით შერჩეული პროგრამები (მაგალითად, სპორტის თემის გავლისას ფეხბურთის, ფრენბურთის, ხოკეის კომპიუტერული თამაშები, რომლებიც სათანადო თემატიკის ტერმინოლოგიას შეიცავენ, ხშირად აუდიოვარიანტშიც).

წერის უნარ-ჩვევების გასავითარებლად ნამდვილი ელექტრონული ფოსტის გამოყენება ან მიწერ-მოწერა რეჟიმში: მოსწავლე-მოსწავლე და მასწავლებელი-მოსწავლე, ანონიმური (ზედმეტი მორცხვობის მოსახსნელად) ან საკუთარი სახელის ქვეშ, პასუხის მაშინვე მიღებით ან გადავადებით – უაღრესად სასარგებლოა.

წასაკითხი მასალების დიაპაზონისა და მოცულობის გაზრდის საუკეთესო საშუალებაა ინტერნეტი, რომელშიც განთავსებულია ყოველგვარი ინფორმაცია: სასწავლო მასალა, მას-მედიის უახლესი პუბლიკაციები, რეკლამა, მთელი ბიბლიოთეკები. ელექტრონული ფოსტისა და "ჩეტის" პროგრამების საშუალებით წამებში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს შეიძლება დაუკავშირდეთ. სამწუხაროდ, ამ მხრივ, მომხმარებლების შესაძლებლობები ჯერ-ჯერობით უსაზღვროა მხოლოდ ინგლისური ენის მცოდნეებისთვის, თუმცა ინტერნეტზე თადათანობით მატულობს სხვადასხვა ენებზე განთავსებული ინფორმაცია.

2.4. მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის ინტერაქტივი

დიდი ჯგუფების არსებობა და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავარჯიშოების შესრულება ლექციაზე მასწავლებლებსა და სტუდენტებს ხშირ შემთხვევაში არ აძლევს

საკმარის შესაძლებლობას მათთვის საინტერესო ან საჭირო საკითხების განსახილველად. ამის მიზნით შეიძლება დასახელდეს მასწავლებლის გადატვირთული გრაფიკი არ უბრალოდ სიმორცხვე სტუდენტის მხრიდან. ელექტრონულმა ფოსტამ შეიძლება უზრუნველყოს დამატებითი წყარო სტუდენტ-მასწავლებლის კომუნიკაციისა. სტუდენტები, რომლებიც აყოვნებენ კითხვის დასმას მასწავლებელთან პირისპირ კონტაქტის დროს, შეიძლება უფრო გულახდილები იყვნენ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ მეთოდით კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დიდ დროს ართმევს მასწავლებელს. ელექტრონული ფოსტა სასარგებლოა აგრეთვე არაფორმალური კონსულტაციისათვის. თუ სტუდენტებმა იციან, რომ მასწავლებელს სურს კომუნიკაცია მათთან ელექტრონული ფოსტით, მათ ეძლევათ შესანიშნავი შესაძლებლობა დაუსვან მას ნაკლებად მნიშვნელოვანი კითხვები, რომელთა დასმასაც პირდაპირ კონტაქტისას შეაყოვნებდნენ, მაგალითად, შეატყობინონ მასწავლებელს, რომ ვერ დაესწრებიან ლექციას, გაიგონ დავალება ან თუნდაც წარადგინონ საშინაო დავალება.

ლექციაზე მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას სტუდენტებს (First Certificate Gold; Acklam R. with Burgess S., 2004, P.12):

Write an informal letter in answer to the question in 120-180 words:

You have recently got back from a holiday. You decide to write back to an English friend who wrote to you some time ago. Apologize for the delay in replying and tell her/him about your holiday.

- Apologize for not writing sooner and explain why.
- Say where you went on holiday and who with.

- Say why you enjoyed /didn't enjoy your holiday and describe any special things you did.
- Say when you hope to see or contact your friend.

ამ სახის დავალებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სტუდენტების ინტერესთა სფერო თუ თვითონ მოიფიქრებენ მიზეზს საპასუხო წერილის წერისა ან ჩვენ თვითონ მივაწოდებთ რამოდენიმე ვარიანტს. მაგალითად:

You have read an advertisement in newspaper for a secretary who would be willing to travel abroad. Write a letter stating your qualifications and applying for the position.

The B.B.C. has invited comments on one of its programmes from listeners abroad. Write a letter in reply to this request.

While in England you paid a visit to an Engish school. Write a letter of thanks to the Headmaster for all he did to make your visit interesting.

დავალება სტუდენტებმა უნდა გააგზავნონ მასწავლებლის ელექტრონულ ფოსტაზე. მასწავლებელი ასწორებს ნაწერებს და შემდგომ ლექციაზე მოაქვს განსახილველად ან ჩასწორებული ვარიანტი უკან ეგზავნებათ სტუდენტებს პასუხთან ერთად. თუ დამატებითი კითხვები გაუჩნდებათ, სტუდენტებს შეუძლიათ ჯგუფში განიხილონ ან ისევ მიმართონ ქსელურ (on-line) კომუნიკაციას. მსგავსი დავალების ხელმეორედ შესრულებისას შეიძლება სტუდენტებს დაევალოთ ერთმანეთს გაუგზავნონ წერილები ელექტრონული ფოსტით, გაასწორონ შეცდომები და შემდგომ ჯგუფში მოხდეს მათი გაანალიზება.

მაგალითი 1. ელექტრონული წერილი მასწავლებელს სტუდენტისაგან (საშინაო დავალება)

Date: Thur, Nov 17 2005 06:29:46 -0800 (PST)

From: "Tsisana Torua" <tsisanatorua@yahoo.com> Add to Address Book
Yahoo! DomainKeys has confirmed that this message was sent by yahoo.com. Learn more

To: ritaprokopenko@yahoo.co.uk

60, Agmashenebeli
0108,Tbilisi, Georgia
15/11/2005

Dear Kate,

Thanks for your letter. I'm sorry I didn't write to you earlier, but I got your letter when I returned from holiday. I went with my friends to Gudauri last week, hoping to have a good time, but it wasn't what we expected!

At first, when we arrived at the hotel, there were no spare rooms in it and we had to go to another. We found a very beautiful hotel with clean rooms and a balcony, but it was too expensive. We had to stay there because other hotel rooms had already been booked.

Finally, we did have a very good time. We have skated and skiied a lot. We spent much of our time outside, walking around the town and watching the skateboarders. We enjoyed this kind of wintersport, too.

Now, being in Tbilisi I'm sorry that you refused to join us. You would really enjoy it very much. I will write again soon.

Love,

Tsisana

Yahoo! Mail

ამ სახის სავარჯიშოს გამოყენება უცხოური ენის შემსწავლელებთან უზრუნველყოფს დამოუკიდებელ ინტერაქტივს სასწავლო ტექნიკასთან (კომპიუტერთან). სტუდენტები უფრო ხალისიანად ასრულებენ საშინაო დავალებას. გაზრდილია მოტივაცია და თვითდაჯერებულობა, შემდგომში დამოუკიდებლად მუშაობისას გამოიყენონ კომპიუტერი (ინტრნეტი), რაც ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ენის შემსწავლელისათვის.

2.5. დამოუკიდებელი მუშაობა საშინაო კითხვისას

საშინაო (ან ე.წ. ექსტენსიური) კითხვა არის საგანი, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი შინ (და, მაშასადმე, მასწავლებლისაგან დამოუკიდებლად) სრულდება. ამ საგნის პირველ კურსზე სწავლების მიზნები აისახება:

1. წაკითხული ტექსტის თხრობის ჩვევის გამომუშავება,
2. წაკითხული ტექსტის შემოქმედებითად აღქმის ჩვევის გამომუშავება,
3. ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

საშინაო კითხვის ძირითადი ამოცანაა ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გაგება თარგმნისა და ტექსტის ანალიზის გარეშე. საშინაო კითხვის ასპექტში ტექსტის შინაარსში წვდომის სიღრმე მოწმდება თხრობის ხარისხითა და სპეციალურად მისადაგებული სავარჯიშოებით.

საშინაო კითხვის მასალის დოზირება მეთოდურ ლიტერატურაში რეკომენდირებულია 7-15 გვერდი კვირაში პირველ კურსზე. II-IV კურსებზე გვერდების რაოდენობა იზრდება 40-50 გვერდამდე კვირაში.

სტუდენტთა მიერ საშინაო კითხვაში დასამუშავებელი მასალის შინაარსის სწორად გაგების, მისი ეფექტურად გადმოცემის და საკმაოდ დიდი ლექსიკური მარაგის ჯერ თავად წერილობითი ტექსტის გასაგებად, ხოლო შემდეგ მის გადმოსაცემად ათვისების პროცესი უფრო წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, როცა თვით შემსწავლელი მონაწილეობს დამოუკიდებლად შესასწავლი მასალის ორგანიზების პროცესში. ეს გამოიხატება მოცემული მენიუდან სავარჯიშოთა ტიპების არჩევით სტუდენტების ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. მასწავლებელს შეუძლია წაახალისოს სტუდენტები. აგალიტად, შესასწავლი მასალის უკეთ დაუფლების მიზნით სტუდენტებს ეძლევათ შემდეგი ტიპის

დამოუკიდებლად შესასრულებელი სავარჯიშოები: კითხვების დასმა ტექსტის მიმართ (რაც მასწავლებლის მოვალეობაში შედის ხოლმე, მაგრამ ამჯერად სტუდენტებს მივეცით თავისუფლება თვითონ მიიღონ კითხვების დასმაში მონაწილეობა და თვითონვე შეაფასონ მეგობრების პასუხების სისწორე). ამავდროულად სტუდენტებს უხდებათ ერთი ენობრივი ფორმის სხვა ენობრივ ფორმაში ტრანსფორმაცია:

I ⟶ III პირში; პირდაპირი თქმიდან ⟶ ირიბ თქმაში და აგრეთვე გრამატიკული მოვლენის "სპეციალური კითხვითი წინადადების" ვარჯიში.

საშინაო კითხვის სწავლებისას სტუდენტებს შეიძლება ვთხოვოთ შემდეგი დავალებების დამოუკიდებლად შესრულება:

ა) წაკითხული მასალის გეგმის შედგენა.

ბ) წაკითხული მასალის კონსპექტირება (გმირების, მოვლენის, ბუნების დახასიათება).

გ) სიტყვარის შედგენა.

დ) შინაარსის უკეთ დამახსოვრების მიზნით მოვლენათა, მოქმედ გმირთა, პერსონაჟთა დახასიათებების შედგენა.

ე) მოვლენათა, მოქმედებათა, მოქმედ გმირთა ინსცენირება.

ვ) ან თუნდაც უკვე ნასწავლ მასალასთან გონებრივი ასოციაციური კავშირების მოძებნა.

როგოც მიუთითებს ი.დანელია [დანელია, 2006], წასაკითხად შერჩეულ ნაწარმოებებზე დიდადაა დამოკიდებული შემდგომი მუშაობის წარმატება. ტექსტის შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

- სტუდენტთა ენობრივი და ზოგადი ცოდნის დონე, მათი მოთხოვნილება და გემოვნება;
- შერჩეული ტექსტი ემოციურ ზეგავლენას უნდა ახდენდეს შემსწავლელზე, იყოს ენობრივი, მხატვრული და შემეცნებითი

ღირებულების, ჰქონდეს საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი დანიშნულება;

- ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს მიმზიდველი ფაბულა, მრავალფეროვანი ენობრივი მასალა და შინაარსობრივად მდიდარი უნდა იყოს;
- ტექსტები მისაწვდომი უნდა იყოს როგორც (პირველ რიგში) ენობრივი, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც.

ამ პირობების უზრუნველყოფის შემთხვევაში სტუდენტები, ერთის მხრივ, შეძლებენ დამოუკიდებლად იმუშაონ მხატვრულ ტექსტზე და, მეორე მხრივ, მოტივირებულები იქნებიან, გააკეთონ ეს.

ტექსტზე მუშაობა "საშინაო კითხვისას" ჩვეულებრივ დამოუკიდებელია. თუმცა, დამოუკიდებლობისათვის სათანადო ენობრივი, სტილისტური და ლიტერატურული ანალიზის უნარ-ჩვევები სჭირდება, რომელთა ჩამოყალიბებასაც სათანადო დავალებები უნდა ემსახურებოდეს. მათი შესრულება პირველ ეტაპზე (ერთი-ორი თვე) აუდიტორიაში უნდა მოხდეს, შემდგომში – ნაწილობრივად შემოწმდეს აუდიტორიაში და ბოლოს – მთლიანად დამოუკიდებლად.

მხატვრულ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის წარმატება დიდადაა დამოკიდებული ტექსტისადმი კომენტარებზე, რომლებიც სტუდენტებს მიეწოდებათ. აქ უნდა შედიოდეს ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, გრამატიკული), ლინგვოსტილისტური, ლიტერატურულ-სტილისტური და ეთნოკულტურული კომენტარები. სამწუხაროდ, კომენტარების ასეთ კომპლექსს დღეს იშვიათად ვხვდებით მხატვრული ლიტერატურის გამოცემებში. სასურველია ან სათანადო სახელმძღვანელოების გამოყენება საშინაო კითხვის სწავლებისას ან მასწავლებლის მიერ სათანადო კომენტარების მომზადება, რაც მასწავლებლისაგან ძალიან მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს და მას ბევრ დროს წაართმევს.

2.6. პროექტის ფორმით მუშაობა უცხოური ენის სწავლებისას

პროექტის ფორმით სწავლების მეთოდები პირველად შემუშავდა აშშ-ში 1920-იან წლებში როგორც ტრადიციული სწავლების ალტერნატივა. რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირშიც სწავლების ეს მეთოდები პოპულარული გახდა. დაივწყებას მიეცა გაკვეთილი და სასწავლო გეგმა, საგნების შესწავლა - სკოლაში სწავლა ხორციელდებოდა გუნდურად (გუნდების წევრები სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები იყვნენ, რომელთაც საერთო პრობლემა აინტერესებდათ და რომლებიც ერთად შეისწავლიდნენ მას. სასწავლო პროცესმა გადაინაცვლა საკლასო ოთახიდან ლაბორატორიაში და სახელოსნოში. ასეთი სწავლება, მართალია, მოტივირებული იყო და აკავშირებდა თეორიასა და პრაქტიკას, მაგრამ მრავალი თვალსაზრისით არაეფექტური აღმოჩნდა: მას აკლდა სისტემურობა, მიღებული ცოდნა ღრმა იყო მხოლოდ ცალკე აღებულ საკითხებთან დაკავშირებით, ბევრ მოსწავლეს მასალის მისაწვდომობის პრობლემები გაუჩნდა და ა.შ. ამიტომ პროექტების მეთოდზე როგორც სწავლების ერთადერთ მეთოდზე განათლების მუშაკებმა მალე უარი თქვეს, მაგრამ იგი ეფექტურად გამოიყენება როგორც სწავლების დამატებითი მეთოდი.

პროექტის ფორმით სწავლების მეთოდის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში მიმართულია სტუდენტების აქტიური დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისაკენ. იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრებას, არამედ მის რეალიზებას პრაქტიკაში. მოსწავლეები / სტუდენტები ქმნიან ალბომებს, კედლისა და ინტერნეტზე განთავსებულ გაზეთებს, ამზადებენ თემატურ საღამოებსა და კონფერენციებს და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემის მოსაგვარებლად, რაც საფუძვლად უდევს პროექტს, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული

ინტელექტუალური, კრეატული და კომუნიკაციური უნარი და ამავდროულად, ტექსტზე მუშაობის (მთავარი აზრის გამოტანა, საჭირო ინფორმაციის მოძებნა), ინფორმაციის გაანალიზების, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. შემოქმედებით უნარებს განეკუთვნება: დისკუსიის წარმოების, მოსაუბრის მოსმენის, საკუთარი შეხედულებების დაცვის არგუმენტების დახმარებით, მოსაუბრესთან კომპრომისის მოძებნისა და საკუთარი აზრის ლაკონიურად გამოხატვის უნარები.

აქედან გამომდინარე, თუ მასწავლებელმა გადაწყვიტა უცხოური ენის სწავლებისას სწავლების პროექტის ფორმას მიმართოს, აუცილებელია მისი მხრიდან პროექტის მსვლელობის გულითადი მოფიქრება, შემუშავება, გათვლა.

<u>1. პირველი ეტაპი</u>: (თემის არჩევა) პროექტისათვის თემა შეიძლება პროგრამული მასალიდან იქნეს აღებული, მაგრამ სტუდენტთა სტიმულირების, მათი ინტერესთა სფეროს გათვალისწინების, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის დონის ამაღლების მიზნით შევთავაზოთ მათ თვითონ დაასახელონ თემა პროექტისათვის.

მაგალითად, ჩვენი ექსპერიმენტის პროცესში II კურსზე პროექტის ფორმით მუშაობისათვის არჩეულ იქნა თემა: 'Lifelong Learning – Myth or Reality'. თემის შერჩევის შემდეგ ხდება პროექტის გეგმის ჩამოყალიბება თემაზე კითხვების დასმისა და პასუხების საფუძველზე, მაგალითად: Do you agree with the idea of 'lifelong learning'? Why? Which sources do you know for providing 'lifelong learning'? Why do you think that teacher's profession needs 'lifelong learning'? Do you mean that a progressive teacher is an active researcher?

კითხვების დახმარებით მასწავლებელს შეუძლია პროექტის გეგმა სტუდენტების მიერ შერჩეული თემისათვის მისთვის

სასურველი კუთხით წარმართოს და ამავდროულად გაითვალისწინოს შემსწავლელთა ინტერესები.

მიღებული პასუხების შედეგად ჩამოყალიბებულ იქნა გეგმა:

1. Teacher's profession - 'lifelong learning' process.
2. The role of libraries and Internet in teacher's 'lifelong learning'.
3. Research as the guarantee of teacher's profesional growth.

შემდგომი ეტაპისათვის მასწავლებელი სტუდენტებს ყოფს ჯგუფებად (შემსწავლელთა აზრის გათვალისწინებით) და აძლევს დავალებას შემუშავებული გეგმის მიხედვით ჩამოაყალიბონ საკუთარი პროექტები.

2. მეორე ეტაპი ეს პროექტის მომზადების ეტაპია, რაც მოითხოვს ინფორმაციის მოძიებას, სასურველი კუთხით დამუშავებასა და გაანალიზებას. თუ სტუდენტებს უჭირთ სათანადო ინფორმაციის მოპოვება, მასწავლებელი ვალდებულია მიუთითოს წყაროები (წიგნები, ვებ-გვერდები), საიდანაც ისინი შეძლებენ საჭირო ინფორმაციის მიღებას.

მეორე ეტაპი ყველაზე ხანგრძლივი ეტაპია, რადგან ხდება მოძიებული ინფორმაციის აუდიტორიაში დამუშავება და განხილვა.

3. მესამე, დასკვნითი, ეტაპი: პროექტების პრეზენტაცია / დაცვა და განხილვა. ყოველი ჯგუფი წარადგენს საკუთარ პროექტს. საუკეთესო პროექტი ვლინდება ჯგუფური დისკუსიის შედეგად თვით სტუდენტების მიერ. ჯგუფურ დისკუსიაში თემების განხილვის პროცესის ორგანიზება მასწავლებლის მიერ უნდა იქნეს წინასწარ ორგანიზებული კერძოდ, პროექტების პრეზენტაციამდე სტუდენტები ეცნობიან სხვა პროექტებს და სვამენ კითხვებს.

პროექტების პრეზენტაციის / დაცვისა და დისკუსიის პროცესი უფრო მოტივირებული რომ იყოს, მასწავლებელს შეუძლია მსგავსი სცენარის შეთავაზება: მაგალითად, "მე წარმოვადგენ უნივერსიტეტის პერიოდული ჟურნალის რედაქციას. ჟურნალში უნდა დაიბეჭდოს

სტატია სათაურით 'Lifelong Learning – Myth or Reality'. წარადგინეთ თქვენი თემები და მიიღეთ კონკურსში მონაწილეობა. კონკურსის შედეგად გამარჯვებული (საუკეთესო) თემა დაიბეჭდება."

აქვე გვინდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ამ მეთოდით სწავლება დაკავშირებულია ისეთი ფაქტორის სირთულეებთან, როგორიცაა: ზოგი სტუდენტის არასაკმარისი ენობრივი დონე, სწავლების შეუსვეველი ფორმა, დაბალი მოტივაცია მსგავსი საქმიანობის მიმართ და სუსტი შემსწავლელების აქტიურ დისკუსიაში ჩართვა.

აქედან გამომდინარე, პროექტის ფორმით სწავლების მეთოდის გამოყენება უცხოური ენის სწავლების პროცესში მიუთითებს მასწავლებლის მაღალ კვალიფიციურობაზე, რომელიც პროგრესული მეთოდიკის გამოყენებით უზრუნველყოფს შემსწავლელთა განვითარებას. პროექტის ფორმით სწავლების მეთოდის რეგულარული (ყოველ სემესტრში) გამოყენებისას სირთულეების ნაწილი თანდათანობით იხსნება.

2.7. ლექსიკონზე მუშაობა ენის დაუფლების პროცესში

ძირითად საყრდენს ნებისმიერი ენის "მკვლევარისა" წარმოადგენს ლექსიკონი. სტუდენტთა უმრავლესობას ესმის ლექსიკონის გამოყენების მნიშვნელობა ენის დაუფლებისას და შედეგად ყიდულობს ორენოვან (bilingual) ან ელექტრონულ თარჯიმანს, რადგან მათ გულმოდგინედ სჯერათ, რომ იპოვიან საჭირო თარგმანს სიტყვისას რომელიც იციან მშობლიურ ენაზე. ორენოვანი ლექსიკონის გამოყენება მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს ენის დაუფლების პირველი ეტაპისათვის, თუმცა ხშირ შემთხვევაში არ უზრუნველყოფს შესასწავლი ენისათვის დამახასიათებელ კონტექსტში გამოყენებას. ეს ყოველივე იმას არ ნიშნავს, რომ ორენოვანი ლექსიკონი ცუდია ან, რომ სტუდენტებმა

არასოდეს არ უნდა გამოიყენოს ის, რადგან მოგეწონს თუ არა სტუდენტები მაინც ყოველთვის გამოიყენებენ მას, განსაკუთრებით ენის სწავლის პირველ ეტაბზე. ჩვენზე მხოლოდ ისაა დამოკიდებული ვუჩვენოთ და ავუხსნათ მათ თუ რომელია კარგი და მრავალგზის უკეთესი: ერთენოვანი (monolingual) ლექსიკონი (MLD).

MLD წიგნის ფორმით, CD-ზე თუ ინტერნეტში, წარმოადგენს ერთენოვან (ინგლისურენოვან) ლექსიკონს, რომლის გამოყენებაც დამწყებ სტუდენტებს უჭირთ არასაკმარისი ენობრივი ბაზის გამო.

თუმცა უცხოური ენის სწავლის შემდგომ საფეხურებზე MLD-ის გამოყენებით უფრო ფასეულ ინფორმაციას იღებენ სტუდენტები, ვიდრე ორენოვანი ლექსიკონიდან.

განმარტებითი ლექსიკონი, რომელსაც ყველაზე ხშირად ვიყენებთ, საჭიროა განვასხვავოთ ე.წ. პროდუქტული ლექსიკონისაგან, რომელიც ლექსიკონის შედარებით ახალ ფორმას წარმოადგენს. განმარტებით ლექსიკონში სტუდენტს შეუძლია სიტყვის მნიშვნელობის, მართლწერისა და წარმოთქმის შესახებ ინფორმაციის მიღება, ხოლო პროდუქტულ ლექსიკონში კი სხვაგვარად ხდება ინფორმაციის მიღება, კერძოდ, იმ მნიშვნელობის პოვნით, რისი გამოხატვაც სურს შემსწავლელს უცხოურ ენაზე და იმ სიტყვის მოძებნით, რომელიც ამ მნიშვნელობას გამოხატავს.

განსხვავება ამ ორი სახის ლექსიკონს შორის მდგომარეობს იმაში, რომ პროდუქტული ლექსიკონი შეიცავს უფრო სრულ ინფორმაციას სიტყვის შესახებ, რაც ფასდაუდებელია სტუდენტთათვის. მათ შეუძლიათ შეამოწმონ სიტყვის გამოყენება.

თუ ჩვენი სურვილია სტუდენტებმა გამოიყენონ ლექსიკონი უცხოური ენის დაუფლების პროცესში, მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკონის მითითება და თქმა თუ რამდენად სასარგებლოა ის ენის წარმატებული დაუფლებისათვის საკმარისი არ არის. რადგან მიუხედავად გაუმჯობესებული დიზაინისა ბოლო რამოდენიმე წლის

განმავლობაში, ლექსიკონში მთლიანად და ერთი სიტყვის შესახებ ინფორმაციის გაზრდილი მოცულობა შეიძლება ძალიან დამაბნეველი ფაქტორი გახდეს ზოგიერთი შემსწავლელისათვის. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მასწავლებლებმა და სასწავლო პროგრამის შემდგენელებმა უნდა უზრუნველყონ ლექსიკონზე მუშაობა აუდიტორიაში როგორც სასწავლო პროგრამის ნაწილი, რათა სტუდენტებმა უკეთ გაითავისონ მისი გამოყენება და იმ შედეგის ფასეულობა, რაც მის გამოყენებას მოყვება.

2.8. დამოუკიდებელი წერის სწავლება

წერის როგორც ენის სწავლების ასპექტის ძირითადი მიზანია უცხოური ენის შესწავლის პროცესში წერის უნარ-ჩვევების შემუშავება და სრულყოფა. სტუდენტმა უნდა შეძლოს საკუთარი აზრის ნათლად, ლოგიკურად და კარგი ინგლისურით გადმოცემა. თანამედროვე საზოგადოებაში წერა კომუნიკაციური აქტივობის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საშუალებაა. ინფორმაციის უდიდესი ნაწილის გადაცემა-გავრცელება დაწერილი სიტყვის საშუალებით ხდება. წერა სამეტყველო აქტივობის დამოუკიდებელი ფორმაა და უნდა ისწავლებოდეს როგორც ერთ-ერთი აუცილებელი უნარ-ჩვევა, დანარჩენ სამ უნარ-ჩვევასთან (კითხვა, საუბარი, მოსმენა) ერთად.

წერის უნარ-ჩვევები მოიცავს: 1. ენის გრაფიკის დაუფლებას, 2. მართლწერას, 3. საკუთარი აზრის გამოხატვის უნარს დაწერილი სიტყვის საშუალებით.

სტუდენტი სწავლობს თავისუფლად და გამართულად წერას: ა) ენის სწორი ფორმების გაცნობით და შესწავლით, ბ) ენის სწორ ფორმებზე ვარჯიშით, გ) ენაში მის მიერ დაშვებული შეცდომების გააზრებული ანალიზითა და მათი გასწორებით, დ) იმ

განსაზღვრული წესების ცოდნით, რომლებიც ენის მოქმედებას აღწერენ. წერის სწავლების პროგრამა პირველ რიგში ითვალისწინებს ენის იმ ასპექტებს, რომლებიც კითხვისა და საუბრის პროგრამებშია მოცემული და რომელთა შეცნობაც შესაძლებელია წერის პრაქტიკით.

ასპექტის შინაარსი – I კურსი

მოსამზადებელი საფეხური გულისხმობს წერითი მეტყველებისა და გრაფიკულად, ორთოგრაფიულად, პუნქტუაციურად სწორი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სტუდენტი სწავლობს მართლწერას ყოველ გაკვეთილზე კარნახის წერითა და წერითი ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებით. სტუდენტი სწავლობს წინადადების სწორ აგებას, ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის ხმარებას, მარტივი წინადადებების რთულ წინადადებად ტრანსფორმაციას. იწყება აბზაცზე მუშაობა.

წერითი მეტყველება გულისხმობს სტუდენტის მიერ თანდათანობით ათვისებას ისეთი სამეტყველო ჟორმებისა, როგორიცაა აღწერა (საგნის, ადამიანის, ადგილის, პროცესის), თხრობა (წარსულში მომხდარი ამბის, შემთხვევის, გამოცდილების), მეგობრული (კერძო) წერილის წერა.

II კურსი

სტუდენტის წერითი მეტყველება იხვეწება ქველა ფორმის თავისებურებათა უფრო ღრმად შესწავლის ხარჯზე, რაც ხელს უწყობს ინგლისურ ენაზე საკუთარი აზრის გამოხატვის უნარის შემდგომ დაუფლებას შემოქმედებითი ხასიათის სამუშაოს შესრულებისას. ისეთი ხასიათის სამუშაო, როგორიცაა კერძო წერილების და დღიურის წერა, ემსახურება წერითი მეტყველების როგორც საკომუნიკაციო აქტის განვითარებას.

წერითი მეტყველების პარალელურად გრძელდება მიშაობა ორთოგრაფიულად და პუნქტუაციურად სწორი წერის შემდგომ სრულყოფაზე.

სტუდენტი სწავლობს მარტივი და რთული წინადადებების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებას აბზაცის შესაქმნელად. კარგად აგებული აბზაცი მთლიან ერთეულს უნდა წარმოადგენდეს, სადაც აზრის თანამიმდევრობა უნდა იყოს დაცული.

სტუდენტი წაკითხული მოკლე მოთხრობის ან ლიტერატურული ტექსტის შინაარსს გადმოსცემს, სადაც აბზაცები მართებულად უნდა იყოს აგებული და ერთმანეთთან დაკავშირებული.

მიუხედავად კომპიუტერის მზარდი როლისა წერით კომუნიკაციაში, ხელწერა მაინც ძალიან მნიშვნელოვანია პერსონალური წერილების, წერილობითი დავალებებისა და უმეტესი გამოცდების ჩაბარებისას.

აგრეთვე არასწორი მართლწერა შეიძლება გახდეს მიზეზი მკითხველის მიერ ინფორმაციის არასწორი აღქმისა. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სტუდენტებმა გაიუმჯობესონ მართლწერა ექსტენსიური კითხვაა. კითხვა მოსმენისაგან განსხვავებით იძლევა შესაძლებლობას მიუბრუნდე ტექსტში ნაპოვნ უცხო სიტყვას, დააკვირდე მის მართლწერას და კონტექსტიდან გამომდინარე შეეცადო მისი მნიშვნელობის გაგება, ან თუნდაც მოძებნო მისი მნიშვნელობა ლექსიკონში. ლექსიკურ ერთეულზე ამ მეთოდით მუშაობა უზრუნველყოფს როგორც მართლწერის, ისე მისი მნიშვნელობის შეცნობას. შეგვიძლია აგრეთვე ყურადღება გავამახვილოთ მართლწერის პრობლემებზე და აეუხსნათ სტუდენტებს მათი წარმოშობის მიზეზები. წერილობითი ნიმუშის გადაწერა ერთ-ერთი საშუალებაა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. როცა სტუდენტები ხედავენ და თვითონვე რეაგირებენ გადაწერაში დაშვებულ შეცდომებზე, მათი "ცნობიერება" მართლწერაში

იზრდება. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა გადაწერისას სტუდენტები შეცდომებს უშვებენ. ისინი "მასწავლებლის იმედზე არიან", რომ ის მათ შეცდომებს იპოვებს და გაასწორებს. გადაწერა თვით- და ურთიერთგასწორებით დამოუკიდებელი წერის პირველი ნაბიჯია. თუ ამის შემდეგ მასწავლებელმა მაინც იპოვა შეცდომები, მკაცრად "ისჯება" (დაბალი ნიშნით) როგორც დამწერი, ისე შემმოწმებელი.

სხვადასხვა დამწერლობის საზოგადოებები ემორჩილებიან სხადასხვა პუნქტუაციურ და ტექსტის აგების / განლაგების (layout) კონვენციებს ისეთ კომუნიკაციებში როგორიცაა წერილები, მოხსენებები და სხვა. ამ ველაფრის გადატანა ერთი საზოგადოებიდან ან ენიდან მეორეში ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია.

სხვადასხვა ჟანრების ნაწერს სხვადასხვა სტრუქტურა გააჩნია, მაგალითად, საქმიანი და პირადი წერილები ფორმით განსხვავდებიან ელექტრონული ფოსტის წერილებისაგან, ხოლო საგაზეთო სტატიებში მათთვის სპეციფიკური ფორმაა დაცული. უცხოურ ენაზე წერით კომუნიკაციაში წარმატებულობისათვის აუცილებელია სტუდენტებმა გაითავისონ წერითი მეტყველების სხვადასხვა სტილი, ნაწერის გაფორმება, რათა საჭიროების შემთხვევაში ნათლად გამოხატონ საკუთარი აზრი.

წერის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის რამოდენიმე სხვადასხვა სახის, როგორც აუდიტორიული, ისე აუდიტორიის გარეთა, დავალება არსებობს. არჩევანი ჩვენზეა სტუდენტებმა მეტი ყურადღება გაამახვილონ წერის პროცესზე თუ მის შედეგზე, გვსურს დაეუფლონ სხვადასხა წერილობით ჟანრებს, წავახალისოთ შემოქმედებითი წერისათვის და როგორ შეიძლება კომპიუტერი გახდეს სასარგებლო წერითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

წერის სტრატეგიების შესამუშავებლად შეგვიძლია ყურადღება წერის პროცესზე ან მის შედეგზე გავამახვილოთ. შედეგზე კონცენტრირებისას ძირითადად გვაინტერესებს ასახულია თუ არა დავალების მიზანი საბოლოო შედეგში. ხოლო მასწავლებლები, ვინც ემხრობიან წერის პროცესუალურ მეთოდს, ყურადრებას წერისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ეტაპებზე ამახვილებენ. მაგალითად, წერითი დავალების პირველადი და საბოლოო "შავი ვარიანტის" (drafting) შედგენა.

First drafting	**Final drafting**
Check language use (grammar, vocabulary, linkers). Check punctuation (and layout). Check your spelling. Check your writing for unnecessary repetition of words and/or information. Decide on the information for each paragraph, and the order the paragraphs should go on. Note down various ideas. Select the best ideas for inclusion. Write out a rough version.	Write a clean copy of the corrected version.

თუმცა, ამ მეთოდით წერის სწავლება აუდიტორიის პირობებში მოუხერხებელია ლიმიტირებული დროის გამო.

წერის ანალოგიური მეთოდით სწავლებისას სტუდენტები სწავლობენ ტექსტის სხვადასხვა ჟანრს, რაც შემდგომ უნდა გამოიყენონ წერით კომუნიკაციაში.

ამგვარად, თუ გვსურს სტუდენტებმა დაწერონ სხვადასხვა სახის საქმიანი წერილი, ვაძლევთ საშუალებას გადახედონ ტიპიურ

ნიმუშს შესასრულებელი დაევალებისა, ვიდრე შეუდგებოდნენ მის შესრულებას. მაგრამ სტუდენტთა იმიტაცია მოცემული სტილის მიმართ შეიძლება მეტისმეტი დირექტივის მიმცემი იყოს და წაახალისოს ისინი დაინახონ წერა, როგორც "რეპროდუქციის" ფორმა და არა როგორც კრეატული ქმედება.

ტერმინი "კრეატული წერა" მოიცავს ისეთ წარმოსახვით დავალებებს, როგორიცაა ლექსების, მოთხრობების, პიესების წერა.

კრეატული წერა არის "მოგზაურობა თვით-აღმოჩენისა, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურ სწავლას" [Gaffield-Vite, 1998, გვ.31] წარმოსახვითი წერითი დავალების უზრუნველყოფისას, რომელშიც სტუდენტები მთლიანად არიან ჩაფლულნი და ძალისხმევას არ იშურებენ რაც შეიძლება სწორი კონსტრუქციები და სათანადო ენობრივი მასალა გამოიყენონ ვიდრე ნებისმიერი რუტინული დავალების შესრულებისას.

თუმცა ყოველთვის არსებობს საშიშროება იმისა, რომ სტუდენტებს შეიძლება გაუჭირდეთ წარმოსახვით წერა. იმ ფაქტმა, რომ "არაფერი აქვთ სათქმელი" შეიძლება წარმოსახვით წერა მტკივნეულ და დემოტივაციურ გამოცდილებად აქციოს, რაც სტუდენტთა გონებაში (ცნობიერებაში) დაკავშირებულია წარუმატებლობისა და იმედგაცრუების გრძნობასთან. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სტუდენტებთან ვაწარმოოთ ეტაბობრივი მუშაობა, პირველი ეტაპისთვის ფრაზებითა და წინადადებებით შემოვიფარგლოთ, ხოლო შემდგომი ეტაპისათვის მოვითხოვოთ დასრულებული თხზულება. მნიშვნელოვანია, შემოქმედებითი წერისათვის თემატიკა სტუდენტებთან ერთად შეირჩეს, მათი ინტერესებისა და ზოგადი ცოდნის გათვალისწინებით. აუცილებელია ასევე სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება და "აზრების დალაგება".

კომპიურეტის გამოყენება წერით მეტყველება'ში რამდენიმე დადებითი თვისებით ხასიათდება, მაგალითად: კომპიუტერი

- ხსნის ცუდი ხელწერის პრობლემას,
- საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიტანონ მასალა უსწრაფესად და უმარტივესად.,
- შეიძლება უზრუნველყოფილიქნას მართლწერის კორექტირება,
- თუ სტუდენტები ჯგუფში მუშაობენ, კომპიუტერის ეკრანი ზოგჯერ შეიძლება უფრო დასანახი იყოს მთელი ჯგუფისათვის, ვიდრე ქაღალდის ფურცელი,
- კომპიუტერის ეკრანი ხშირ შემთხვევაში საშუალებას აძლევს სტუდენტებს ობიექტურად შეხედონ თავიანთ ნაწერს.

მაშასადამე, დამოუკიდებლად წერისას კომპიუტერი "ასისტენტის" როლში გამოდის, რაც ხელს უწყობს სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი წერის უნარ-ჩვევების შემუშავებისას მასწავლებლის როლი მცირეა. რასაკვირველია, კომპიუტერი ვერ "გასცემს" სტუდენტებს ყველა კითხვაზე პასუხს და ვერ შეურჩევს წერის ოპტიმალურ სტრატეგიას. ეს ამოცანები მხოლოდ მასწავლებლისა და სტუდენტების თანამშრომლობისას შეიძლება გადაიჭრას.

III თავი. პედაგოგიური ექსპერიმენტი

3.1. ექსპერიმენტის მიზანი და მეთოდიკა

ექსპერიმენტის მიზანი იყო შეგვემოწმებინა სამუშაო ჰიპოთეზა ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის სწავლების პროცესში დამოუკიდებელი მუშაობის როლის თაობაზე და ასევე გაგვერკვია, თუ რამდენად ეფექტურია მისი სტიმულირება ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით.

<u>მაკონსტატირებელი ექსპერიმენტის</u> მიზანი იყო გაგვერკვია დამოუკიდებელი მუშაობის მდგომარეობა უცხოური ენის სპეციალისტების მომზადებაში. ამ მიზნით შევადგინეთ შემდეგი კითხვარი (კითხვებში შევეცადეთ აგვესახა ჩვენი ჰიპოთეზის დებულებელის სხვადასხვა ასპექტი):

1. გსურთ თუ არა, მეტი დამოუკიდებლობა გქონდეთ ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

სასაუბრო თემების შერჩევა	კი	არ ვიცი	არა
წასაკითხი მასალის შერჩევა	კი	არ ვიცი	არა
შესასრულებელი სავარჯიშო-დავალებების სახეების შერჩევა	კი	არ ვიცი	არა
შესასრულებელი სავარჯიშო-დავალებების რაოდენობის შერჩევა	კი	არ ვიცი	არა
შესასრულებელი სავარჯიშოების შედგენა.	კი	არ ვიცი	არა

2. გახდება თუ არა სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო, თუ მის დაგეგმაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას?

- კი
- არა
- არ ვიცი

3. გახდება თუ არა სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური, თუ მის დაგეგმაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას?

- კი
- არა
- არ ვიცი

4. თუ 2 და .3 საკითხზე თქვენი პასუხია "არა", ახსენით, რატომ.

5. მონოლოგური მოხსენების მომზადებისას გირჩევნიათ

ა) თქვენით დაწეროთ თემა,

ბ) ვინმეს დახმარება თხოვოთ,

გ) გამოიყენოთ მზა მასალა (გადაიწეროთ ტექსტი ინტერნეტიდან, ჟურნალიდან, რომელიმე სახელმძღვანელოდან)

6. რამდენად გეხერხებათ დამოუკიდებელი კითხვა?

- ძალიან მიჭირს
- საკმაოდ მიჭირს
- არ მიჭირს

7. ტექსტის დამოუკიდებელი კითხვისას გაქვთ თუ არა უცნობ ლექსიკასთან მუშაობის გარკვეული სტრატეგია (როდის იყენებთ ხოლმე ლექსიკონს და საერთოდ თუ იყენებთ მას, ახალი სიტყვების მნიშვნელობას იწერთ თუ ცდილობთ დაიმახსოვროთ და ა.შ.)?

8. აუხსნია თუ არა რომელიმე თქვენს მასწავლებელს ლექსიკონთან მუშაობის და ტექსტის დამოუკიდებლად მუშაობის სტრატეგიები?

9. რამდენად გეხერხებათ დამოუკიდებლად წერა?

- ძალიან მიჭირს
- საკმაოდ მიჭირს
- არ მიჭირს

10. გაქვთ თუ არა წერის საკუთარი სტრატეგიები?

11. აუხსნია თუ არა რომელიმე თქვენს მასწავლებელს ესსეს / თხზულების წერის / მოხსენების მომზადების პროცედურა?

12. როგორი საშუალო ნიშანი გაქვთ ენაში?

13. მასწავლებლის დაგალების გარეშე მუშაობთ თუ არა ენის შეთვისებაზე?

14 ა) თუ მუშაობთ, დაასახელეთ, როგორ.

14 ბ) თუ არ მუშაობთ, რატომ:

- გეზარებათ
- არ გცალიათ
- დამოუკიდებელი მუშაობა გიჭირთ (არ გყოფნით ენის ცოდნა)
- შეცდომების დაშვების გეშინიათ
- მასწავლებელმა უკეთესად იცის, რა დაგალების შესრულებაა საჭირო

15. თქვენი ინიციატივით თუ მოგიმზადებიათ რამე მოხსენება, რომლითაც თქვენი ჯგუფელების წინაშე გამოხვედით?

16 ა) თუ მოგიმზადებიათ, როგორი იყო თქვენი მასწავლებლისა და ჯგუფელების რეაქცია?

16 ბ) თუ არ მოგიმზადებიათ, რატომ:

- უბრალოდ გეზარებათ
- არ გაინტერესებთ თავის ზედმეტი გამოჩენა
- არა ხართ თქვენს თავში დარწმუნებული და თავს არიდებთ მასწავლებლისა და ჯგუფელების კრიტიკას

17. დაუგალებია ოდესმე მასწავლებელს რამე მასალის ახსნა თქვენი ჯგუფელებისთვის?

18. ვინ ასწორებს ხოლმე შეცდომებს ენის მეცადინეობაზე:

ა) მხოლოდ მასწავლებელი

ბ) ნაწერში მასწავლებელი ხაზს უსვამს შეცდომას, გასწორება კი ჩვენ გვეგალება

გ) ხან მასწავლებელი და ხან ჩემი ჯგუფელები

დ) მასწავლებელი მანიშნებს, რომ შეცდომაა დაშვებული და ელოდება, სანამ მე თვითონ გამოვასწორებ მას

19. მასწავლებლების უმრავლესობა

ა) არ გიშლიან ხელს, გამოვიჩინოთ ინიციატივა

ბ) გიბიძგებენ, გამოვიჩინოთ ინიციატივა

გ) არავითარი ინიციატივის გამოჩენის საშუალებას არ გაძლევენ

20. გამოიყენება თუ არა თქვენს უნივერსიტეტში დამოუკიდებელი მუშაობის ისეთი მეთოდები, როგორიცაა

- პროექტზე მუშაობა და
- კომპიუტერის საშუალებით ენის შესწავლა?

21. თუ თქვენი პასუხია "არა", რატომ?

- არ არის სათანადო აღჭურვილობა
- მასწავლებლები არ ფლობენ სათანადო ტექნოლოგიას
- მასწავლებლები დაბალი ანაზღაურების და / ან დიდი დატვირთვის გამო არ არიან დაინტერესებული ინოვაციების დანერგვაში

22. არის თუ არა თქვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საკმარისად კარგი დამოუკიდებელი მუშაობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით?

23. რამდენად შემოქმედებითია ის დამოუკიდებელი დავალებები, რომლებსაც თქვენ გაძლევენ მასწავლებლები?

- სულ არ არის შემოქმედებითი
- შემოქმედების ცოტაოდენ საშუალებას იძლევა
- საკმაოდ შემოქმედებითია.

გამოკითხვა ჩავატარეთ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში; გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო I-IV კურსის ინგლისური ენის სპეციალობის 50 სტუდენტმა.

მივიღეთ შემდეგი პასუხები.

- სტუდენტთა 70 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღონ სასაუბრო თემატიკის შერჩევაში, 15 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 60 პროცენტს წასაკითხი მასალის შერჩევაში მიიღონ, 10 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 25 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღონ შესასრულებელი სავარჯიშოების სახეების შერჩევაში, 70 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 50 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების რაოდენობის შერჩევაში, 40 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 15 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების შედგენაში, 75 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნია.

- სტუდენტთა 15 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახდება, თუ მის დაგეგმაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 75 პროცენტს ასე არ მიაჩნია, 15 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

- სტუდენტთა 10 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური გახდება, თუ მის დაგეგმაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 75 პროცენტს ასე არ მიაჩნია, 15 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

- იმ სტუდენტებმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ სასწავლო პროცესი არ გახდება უფრო საინტერესო ან / და ეფექტური, თუ სტუდენტებიც მიიღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმაში მონაწილეობას, გვიპასუხეს, რომ დაგეგმვა მასწავლებლის (და უფრო მაღალი ინსტანციების) საქმეა, რაც მათ ინერტულობაზე და საკუთარ თავში ნაკლებ რწმენაზე მიუთითებს.

- მონოლოგური მოხსენების მომზადებისას სტუდენტთა 55 პროცენტს ურჩევნია გადაიწეროს "მზა" ტექსტი, 10 პროცენტს შეადგინოს მოხსენება უფრო კომპეტენტური პირის დახმარებით და მხოლოდ 35 პროცენტს - თვითონ დაწეროს მოხსენება. ეს პასუხებიც იმის მაჩვენებელია, რომ სტუდენტებს საკუთარ უნარში ნაკლები რწმენა აქვთ.

- სტუდენტმა საკმაოდ მაღალმა პროცენტმა გვიპასუხა, რომ ან ძალიან უჭირთ (15 %), ან საკმაოდ უჭირთ (50 %) დამოუკიდებელი კითხვა და წერა (შესაბამისად, 20% და 55%). მათ უმრავლესობამ მომდევნო კითხვაზე უპასუხეს, რომ მათ მასწავლებელს არ აუხსნია მათთვის ლექსიკონთან (75 %) და წერაზე (95 %) მუშაობის შესაძლო სტრატეგიები. ამავე დროს იმ სტუდენტთა უმრავლესობამ, ვინც გვიპასუხა, რომ არ უჭირთ დამოუკიდებელი კითხვა და წერა, აღნიშნა, რომ მასწავლებელმა გარკვეული წვლილი შეიტანა მათი ლექსიკონთან მუშაობისა (85 %) და წერის (65 %) სტრატეგიების ჩამოყალიბებაში.

- ენაში მაღალი ნიშნის (4-5 ანუ 70-100%) მქონე სტუდენტების უმრავლესობამ (90%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლის დაუალების გარეშეც მუშაობენ ენის უკეთეს შეთვისებაზე. ისინი უყურებენ ტელეგადაცემებს შესასწავლ ენაზე, კითხულობენ წიგნებს, გაზეთებს, მასალებს ინტერნეტიდან, იზეპირებენ სიმღერების ტექსტებს და ა.შ.

- დაბალი ნიშნის (3 ანუ 40-69) მქონე სტუდენტების უმრავლესობამ (65%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლის დაუალების გარეშე თვითონ ვერ / არ მუშაობენ ენის შეთვისებაზე, რადგან ეზარებათ (10%), არ სცალიათ (10%), დამოუკიდებელი მუშაობა უჭირთ (65%), შეცდომების დაშვების ეშინიათ (10%), მასწავლებელმა უკეთესად იცის, რა დაუალების შესრულებაა საჭირო (5%).

- სტუდენტთა 5%-მა გვიპასუხა, რომ საკუთარი ინიციატივით მოუმზადებიათ მოხსენება, რომლითაც შემდეგ თანაჯგუფელების წინაშე გამოვიდნენ, და ბევრ შემთხვევაში (43%) დადებითი შეფასება დაუმსახურებიათ კიდევაც.

- სტუდენტთა 95 %-მა გვიპასუხა, რომ საკუთარი ინიციატივით არ მოუმზადებიათ მოხსენება, და მიზეზად დაასახელეს, რომ უბრალოდ ეზარებათ ამის გაკეთება (10%), არ აინტერესებთ თავის ხედმეტი გამოჩენა (75%), არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები (5%) და თავს არიდებენ მასწავლებლისა და ჯგუფელების კრიტიკას (5 %).

- სტუდენტთა უმრავლესობამ (70%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლები არასდროს არ ავალებენ მათ მასალის ახსნას თანაჯგუფელებისთვის.

- სტუდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ შეცდომებს ენის მეცადინეობაზე ასწორებს მხოლოდ მასწავლებელი (30 %), ნაწერში მასწავლებელი ხაზს უსვამს შეცდომას, გასწორება კი მათ ევალებათ (15 %), ხან მასწავლებელი და ხან მათი ჯგუფელები ასწორებენ შეცდომებს (35 %), მასწავლებელი ანიშნებთ, რომ შეცდომაა დაშვებული და ელოდება, სანამ ისინი თვითონ გამოასწორებენ მას (20).

- სტუდენტთა შედარებით დაბალმა პროცენტმა (35%) მიუთითა, რომ მასწავლებლები არ უშლიან ხელს გამოიჩინონ ინიციატივა, ხოლო საკმაოდ დიდმა ნაწილმა (65%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლები არავითარი ინიციატივის გამოჩენის საშუალებას არ აძლევენ.

- სტუდენტთა პასუხების თანახმად, პროექტზე მუშაობა ჩვენს უნივერსიტეტებში საერთოდ არ ტარდება, ხოლო კომპიუტერის საშუალებით ენის სწავლის საშუალება თითქმის არ არის რადგან არ არის სათანადო აღჭურვილობა (50 %), მასწავლებლები არ ფლობენ სათანადო ტექნოლოგიას (40%), მასწავლებლები დაბალი

ანაზღაურების და / ან დიდი დატვირთვის გამო არ არიან დაინტერესებული ინოვაციების დანერგვაში (10%). საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები სტუდენტების უმრავლესობამ (80%) უარყოფითად შეაფასა.

- ის დამოუკიდებელი დავალებები, რომლებსაც სტუდენტებს აძლევენ მასწავლებლები, სულ არ არის შემოქმედებითი (პასუხთა 25 %), შემოქმედების ცოტაოდენ საშუალებას იძლევა (60%), საკმაოდ შემოქმედებითია (15 %).

მოტანილი პასუხები, ჩვენი აზრით, ადასტურებენ, რომ:

- სტუდენტები არ არიან მიჩვეულები დამოუკიდებელ მუშაობას (კითხვები 1, 2, 3, 5, 6, 9),
- ისინი ნაკლებ ინიციატივას იჩენენ, რათა დამოუკიდებლად იმუშაონ (კითხვები 1, 2, 3, 5, 15)
- სტუდენტების ამ თვალსაზრისით დაბალი აქტივობა ხშირად მასწავლებლების ბრალია (კითხვები 4, 8, 11, 16, 17, 18, 19, 21, 23),
- სტუდენტებს შფოთვის მაღალი დონე ახასიათებთ დამოუკიდებელ მუშაობასთან დაკავშირებით (კითხვები 4, 14, 16),
- მასწავლებლები ნაკლებად უწყობენ ხელს სტუდენტებში დამოუკიდებელი მუშაობის სტრატეგიების ჩამოყალიბებას (კითხვა 8, 11),
- სტუდენტები, რომლებიც დამოუკიდელადაც მუშაობენ, უფრო წარმატებულად სწავლობენ (კითხვა 12-13),
- სტუდენტები, რომლებსაც სწავლის საკუთარი სტრატეგიები აქვთ, უკეთესად სწავლობენ უცხოურ ენას (კითხვები 6-7, 9-10, 12-13),
- თუმცა სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს დამოუკიდებელი მუშაობა უბრალოდ ეზარება, ბევრ სტუდენტს უჭირს დამოუკიდებელი მუშაობა ენის ცოდნის დაბალი დონის ან სათანადო სტრატეგიების არქონის გამო (კითხვა 14),

- უნივერსიტეტები არ არიან საკმარისად აღჭურვილნი დამოუკიდებელი მუშაობისთვის (კითხვა 19, 22).

ექსპერიმენტის მეორე ეტაპს წარმოადგენდა <u>მაფორმირებელი ექსპერიმენტი</u> – დამოუკიდებელი მუშაობის სტიმულირება ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკის გამოყენებით. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (2004/5 ს.წ.). შევარჩიეთ სოხუმის ი. ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის პირველი-მეორე კურსის ორ-ორი ჯგუფი (11-15 სტუდენტი ჯგუფში), რომელთა მიერ ენის ფლობის დონე დაახლოებით ერთნაირი იყო, ერთი ჯგუფი იყო საკონტროლო, სადაც მუშაობაში არანაირი კორექტივები არ შემოგვიტანია, მეორე ჯგუფი კი იყო ექსპერიმენტული, სადაც ვახდენდით დამოუკიდებელი მუშაობის სტიმულირებას ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკის მიხედვით. ამ მიზნით მაქსიმალურად შევეცადეთ, მოგვეხდინა:

1. სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან ერთად გეგმის ადაპტირება,
2. სტუდენტთა მონაწილეობა სასწავლო პროცესის ორგანიზებაში (სტუდენტები თვითონ ასახელებენ, თუ რა თემის მომზადება სურთ ინდივიდუალურად, წყვილებში ან პატარა ჯგუფში, ყველა სტუდენტი <u>ვალდებულია</u> სემესტრის განმავლობაში ერთხელ მაინც გააკეთოს მოხსენება, მაგრამ როდის, მარტო ან ვინმესთან ერთად, რა თემაზე – ეს მისი გადასაწყვეტია),
3. საშინაო დავალების შესრულებაში დამოუკიდებლობის დონის თანდათანობითი გაზრდა,
4. საშინაო კითხვისას სტუდენტთა ავტონომიის თანდათანობით გაზრდა: დასამახსოვრებელი ლექსიკის დამოუკიდებელი შერჩევა, ტექსტში აღნიშნული გეოგრაფიული სახელებისა და ისტორიული ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება,

"გასაღების" მქონე საავარჯიშოების დამოუკიდებელი შესრულება (ხანდახან მოულოდნელად შემოწმებით, პასუხისმგებლობის გასაზრდელად) → საკუთარი საავარჯიშოების შედგენა.

5. სტუდენტების მიერ საავარჯიშოების შედგენა,
6. სტუდენტთა თვითშეფასება და მისი შედარება ჯგუფის (ანონიმურ) და მასწავლებლის მიერ მოცემულ შეფასებასთან, სერიოზული განსხვავების შემთხვევაში – ანალიზით.

მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ კონკრეტულ მასალაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა მაფორმირებელი ექსპერიმენტი (ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით დამოუკიდებელი მუშაობის სტიმულირება).

მაფორმირებელი ექსპერიმენტის დასასრულს ჩავატარეთ საკონტროლო ექსპერიმენტი. მისი მიზანი იყო შეგვემოწმებინა, თუ როგორ შეიცვალა მდგომარეობა საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში. ამ მიზნით, ერთის მხრივ, დავინტერესდით აკადემიური მოსწრების დინამიკაში, მეორე მხრივ კი, ხელმეორედ მივეცით სტუდენტებს შესავსებად ჩვენი ანკეტა.

3.2. ექსპერიმენტის მსვლელობა

ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსში სასწავლო პროგრამის ადაპტირება

სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან ერთად გეგმის ადაპტირება უზრუნველყოფს მათ ინტერესთა სფეროს გათვალისწინებას სწავლებისას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდასა და ავტონომიის განვითარებას.

ასპექტი: თემები (შემდგენელი უ/მ ქ. თუხარელი)

ასპექტის მიზანია ინგლისურ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველება, ინგლისური ენიდან დედაენაზე თემატური ტექსტის ზეპირი და წერილობითი თარგმნის უნარ-ჩვევების შექმნა.

სტუდენტის პირადი ლექსიკონის გავრცობა და მისი სწორად გამოყენების ჩვევების ჩამოყალიბება.

სტუდენტის გონებრივი და ენობრივი ჰორიზონტის გაფართოება:

მასალა: თემებისათვის საჭირო მრავალფეროვანი თემატური მასალა (თემებისადმი მიძღვნილი წიგნების, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების, სრული ან ნაწყვეტის სახით მოცემული მხატვრული ტექსტების, დიალოგების, თემატური სურათების, სხვადასხვა თემატური ლექსიკონების გამოყენებით).

ასპექტის შინაარსი

I კურსი

თემები:

1. ოჯახი, ბიოგრაფია
2. პროფესია, საქმიანობა
4. სახლი, ბინა
5. საკვები და საჭმლის მიღების პერიოდები დღეში (დილის საუზმე, შუადღის საუზმე, სადილი, ვახშამი)
6. დრო და საათი (ქრონომეტრები)
7. წელიწადის დროები, ჰავა და ამინდი
8. სპორტი, სპორტული თამაშობანი
9. ბიბლიოთეკები და მუზეუმები (ისტორიული, მხარეთმცოდნეობისა და სხვ.)

დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. შინაური ცხოველები
2. მცენარეები (მებაღეობა)
3. ადამიანის სხეული

4. ადამიანის გარეგნობა და ხასიათი

შედეგები და მოთხოვნები

I კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს მოეთხოვება:

1. აქტიური თემატური საუბარი;
2. მოცემულ თემასთან დაკავშირებით ლექსიკისა დ. ფრაზეოლოგიის სავალდებულო მინიმუმის ცოდნა დ. გამოყენება სამეტყველო სიტუაციებსა და თემატურ სავარჯიშოებში;
3. შეკითხვების დასმა განვლილ თემებზე.

II კურსი

თემები:

1. ტრადიციები და ჩვეულებები
2. მაღაზიები და საყიდლებზე სიარული
3. ფული, ფოსტა და ტელეფონი
4. საყოფაცხოვრებო მომსახურება
5. ტრანსპორტი
6. სამედიცინო დახმარება
7. მოგზაურობა
8. ქალაქები (ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება სასტუმროები)
9. გასართობები (თეატრი, კინო, ფეხბურთის მატჩები დ სხვ.)
10. თავისუფალი დროის გატარება

შედეგები და მოთხოვნები

II კურსის გავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს:

1. აზრის გამოთქმა დასახელებული თემის ან საკითხის შესახებ;
2. განვლილ თემებთან დაკავშირებული სურათების აღწერა;
3. თემატური ლექსიკური მინიმუმის შედგენა;
4. თემატური სავარჯიშოების შესრულება.

ასპექტი: თემების გეგმის ადაპტირების შემდეგ მიღებული შედეგები ინგლისური ენის I-II კურსებზე.

სტუდენტებს დაევალათ მათი მოსაზრების გამოხატვა პროგრამულ თემებზე, თუ რა კუთხით ისურვებდნენ ისინი მოცემული თემების შესწავლას მათი ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით.

მიღებული შედეგები:

I კურსი

თემები:

1. ოჯახი, ბიოგრაფია
- სტერეოტიპული ქართული და ინგლისური ოჯახები.
- ცნობილი პიროვნების (პოპ-ვარსკვლავების, კინომსახიობის, სპორტსმენის) ბიოგრაფია
- ინგლისის სამეფო ოჯახი
2. პროფესია, საქმიანობა
- სხვადასხვა პროფესიებისა და საქმიანობების აღწერა,
- ვაკანსიების მოძებნა. განაცხადის შეტანა. გასაუბრება
3. სახლი, ბინა
- ტიპიური ინგლისური და ქართული ინტერიერების დიზაინის დახასიათება და შედარება
4. საკვები და საჭმლის მიღების პერიოდები დღეში
- სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კერძები (მათ შორის ინგლისური, ქართული და სხვ.)

5. დრო და საათი (ქრონომეტრები)

- პირველი საათი და მისი წარმოშობის ისტორია

- მსოფლიოში საუკეთესო საათების შემქმნელები

6. წელიწადის დროები, ჰავა და ამინდი

- წელიწადის დროების მიხედვით ინგლისისა და საქართველოს კლიმატის შედარება

- ტროპიკული კლიმატის თავისებურებები

7. სპორტი, სპორტული თამაშობანი

- სპორტის და სპორტული თამაშობების სხვადასხვა სახეობის წარმოშობა / ისტორია

- ყველაზე პოპულარული თანამედროვე სპორტის სახეობები

- სპორტი და ფული

8. ბიბლიოთეკები და მუზეუმები

- ისტორიული, მხარეთმცოდნეობისა და სხვა განთქმული მუზეუმები

- ლექცია-ექსკურსია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და მუზეუმში.

- ინტერნეტ გვერდის მეშვეობით ინგლისის ეროვნული - ბიბლიოთეკისა და მუზეუმის დათვალიერება.

(ორივე შემთხვევაში მასწავლებელი ასრულებს გიდის როლს ზოგადი ინფორმაციით მოცემულ თემასთან დაკავშირებით).

სტუდენტებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს მონაწილეობა ამ გეგმის შედგენაში და სასწავლო პროცესშიც ახდენდნენ მის მცირე კორექტირებას. მათ სასწავლო პროცესში არ გამოუხატავთ უკმაყოფილება შესასწავლ თემატიკასთან დაკავშირებით. მუშაობა აუდიტორიასა და შინ აქტიური იყო. გარდა თემებისა, რომლებიც პროგრამის ფარგლებში "ეტეოდა", სტუდენტებმა დამატებითი თემატიკაც შეარჩიეს **დამოუკიდებელი მუშაობისათვის:**

1. შინაური ცხოველები

- ეგზოტიკური ცხოველები

- შინაური ცხოველების მოვლა (ძაღლი, კატა) და მათი ადამიანებთან ურთიერთობა

2. მცენარეები (მებაღეობა)

- ეგზოტიკური მცენარეები

- ოთახის მცენარეები, მათი მოვლის წესები და სარგებლობა

- მებაღეობა – ინგლისელთა საყვარელი საქმიანობა

3. ადამიანის სხეული

- ადამიანის სხეულის ნაწილები (მხატვრობაში ასახვა, ვარჯიშის გზით სრულყოფილი ფიგურის ჩამოყალიბება)

- სასიცოცხლო ორგანოები (მედიცინის პრობლემები, კლონირება)

4. ადამიანის გარეგნობა და ხასიათი

- რასების განმასხვავებელი გარეგნული თავისებურებები

- ამერიკელი და ინგლისელი ხალხების ხასიათთა თავისებურებები

II კურსი

თემები:

1. ტრადიციები და ჩვეულებები

- ინგლისისა და ამერიკის ტრადიციები და ჩვეულებები

- საქართველოს ტრადიციები და ჩვეულებები

2. მაღაზიები და საყიდლებზე სიარული

- მაღაზიების სტრუქტურა, ბაზრობები (ინგლისში)

3. ფული, ფოსტა და ტელეფონი

- მსოფლიოს ფულის ერთეულები. ფულის წარმოშობის ისტორია

- ტელეფონი და მისი ფუნქცია მსოფლიოში
- მობილური ტელეფონი – მისი საზოგადოებრივი როლი და გავლენა

4. ჯანმრთელობაზე
- ფოსტის სტრუქტურა და მუშაობის პრინციპები
- ელექტრონული ფოსტა
- წერილების დრო დამთავრდა?

5. საყოფაცხოვრებო მომსახურება
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგადი მიმოხილვა
- საყოფაცხოვრებო მომსახურება და სიციცხლის ხარისხი

6. ტრანსპორტი
- ტრანსპორტის სახეების ისტორია
- ავტომობილების დიზაინი და მათი შემქმნელები
- საგზაო ნიშნები

7. სამედიცინო დახმარება
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები
- ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელი წამლების

8. სახელწოდებები და მათი გამოყენება
- ხალხური და არატრადიციული მედიცინა

9. მოგზაურობა
- სამოგზაურო სააგენტოები
- მოგზაურობის დადებითი და უარყოფითი მხარეები
- ტურისტული მოგზაურობები უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში (მაგ. ეგვიპტე, საბერძნეთი)

10. ქალაქები (ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება, სასტუმროები)
- მსოფლიოში უდიდესი ქალაქების დაარსების ისტორია
- არქიტექტურული ღირსშესანიშნაობები
- მომსახურეობის დონე ძვირადღირებულ სასტუმროებში

11. გართობა (თეატრი, კინო, ფეხბურთის მატჩები და სხვ.)

- კინოსა და თეატრის წარმოშობის ისტორია
- ფილმებისა და თეატრალური წარმოდგენების ჟანრების შესწავლა

12. თავისუფალი დროის გატარება

- მეგობრებთან შეხვედრა და წვეულებები
- არდადეგების დროს გადაღებული სახალისო სურათების აღწერა
- როგორ შეიძლება კარგად გაატარო დრო იაფად

მრავალფეროვანი თემატიკის მიუხედავად სტუდენტებს უკმაყოფილება არ გამოუხატავთ. ის სტუდენტების კი, ვინც ადრე ნაკლებად იყვნენ მოტივირებულები, აქტიურად და ხალისით მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესში.

საშინაო დავალების შესრულებაში დამოუკიდებლობის დონის თანდათანობითი გაზრდა

შინ წაკითხული ტექსტის გაგებისა და შინაარსის გადმოცემის უნარი ეფექტურად მოწმდება სტუდენტების მიერ შედგენილი კითხვების შეჯერებით და შემდგომ პასუხის გაცემით. თითქმის ყველა სტუდენტი ცდილობდა ასეთ კითხვაზე პასუხი გაეცა. პირველი ეტაპისათვის სტუდენტებს შეიძლება მივაწოდოთ შესადგენ სავარჯიშოთა ვარიაციები (მრავალსახეობა):

1. Answer the questions.
2. Who said it: .....
3. Explain in English the meanings of these words and word-combinations: ....
4. Find sentences in the text to prove that ....
5. Develop these ideas: ....
6. Give the words and phrases that mean the opposite to the words below.

7. Act out the conversation between ....

8. Comment on the following.

აქედან გამომდინარე სტუდენტთა ჩართულობა სწავლის პროცესის ორგანიზებაში გაზრდის მათ აქტიურობას არა მხოლოდ გამოსაკითხი მასალის მიმართ, არამედ ჯგუფურ ინტერაქტივშიც.

მასწავლებლის როლი ამ სახის სავარჯიშოს შესრულებისას მინიმუმამდეა დაყვანილი, თუ არ ჩაითვლით მის მიერ წინასწარ შედგენილ სავარჯიშოთა ტიპების მენიუს მიწოდებას და კონსულტანტის ფუნქციას გამოკითხვისას. მსგავსი სავარჯიშოს შესრულებისას მასწავლებელი სრულ ავტონომიას ანიჭებს შემსწავლებლებს და ამავდროულად ითვისებს ფასილიტატორულ სტილსაც, რაც უცხოური ენის დაუფლების პროცესის მეტ წარმატებულობას განაპირობებს.

განვიხილოთ, მაგალითად, I კურსის სტუდენტების მიერ შედგენილი და შემდგომ ჯგუფში შეჯერებული კითხვები (Wilde O. The Happy Prince and Other Tales. The Devoted Friend. Pp. 83-101):

1.Answer the questions:

What characters take part in the story?

Who tells the story about Little Hans and Miller?

Why wasn't the Water Rat satisfied with the end of the story?

2.Who said it:

'I should expect my devoted friend to be devoted to me, of course.'

'It is quite evident that you have no sympathy in your nature.'

'I know nothing in the world that is either nobler or rarer than a devoted friendship.'

'Real friends should have everything in common.'

3.Explain in English the meanings of these words and word-combinations:

devoted

distinguished

privilege

cottage

sympathy

generous

inn

4.Find sentences in the text to prove that :

Little Hans was a devoted friend to Miller.

Miller always used to say noble ideas about friendship.

Water Rat's feelings about being married were pesimistic.

Little Hans worked hard in his garden all the year round.

5. Develop these ideas:

Hans was very proud of having a friend with such noble ideas.

Little Hans's garden was very beautiful.

Miller was a very rich but very selfish person.

6.Give the words and phrases that mean the opposite to the words below:

devoted

tiny

to set to work

merrily

refuse

to be in trouble

7.Act out the conversation between:

Water Rat and Linnet.

Water Rat and the Duck.

Miller and Little Hans in his garden.

Miller and his wife.

8.Comment on the following:

'Friendship never forgets'

'Idleness is a great sin.'

II კურსი (Maugham M. S. The Painted Veil. Pp. 56-66)

1.Answer the questions:

What was the theme of the conversation on the telephone?

Where did Kitty and Charlie decide to meet the other day?

What was Kitty afraid of?

2.Who said it:

'Heaven knows I don't want to say anything disagreable about him.'

'At all events I shall never delude myself that you are madly in love with me.

'I'm afraid I've kept you waiting.'

'Oh, yes, I think I shall go to Japan as I did last year.'

3.Explain in English the meanings of these words and word-combinations:

rickshaw

linger

to be under impression

to count on somebody

chat

survive

humiliating

4.Find sentences in the text to prove that:

Kitty came to the Victoria Road shop to meet Townsend.

She was worried that her husband had found out her secret.

Townsend considered that Walter wasn't the sort of man to make a scandal.

She almost wanted Walter to give her a divorce now.

5.Give the words and phrases that mean the opposite to the words below:

vanish

polite

to keep promise

contempt

confident

agreable

6.Act out the conversation between :

Kitty and Townsend talking on the telephone.

Kitty and Townsend in the Chinese shop.

6. Comment on the following:

'Walter knew which side his bread was buttered.'

'His shyness was a disease.'

'The love she felt for him was almost torture.'

ადეილი დასანახია, რომ სტუდენტებმა საკმაოდ პროფესიულად შეასრულეს დავალება. ენობრივი მასალის შეთვისება ლატენტურად მიმდინარეობდა, რადგან სტუდენტთა ყურადღება კონცენტრირებული იყო დავალების შედგენაზე. ამავე დროს მათი პასუხიგებლობა გაიზარდა: არავის არ უნდოდა, რომ მის მიერ შედგენილი დავალება მეგობრების შედგენილ დავალებებზე უარესი ყოფილიყო. "მასწავლებლის" როლში ყოფნის შედეგად შეძენილი ცოდნა უფრო მტკიცე აღმოჩნდა.

<u>ასპექტი: ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა</u>

(პროგრამის შემდგენი: პროფ. ლ. გოქსაძე)

ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკის ამოცანას (მოცემული ასპექტი ისწავლება I-II კურსებზე) შეადგენს არა მხოლოდ გრამატიკულ კატეგორიათა აღწერა, არამედ მათი ფუნქციონირების მექანიზმების გამოვლენა საკომუნიკაციო პროცესში. ასეთი გრამატიკა არ წარმოადგენს მხოლოდ მკაცრი გრამატიკული წესების ნუსხას, რაც ხშირად არ შეესაბამება ამა თუ იმ გრამატიკული ერთეულის რეალურ ხმარებას. ძირითადი აქცენტი გადატანილია გრამატიკულ ფორმათა ხმარების კანონზომიერებებზე, მათი საკომუნიკაციო გამიზნულობის თვალსაზრისით, ანუ

სწავლების მიმართ მიდგომა არ არის მხოლოდ სტრუქტურული, არამედ კომუნიკაციური.

პროგრამა აგებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის თანამშრომელთა მიერ გამოცემული გრამატიკული სახელმძღვანელოს მიხედვით და ითვალისწინებს ენის მაღალ დონეზე შესწავლისათვის საჭირო მოთხოვნებს.

ინგლისური ენის ზოგადი კურსი გრამატიკა (გოქსაძე ლ., ბოლქვაძე ს., ჭელიძე ქ., ყაზახაშვილი ლ., 1996) მოიცავს როგორც თეორიულ გრამატიკულ მასალას, ისე გრამატიკულ სავარჯიშოებს. თეორიული მასალის გაცნობის შემდეგ სტუდენტებს საშინაო დაევალებად ეძლევათ წიგნის მეორე ნაწილში მოცემული სავარჯიშოები. ჩვენ ვთხოვდით სტუდენტებს არა მარტო შეესრულებინათ სახელმძღვანელოში მოტანილი სავარჯიშოები, არამედ თვითონაც შეედგინათ გრამატიკული სავარჯიშოები (ვურჩევდით სტუდენტებს, წინადადებები აელოთ მხატვრული ლიტერატურიდან ან გაზეთებიდან, რათა დავალებაში არ ყოფილიყო შეცდომები). მაგალითად, თემაზე 'The Adjective' სავარჯიშოთა ტიპებია:

1. Complete the following sentences using the adjectives in comparative and superlative degrees
2. Use the following adjectives in the proper degree of comparison
3. Open the brackets putting the adjectives in the proper degree of comparison
4. Fill in the blanks with 'as – as' or 'not so – as' and adjectives in the positive or comparative degrees
5. Put these adjectives in brackets into the comparative and superlative degrees
6. Use the adjectives given in brackets to compare the following

7. Ask or write questions to which the following sentences are the answers
8. Translate into English

საშინაო დავალების შესრულებაში დამოუკიდებლობის დონის თანდათანობით გაზრდის მიზნით მიეცეთ სტუდენტებს დავალება მსგავსი ტიპის სავარჯიშოები შეედგინათ და შეესრულებინათ, ხოლო შემდგომი ეტაპისთვის დავალებების ტიპებიც სტუდენტებს შეეძლოთ თვითონ მოეფიქრებინათ.

განვიხილოთ, მაგალითად, სტუდენტების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების ანალოგიური ზოგიერთი სავარჯიშო:

1. **Put in the adjectives and write the story:**

One day , a time ago (long fine)
a girl (beautiful little)
in a coat (red)
was walking through a forest (dark) with a bag (big)
of apples (red, wonderful)
to see her grandmother. (old)
Under a tree (tall green)
she saw a wolf (big bad)
with teeth. (white long)

2. Make sentences with the Comperative Degree of adjectives and *than*, using the words given:

1.Tokyo – big – New York.
2.My sister – old – me.
3.Our new house – big – the one we used to live in.

4.Travelling by train – comfortable – travelling by bus.

5.Shopping at a supermarket – cheap – going to the local shops.

3. Complete the following. Use pronouns in the completions:

1. The children can't lift that heavy box, but Mr. Ford can. He's stronger than .....
2. Jim isn't a very good typist. I can type faster than .....
3. Ted is out of shape. I can run a lot faster and farther than .....
4. I was on time. Jack was late. I got there earlier than .....
5. Peggy is thirteen, and she feels sad. She thinks most of the other girls in school are far more popular than .....
6. My sister is only six. She's much younger than .....

4.Complete the sentences using the following adjectives in the superlative degree:

dry long cold deep salty small(x2) high large(x2) wet

- The Western Deep Gold Mine is *the deepest* mine in the world.

1.The Pacific Ocean is ..... ocean in the world.

2.Asia is ..... continent in the world.

3.Mount Everest is ..... mountain in the world.

4.The Atacama Desert is ..... desert in the world.

5.Columbia is ..... country in the world.

6.Australia is ..... continent in the world.

7.The Nile is ..... river in the world.

8.Antarctica is ..... continent in the world.

9.Tha Vatican City is ..... country in the world.

10.The Dead Sea is ..... sea in the world.

5.Complete these sentences using a superlative adjective in each one:

1. I've never heard a more ridiculous story. That's ..... story.
2. I've never had nearly such a tasty meal before. That was ..... I have ever had.
3. It's years since I saw a game as good as that. That's ..... I've seen for years.
4. We had never stayed in a more expensive hotel. It was ..... we had ever stayed in.
5. I had never had such a tiring journey before. It was ..... I had ever had.

6.Open the brackets putting the adjectives in the proper degree of comparison:

1. Your computer is ..... than mine. (modern)
2. Australia is the earth's ..... continent. (old)
3. This year's exam was ..... than last year's. (difficult)
4. He's not nearly ..... his sister. (intelligent)
5. She is a bit ..... her brother. (sensitive)
6. First class is much ..... second. (expensive)

8.Complete the sentences by using as... as:

1. A stream is usually much narrower than a river. In other words, ...
2. It's important to use your English every day. You should practice speaking English .....
3. I need you right away! Please come .....
4. I can't work any faster. I'm working .....
5. You're only old if you feel old. You are ..... young .....

6. I had expected the test to be difficult, and it was. In other words, the test w .....

9.Rewrite these sentences using as.....as:

1. Jean's mother is generous and so is Jean.
2. Our home is comfortable and so is your.
3. Last summer was very hot and so is this summer.
4. John's father is handsome and so is John.
5. Neil's brother is mischivious and so is Neil.
6. Mary drives fast and so does Helen.

9. Complete the dialogue with the adjectives in brackets:

A:What is it? Tell me!

B: If I tell you it won't be a surprise tomorrow.

A: I know but ..... Is it a record?

B: No.It's (expensive) .....

A: Really? It isn't a computer, is it?

B: You must be joking! It's (cheap) .....

A:Oh. a picture?

B: No. It's (useful) .....

A: Useful? Oh, then it must be a jacket.

B: No. It's (small) .....

A: A shirt!

B: No. It's (special) .....

A: Oh, I can't guess.

B: Good!

A: Wait! I know! It's a book—one of those big Art books.

B: No. It's (necessary).....

A: Ah. A pair of trousers?

B: No. It's (informative) .....

A: Informative? You mean it gives information. A video cassette?

B: No. It's (mechanical) .....

A: Oh, I give it up!

Can you guess what B has bought?

სტუდენტებმა განსხვავებული ტიპების სავარჯიშოებიც შეადგინეს:

11. Circle the right forms in these sentences. In some cases both forms are right:

1. Is your house much (further/farther).
2. Who is (oldest/eldest) in this class?
3. Your driving is (worse/worst) than mine.
4. Jane Somers writes (good/well).
5. This is the (more/most) expensive.
6. It's the (better/best) in the shop.

12.Error analysis: All of the following sentences contain errors. Find and correct the mistakes:

1. Alaska is largest in the states.
2. Old shoes are usually more comfortable that new shoes.
3. English is most widely used language from the world.
4. Mark's knife was as sharper from a rasor blade.
5. I like Chinese food more better than French food.
6. Mr. Molina writes the most clearly than ms. York.

II კურსზე ვთხოვეთ წინადადებების სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზისათვის შეერჩიათ პროგრამული ან სხვა მხატვრული ლიტერატურიდან მსგავსი წინადადებები.

მაგალითად: თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის უმაღლესი კურსი ტომი I (გოქსაძე ლ., მამაცაშვილი ნ., გიგინეიშვილი მ.; 1998) მოიცავს შემდეგი ტიპის სავარჯიშოს:

Unit 13

The Compound Sentence, p.185

The Subject, p.171

Possessive pronouns, p.57

a. ***He came; he saw; he conquered.***

b. ***He heard an explosion and he phoned the police.***

c. ***My hands are warm, but yours are cold.***

1.What does a compound sentence consist of ?

2. Is the sequence of clauses in a compound sentence random or not? Why?

3. What semantic implications may a compound sentence have?

4. How are these semantic implications realized?

5. What semantic implications are expressed in sentences (a), (b) and (c) and how are they realized?

6.What does the subject denote?

7. What can the subject be expressed by?

8. What does the subjects denote in these sentences and what are they expressed by?

9. To what part of speech do the words 'my' and 'yours' belong and what is the difference between them?

10. What is the difference in function between conjoint and absolute possessive pronouns?

სტუდენტების მიერ შერჩეული წინადადებები სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზისათვის:

1.*We* were sitting in a meadow, about ten yards from the water's edge, and *we* had just setted down comfortably to feed.
[West C. Selections, 1997; Collins W. The Moonstone, 44:5]

2. *He* is very kind and good, but *he* scarcly ever speaks to me.
[West C. Selections, 1997; Thackeray W. Vanity Fair 28:16]

3. *His* lips quivered and *the spectacles* were dimmed with mist.
[West C. Selections, 1997; Golding W. Lord of the Flies, 112:30]

4. *Her* voice was tremulous, and *he* did not carry.
[West C. Selections, 1997; Foster E. M. Where Angels Fear to Tread, 80:25]

5. *My* next work was to view the country and seek a proper place for *my* habitation.
[West C. Selections, 1997; Defoe D. Robinson Crusoe, 8:5]

სტუდენტებს მათ მიერ მოძიებულ წინადადებებთან ერთად ევალებათ ანალიზისათვის განკუთვნილი კითხვების მოდიფიცირება და შემდგომ მათი გარჩევა.

მივეცით სტუდენტებს ურთიერთკონტროლის საშუალებაც, ვთხოვეთ, ჩაინიშნათ არასწორად გაცემული პასუხები და შეძლებისდაგვარად გაესწორებინათ ისინი. უფრო წარმატებული სტუდენტები უზიარებდნენს თვითკორექციის ხერხებს თავიანთ ნაკლებად წარმატებულ მეგობრებს.

ურთიერთკონტროლი აშკარად სრდიდა მათ ყურადღებას, ამავე დროს მასწავლებელ უწევდა გარკვეული სამუშაოს ჩატარება, რათა ურთიერთკონტროლისას არ ყოფილიყო შელახული თვითდაჯერებულობის გრძნობა. სტუდენტები იშვიათად უშვებდნენ ერთსა და იმავე შეცდომებს, რაც ხშირად ხდება სწავლების ისეთ სისტემებში, სადაც კონტროლი და შეცდომების გასწორება მთლიანად მასწავლებლის ფუნქციაა.

3.3. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი

მაფორმირებელი ექსპერიმენტისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შევარჩიეთ სოხუმის ი. ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის პირველი-მეორე კურსის ორ-ორი ჯგუფი: ერთი – ექსპერიმენტული და მეორე – საკონტროლო (ჯგუფში 11-15, სულ 50 სტუდენტი).

ექსპერიმენტულ ჯგუფებში სწავლების ისეთ მეთოდიკას ვიყენებდით, რომელიც მაქსიმალურად უწყობდა ხელს უცხოური ენის შესწავლისას დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ხოლო საკონტროლო ჯგუფებში მუშაობა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, ანუ სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას მასში ნაკლები ყურადღება ექცეოდა და მისი სტრატეგიები მასწავლებელს შეგნებულად და სისტემატურად არ ჩამოუყალიბებია. ჩვენი აზრით, დამოუკიდებელი მუშაობის რეგულარული გამოყენება, მისი სტრატეგიების ჩამოყალიბება სტუდენტებში მასწავლებლის დახმარებით საგრძნობლად გაზრდიდა სტუდენტების მოტივაციას უცხოური ენის შესწავლისადმი და ამ შესწავლას უფრო ეფექტურად აქცევდა.

პირველ-მეორე ცხრილში მოტანილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დინამიკა.

ცხრილი I : I კურსის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება

ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი		საკონტროლო ჯგუფი	
სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში	12		13	
საგანი	I სემესტრი (ექსპერი-მენტამდე)	II სემესტრის ბოლოს (ექსპ. შემდეგ)	I სემესტრი (ექსპერი-მენტამდე)	II სემესტრის ბოლოს (ექსპ. შემდეგ)
საშინაო კითხვა:				
ფრიადი	**3**	**4**	**2**	**2**
კარგი	**5**	**7**	**5**	**4**
დამაკმაყოფილე-ბელი	**4**	**1**	**6**	**7**
საშუალო ნიშანი	**3,9**	**4,3**	**3,7**	**3,6**
სტანდარტული გადახრა	**0,84**	**0,26**	**0,68**	**0,81**
პრაქტიკული გრამატიკა:				
ფრიადი	-	**1**	-	-
კარგი	**5**	**7**	**6**	**5**
დამაკმაყოფილე-ბელი	**7**	**4**	**7**	**8**
საშუალო ნიშანი	**3,4**	**3,8**	**3,5**	**3,4**
სტანდარტული გადახრა	**0,6**	**0,15**	**0,14**	**0,36**

ზეპირმეტყველება (თემები):				
ფრიადი	**4**	**6**	**4**	**4**
კარგი	**5**	**6**	**6**	**6**
დამაკმაყოფილებელი	**3**	**-**	**3**	**3**
საშუალო ნიშანი	**4,1**	**4,5**	**4,1**	**4,1**
სტანდარტული გადახრა	**0,66**	**0,50**	**0,58**	**0,58**
ანალიზური კითხვა და ლექსიკა:				
ფრიადი	**4**	**6**	**5**	**4**
კარგი	**4**	**5**	**3**	**4**
დამაკმაყოფილებელი	**4**	**1**	**5**	**5**
საშუალო ნიშანი	**4,0**	**4,4**	**4,1**	**3,9**
სტანდარტული გადახრა	**0,82**	**0,75**	**0,20**	**0,93**
წერითი პრაქტიკა:				
ფრიადი	**1**	**2**	**-**	**-**
კარგი	**3**	**6**	**4**	**4**
დამაკმაყოფილებელი	**8**	**4**	**9**	**9**
საშუალო ნიშანი	**3,4**	**3,8**	**3,3**	**3,3**
სტანდარტული გადახრა	**0,72**	**0,85**	**0,51**	**0,51**

ცხრილი II : II კურსის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება

ჯგუფი	ექსპერიმენტული ჯგუფი		საკონტროლო ჯგუფი	
სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში	14		11	
საგანი	I სემესტრი (ექსპერი-მენტამდე)	II სემესტრის ბოლოს (ექსპ. შემდეგ)	I სემესტრი (ექსპერი-მენტამდე)	II სემესტრის ბოლოს (ექსპ. შემდეგ)
საშინაო კითხვა:				
ფრიადი	3	4	2	1
კარგი	5	7	6	6
დამაკმაყოფილე-ბელი	6	3	3	4
საშუალო ნიშანი	3,8	4,1	3,9	3,7
სტანდარტული გადახრა	0,70	0,51	0,72	0,76
გრამატიკა:				
ფრიადი	1	1	-	-
კარგი	4	8	5	5
დამაკმაყოფილე-ბელი	9	5	6	6
საშუალო ნიშანი	3,4	3,7	3,5	3,5
სტანდარტული გადახრა	0,76	0,67	0,95	0,95

ზეპირმეტყველება:				
ფრიადი	4	5	2	2
კარგი	6	9	5	4
დამაკმაყოფილე-ბელი	4	-	4	5
საშუალო ნიშანი	4,0	4,4	3,8	3,7
სტანდარტული გადახრა	0,76	0,39	0,81	0,87
ანალიზური კითხვა და ლექსიკა:				
ფრიადი	3	4	2	2
კარგი	5	8	4	5
დამაკმაყოფილე-ბელი	6	2	5	4
საშუალო ნიშანი	3.8	4,1	3,7	3,8
სტანდარტული გადახრა	0,70	0,87	0,87	0,81
წერითი პრაქტიკა:				
ფრიადი	2	3	-	-
კარგი	4	7	5	5
დამაკმაყოფილე-ბელი	8	4	6	6
საშუალო ნიშანი	3,6	3,9	3,5	3,5
სტანდარტული გადახრა	0,57	0,85	0,26	0,26

სტანდარტული გადახრა, რომელიც გამოვითვალეთ ქვემოთ მოტანილი ფორმულით, 0,14-დან 0,95-მდე მნიშვნელობებს ღებულობს,

რაც დასაშვებია ჰუმანიტარული (პედაგოგიური) კვლევისთვის. მაშასადამე, მიღებულ მონაცემებს სტატისტიკური ღირებულება აქვს.

$$\sigma = \left[\frac{\sum_i P_i E_i^2}{\sum_i P_i} - \left(\frac{\sum_i P_i E_i}{\sum_i P_i} \right)^2 \right]^{1/2}$$

სადაც σ - სტანდარტული გადახრაა,

E_i - სტუდენტის მიერ მიღებული ქულა,

P_i - სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც ასეთი ქულა მიიღეს.

ნათლად ვხედავთ, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფებში მაფორმირებელი ექსპერიმენტის შედეგად არა მხოლოდ უფრო მაღალი ნიშნები აქვთ მიღებული, ვიდრე საკონტროლო ჯგუფებში, არამედ მათი ნიშნები გაიზადრა ექსპერიმენტის დაწყების შემდეგ, როცა საკონტროლო ჯგუფებში ნიშნები უცვლელი რჩება ან მცირედ კლებულობს კიდევაც, რაც მოწმობს ჩვენი მეთოდიკის ეფექტურობას.

ჩვენ ასევე გამოვკითხეთ სტუდენტები, რამდენად შეიცვალა მათი სურვილი აქტიურად ისწავლონ უცხოური ენა, ექსპერიმენტის შედეგად. პასუხები მოტანილია მესამე ცხრილში.

ცხრილი III: სტუდენტთა გამოკითხვა ენის შესწავლის მოტივაციის თაობაზე

ჯგუფი / მოტივაცია	I კურსი, ექსპერიმენტ.	I კურსი, საკონტრ.	II კურსი, ექსპერიმენტ.	II კურსი, საკონტრ.
ექსპერიმენ-ტამდე:				
მაღალი	3	2	4	1
საშუალო	5	5	5	5
დაბალი	5	5	5	5

ექსპერიმენტის შემდეგ:				
მაღალი	5	2	7	1
საშუალო	6	4	4	4
დაბალი	2	6	3	6

ვხედავთ, რომ სტუდენტთა მოტივაცია საკონტროლო ჯგუფებში კლებულობს, როცა ექსპერიმენტულ ჯგუფებში საგრძნობლად მატულობს.

ახლა განვიხილოთ, თუ რა პასუხები მივიღეთ სტუდენტებისაგან მაფორმირებელი ექსპერიმენტის შემდეგ.

საკონტროლო ჯგუფის პასუხები:

- სტუდენტთა 65 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს სასაუბრო თემატიკის შერჩევაში, 20 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.
- სტუდენტთა 50 პროცენტს სურს წასაკითხი მასალის შერჩევაში მიიღოს მონაწილეობა, 10 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.
- სტუდენტთა 15 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების სახეების შერჩევაში, 75 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.
- სტუდენტთა 30 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების რაოდენობის შერჩევაში, 50 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 5 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების შედგენაში, 80 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.
- სტუდენტთა 25 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახდება, თუ მის დაგეგმაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 70 პროცენტს ასე არ მიაჩნია, 5 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.
- სტუდენტთა 20 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური გახდება, თუ მის დაგეგმაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 65 პროცენტს ასე არ მიაჩნია, 15 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.
- იმ სტუდენტმა, რომელმაც მიიჩნიეს, რომ სასწავლო პროცესი არ გახდება უფრო საინტერესო ან / და ეფექტური, თუ სტუდენტებიც მიიღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმაში, გვიპასუხეს, რომ დაგეგმვა მასწავლებლის (და უფრო მაღალი ინსტანციების) საქმეა, რაც მათ ინერტულობაზე და საკუთარ თავში ნაკლებ რწმენაზე მიუთითებს.
- მონოლოგური მოხსენების მომზადებისას სტუდენტთა 65 პროცენტს ურჩევნია გადაიწეროს "მზა" ტექსტი, 15 პროცენტს - შეადგინოს მოხსენება უფრო კომპეტენტური პირის დახმარებით და მხოლოდ 20 პროცენტს - თვითონ დაწეროს მოხსენება. ეს პასუხებიც იმის მაჩვენებელია, რომ სტუდენტებს საკუთარ უნარში ნაკლები რწმენა აქვთ.
- სტუდენტთა საკმაოდ მაღალმა პროცენტმა (20%) გვიპასუხა, რომ ან ძალიან უჭირთ, ან საკმაოდ უჭირთ (40%) დამოუკიდებელი კითხვა და წერა (შესაბამისად, 25% და 50%). მათ უმრავლესობამ მომდევნო კითხვაზე უპასუხეს, რომ მათ მასწავლებელს არ აუხსნია მათთვის ლექსიკონთან (80%) და წერაზე (100 %) მუშაობის შესაძლო სტრატეგიები. ამავე დროს იმ სტუდენტთა უმრავლესობამ, ვინც

გვიპასუხა, რომ არ უჭირთ დამოუკიდებელი კითხვა და წერა. აღნიშნა, რომ მასწავლებელმა გარკვეული წელილი შეიტანა მათი ლექსიკონთან მუშაობისა (60%) და წერის (40%) სტრატეგიების ჩამოყალიბებაში.

- ენაში მაღალი ნიშნის (4-5 ანუ 70-100%) მქონე სტუდენტების უმრავლესობამ (95%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლის დაყალეყის გარეშეც მუშაობენ ენის უკეთეს შეთვისებაზე. ისინი უყურებენ ტელეგადაცემებს შესასწავლ ენაზე, კითხულობენ წიგნებს, გაზეთებს, მასალებს ინტერნეტიდან, იზეპირებენ სიმღერების ტექსტებს და ა.შ.

- დაბალი ნიშნის (3 ანუ 40-69) მქონე სტუდენტების უმრავლესობამ (75%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლის დაყალების გარეშე თვითონ ვერ / არ მუშაობენ ენის შეთვისებაზე, რადგან ეზარებათ (15%), არ სცალიათ (0%), დამოუკიდებელი მუშაობა უჭირთ (60%), შეცდომების დაშვების ეშინიათ (15%), მასწავლებელმა უკეთესად იცის, რა დავალების შესრულებაა საჭირო (10%).

- სტუდენტთა 95 %-მა გვიპასუხა, რომ საკუთარი ინიციატივით არ მოუმზადებიათ მოხსენება, და მიზნად დაასახელეს, რომ უბრალოდ ეზარებათ ამის გაკეთება (15%), არ აინტერესებთ თავის ჩვენება გამოჩენა (70%), არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები (5%) და თავს არიდებენ მასწავლებლისა და ჯგუფელების კრიტიკას (10%).

- სტუდენტთა უმრავლესობამ (75%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლები არასდროს არ ავალებენ მათ მასალის ახსნას თანაჯგუფელებისთვის.

- სტუდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ შეცდომებს ენის მეცადინეობაზე ასწორებს მხოლოდ მასწავლებელი (35 %), ნაწერში მასწავლებელი ხაზს უსვამს შეცდომას, გასწორება კი მათ ევალებათ (5 %), ხან მასწავლებელი და ხან მათი ჯგუფელები ასწორებენ შეცდომებს (30 %), მასწავლებელი ანიშნებთ, რომ

შეცდომაა დაშვებული და ელოდება, სანამ ისინი თვითონ გამოასწორებენ მას (35%).

- სტუდენტთა შედარებით დაბალმა პროცენტმა (35 %) მიუთითა, რომ მასწავლებლები არ უშლიან ხელს, გამოიჩინონ ინიციატივა ხოლო საკმაოდ დიდმა ნაწილმა (65%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლები არავითარი ინიციატივის გამოჩენის საშუალებას არ აძლევენ.

- სტუდენტთა პასუხების თანახმად, პროექტზე მუშაობა ჩვენს უნივერსიტეტებში საერთოდ არ ტარდება, ხოლო კომპიუტერის საშუალებით ენის სწავლის საშუალება თითქმის არ არის (100 %) რადგან არ არის სათანადო აღჭურვილობა (100 %), მასწავლებლები არ ფლობენ სათანადო ტექნოლოგიას (სტუდენტებმა არ იციან ამ კითხვაზე პასუხი), მასწავლებლები დაბალი ანაზღაურების და / ან დიდი დატვირთვის გამო არ არიან დაინტერესებული ინოვაციების დანერგვაში (70%). საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები სტუდენტების უმრავლესობამ (100 %) უარყოფითად შეაფასა.

- ის დამოუკიდებელი დავალებები, რომლებსაც სტუდენტებს აძლევენ მასწავლებლები, სულ არ არის შემოქმედებითი (პასუხთა 30 %), შემოქმედების ცოტაოდენ საშუალებას იძლევა (50 %), საკმაოდ შემოქმედებითია (20 %).

ექსპერიმენტული ჯგუფის პასუხები:

- სტუდენტთა 80 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს სასაუბრო თემატიკის შერჩევაში, 10 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 100 პროცენტს წასაკითხი მასალის შერჩევაში მიიღოს მონაწილეობა.

- სტუდენტთა 45 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების სახეების შერჩევაში, 30 პროცენტს

არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 85 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების რაოდენობის შერჩევაში, 10 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 45 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების შედგენაში, 35 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 90 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახდება, თუ მის დაგეგმვაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 10 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

- სტუდენტთა 70 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური გახდება, თუ მის დაგეგმვაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 15 პროცენტს ასე არ მიაჩნია, 15 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

- იმ სტუდენტმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ სასწავლო პროცესი არ გახდება უფრო საინტერესო ან / და ეფექტური, თუ სტუდენტებიც მიიღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მონაწილეობას, გვიპასუხეს, რომ დაგეგმვა მასწავლებლის (და უფრო მაღალი ინსტანციების) საქმეა, რაც მათ ინერტულობაზე და საკუთარ თავში ნაკლებ რწმენაზე მიუთითებს.

- მონოლოგური მოხსენების მომზადებისას სტუდენტთა 25 პროცენტს ურჩევნია გადაიწეროს "მზა" ტექსტი, 15 პროცენტს – შეადგინოს მოხსენება უფრო კომპეტენტური პირის დახმარებით და 60 პროცენტს - თვითონ დაწეროს მოხსენება.

- სტუდენტთა საკმაოდ დაბალმა პროცენტმა (0 %) გვიპასუხა, რომ ან ძალიან უჭირთ, ან საკმაოდ უჭირთ (25 %) დამოუკიდებელი კითხვა და წერა (შესაბამისად, 0% და 30%). მომდევნო კითხვაზე

არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 85 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების რაოდენობის შერჩევაში, 10 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 45 პროცენტს სურს მონაწილეობა მიიღოს შესასრულებელი სავარჯიშოების შედგენაში, 35 პროცენტს არ სურს, დანარჩენებს კი ამ საკითხზე გარკვეული აზრი არ გააჩნიათ.

- სტუდენტთა 90 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახდება, თუ მის დაგეგმვაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 10 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

- სტუდენტთა 70 პროცენტის აზრით სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური გახდება, თუ მის დაგეგმაში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას, 15 პროცენტს ასე არ მიაჩნია, 15 პროცენტმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

- იმ სტუდენტმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ სასწავლო პროცესი არ გახდება უფრო საინტერესო ან / და ეფექტური, თუ სტუდენტებიც მიიღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მონაწილეობას, გვიპასუხეს, რომ დაგეგმვა მასწავლებლის (და უფრო მაღალი ინსტანციების) საქმეა, რაც მათ ინერტულობაზე და საკუთარ თავში ნაკლებ რწმენაზე მიუთითებს.

- მონოლოგური მოხსენების მომზადებისას სტუდენტთა 25 პროცენტს ურჩევნია გადაიწეროს "მზა" ტექსტი, 15 პროცენტს – შეადგინოს მოხსენება უფრო კომპეტენტური პირის დახმარებით და 60 პროცენტს - თვითონ დაწეროს მოხსენება.

- სტუდენტთა საკმაოდ დაბალმა პროცენტმა (0 %) გვიპასუხა, რომ ან ძალიან უჭირთ, ან საკმაოდ უჭირთ (25 %) დამოუკიდებელი კითხვა და წერა (შესაბამისად, 0% და 30%). მომდევნო კითხვაზე

პასუხისას მათ აღნიშნეს, რომ მასწავლებელმა ეფექტურად აუხსნა მათთვის ლექსიკონთან და წერაზე მუშაობის შესაძლო სტრატეგიები.

- ენაში მაღალი ნიშნის (4-5 ანუ 70-100%) მქონე სტუდენტების უმრავლესობამ (90%) გვიპასუხა, რომ მასწავლებლის დავალების გარეშეც მუშაობენ ენის უკეთეს შეთვისებაზე. ისინი უყურებენ ტელეგადაცემებს შესასწავლ ენაზე, კითხულობენ წიგნებს, გაზეთებს, მასალებს ინტერნეტიდან, იზეპირებენ სიმღერების ტექსტებს და ა.შ.

- დაბალი ნიშნის მქონე სტუდენტების (3 ანუ 40-69%) საგრძნობმა ნაწილმა (45%) გვიპასუხა, რომ დაიწყეს მასწავლებლის დავალების გარეშეც დამოუკიდებელი მუშაობა ენის შეთვისებაზე.

- სტუდენტთა 25 %-მა გვიპასუხა, რომ საკუთარი ინიციატივით მოამზადეს მოხსენება, რომელზეც მასწავლებელსაც და ჯგუფელებსაც დადებითი რექცია ჰქონდათ,

- დანარჩენმა სტუდენტებმა გვიპასუხეს, რომ ეს არ გაუკეთებიათ, რადგან უბრალოდ ეზარებათ ამის გაკეთება (15%), არ აინტერესებთ თავის ზედმეტი გამოჩენა (50%), არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები (5%) და თავს არიდებენ მასწავლებლისა და ჯგუფელების კრიტიკას (5 %).

- სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელი პერიოდულად ავალებდა მათ მასალის ახსნას თანაჯგუფელებისთვის.

- სტუდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ შეცდომებს ენის მეცადინეობაზე იშვიათად ასწორებს მასწავლებელი (10 %), ნაწერში მასწავლებელი ხაზს უსვამს შეცდომას, გასწორება კი მათ ევალებათ (45 %), ხან მასწავლებელი და ხან მათი ჯგუფელები ასწორებენ შეცდომებს (25 %), მასწავლებელი ანიშნებთ, რომ შეცდომაა დაშვებული და ელოდება, სანამ ისინი თვითონ გამოასწორებენ მას (25%).

- სტუდენტებმა გვიპასუხეს, რომ მასწავლებლები არ უშლიან ხელს, გამოიჩინონ ინიციატივა (80 %) ან უბიძგებენ, გამოიჩინონ ინიციატივა,
- სტუდენტებს პერიოდულად უტარდებოდათ პროექტებზე მუშაობა, კომპიუტერის საშუალებით ენის სწავლა რამდენიმეჯერ ჩატარდა ინტერნეტ-კაფეში,
- ის დამოუკიდებელი დავალებები, რომლებსაც სტუდენტებს აძლევენ მასწავლებლები, არის, სტუდენტთა დიდი ნაწილის აზრით (60%) შემოქმედებითი.

პასუხების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ანკეტის კითხვებზე საკონტროლო ჯგუფების პასუხები ანალოგიურ ტენდენციაზე მიგვითითებს, რაც საკონსტატაციო ექსპერიმენტში მივიღეთ, ხოლო ექსპერიმენტული ჯგუფის პასუხები მიგვითითებენ სტუდენტთა გაზრდილ ინტერესზე დამოუკიდებელი მუშაობისადმი. გარდა ამისა, მათ შეუმცირდათ შფოთვა დამოუკიდებელ მუშაობასთან დაკავშირებით და ჩამოუყალიბდათ დამოუკიდებელი მუშაობის სტრატეგიები, რაშიც მათ მასწავლებლებმა დიდი დახმარება გაუწიეს.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სტუდენტთა გაზრდილ აკადემიურ შეფასებასა და დამოუკიდებელი მუშაობის გაზრდას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. გარდა ამისა, მიღებული შედეგები ადასტურებს დამოუკიდებელი მუშაობის სტიმულირების ეფექტურობას ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით.

მაშასადამე, ექსპერიმენტულმა სამუშაოებმა რამდენიმე მიმართულებით დაგვიდასტურა ჩვენი ჰიპოთეზა დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობისა და მისი სტიმულირებისათვის აუცილებელი სტრატეგიების მნიშვნელობა.

დასკვნა-რეკომენდაციები

1. ენობრივ ფაკულტეტებზე უცხოური ენის შესწავლის პროცესში სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, ერთის მხრივ, არჩევანის თავისუფლება, მეორე მხრივ კი, პასუხისმგებლობა ახასიათებს. აუდიტორიის გარეთ (ენობრივ და კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში, შინ) მუშაობისას სტუდენტებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რა სიხშირით და რამდენი ხნის განმავლობაში იმუშაონ, რას მიაქციონ მეტი ყურადღება და რა სტრატეგიები გამოიყენონ, რამდენჯერ გაიმეორონ მასალა და რა ხერხები გამოიყენონ მასალის უკეთესი დამახსოვრების მიზნით და ა.შ. მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე, ასეთი თავისუფლება უარყოფითად მოქმედებს სწავლის ხარისხზე. სტუდენტმა თვითონ უნდა აგოს პასუხი არასწორი გადაწყვეტილების მიღებაზე და უნდა შეუმუშავდეს უნარი, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამოუკიდებელი მუშაობის საკუთარი სტრატეგია.

2. დამოუკიდებელ მუშაობას უმეტეს შემთხვევაში კრეატულობა ახასიათებს. უცხოური ენის დაუფლებისას კრეატულობა შეიძლება მიმართული იყოს თვით ენაზე (მაგალითად, საკუთარი ინიციატივით კითხვა, თემების დაწერა, თარგმანის შესრულება, შესასწავლი ენობრივი მასალის თავისებური ორგანიზება სამუშაო რვეულში, პირად ლექსიკონში, სავრჯიშოების შედგენა და ა.შ.) და უცხოურ ენაზე გამოხატულ სხვა საგნობრივ ან სპეციალურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე (სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ლიტერატურის გამოყენებითი მოხსენებების მომზადება, თვალსაჩინოების შექმნა და სხვ.)

3. უცხოური ენის შესწავლის პროცესში დამოუკიდებელი მუშაობისათვის ხელშეწყობა შემდეგში გამოიხატება:

- ერთი და იგივე მასალის შესათვისებლად სხვადასხვა ხერხების შეთავაზება მასწავლებლის მხრიდან, იმ ხერხების ხშირი გამოყენება, რომელსაც თვითონ სტუდენტები შემოგვთავაზებენ;
- უცხოურ ენაზე სხვადასხვა (მხატვრული, სამეცნიერო, საზოგადოებრივი) სახის შემოქმედებითი დავალებების მიცემა სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით;
- როგორც აუდიტორიული, ისე აუდიტორიის გარეთ მუშაობისას სტუდენტთა აზრის გათვალისწინება მუშაობის ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით;
- შფოთვის მოხსნა, მეგობრული ატმოსფეროს შექმნა; სტუდენტებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი ინიციატივა მხარდაჭერით სარგებლობს;
- "ენთუზიასტი", "იდუმალი" და "კონფორმისტი" სტუდენტებისთვის მასწავლებელი შემოქმედების ნიმუშად უნდა გამოდიოდეს;
- "მონაწილე" სტუდენტებისთვის კოლექტიური შემოქმედებისთვის ხელშეწყობა (მაგალითად, პროექტების ჯგუფური შერსულება);
- "მეამბოხე" და "კონვერჯერი" სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინდივიდუალური შემოქმედებითი კონკურსების ჩატარება;
- "კონვერციული" და "კომუნიკაციური" სტუდენტებისთვის რეალურად კომუნიკაციური დავალებების უზრუნველყოფა;
- ისეთი შემოქმედებითი დავალებების მიცემა, რომელიც ითვალისწინებს აუდიალურ, ვიზუალურ და მოძრაობით ასპექტს,
- სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა უცხოურ ენაში უნდა შეიცავდეს სიმღერების შესრულებას, თეატრალურ დადგმებს, სამეცნიერო მოხსენებებს, სტუდენტ-მასწავლებლების ანკეტირებას, კედლის გაზეთისთვის სტატიების წერას, მათ ილუსტრირებას, სხვადასხვა თემატიკაზე დისპუტების ჩატარებას და ა.შ.

4. უცხოური ენის სწავლების პროცესში დამოუკიდებლად მუშაობის ფორმებია:

ა) აუდიტორიაში მუშაობისას:

- დავალების შესრულება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში; სისწორე მოწმდება "გასაღების" დახმარებით, ურთიერთკონტროლით, ზოგიერთი მოსწავლის / წყვილის / ჯგუფის დაფასთან შემდგომი გამოძახებით, მასწავლებლის მიერ მეცადინეობის შემდეგ (თუ ეს წერითი დავალებაა),
- მასწავლებლის მიერ მოცემული ან სახელმძღვანელოში შეთავაზებული თემის / დავალების / მასალის მოდიფიცირება სტუდენტების მიერ,
- სტუდენტთა ინიციატივით წასაკითხი მასალის შერჩევა შეთავაზებულიდან და ახალი სასაუბრო თემების დასახელება.

ბ) აუდიტორიის გარეთ:

- იმ საშინაო დავალების შესრულება, რომელიც მერე აუდიტორიაში ან შინ მასწავლებლის მიერ შემოწმებული იქნება,
- ისეთი საშინაო დავალების შესრულება, რომელიც არ მოწმდება პირდაპირ (მის შესრულება-არშესრულებაზე მასწავლებელი ირიბად ხდება უნარ-ჩვევების დონის მიხედვით),
- პროექტებზე მუშაობა (სავალდებულო და ნებაყოფლობითი),
- "გასაღების" მქონე დავალებების შესრულება, ლინგაფონურ კაბინეტში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში სავალდებულო და ნებაყოფლობითი მუშაობა,
- არსებული დამატებითი სასწავლო მასალის ნებაყოფლობითი შერჩევა-გამოყენება,
- საშინაო დავალების შესრულებისას საკუთარი ინიციატივით თემატური ლექსიკის შერჩევა-დაჯგუფება, სავარჯიშოების შედგენა, შესასწავლ თემაზე დამატებითი მასალების პოვნა, შერჩევა და შედგენაც კი,

- "არასასწავლო" ფორმით მუშაობა (პოპულარული სიმღერების ტექსტის დასწავლა, დღიურის წერა, მოთხრობების წერა და ა.შ.).

5. რათა უცხოური ენის მასწავლებელმა ხელი შეუწყოს სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, ის უნდა:

- ეხმარებოდეს სტუდენტებს შეიმუშაონ დამოუკიდებელი მუშაობის სტრატეგიები,
- ახალისებდეს სტუდენტებს დამოუკიდებელ მუშაობაში მიღების შემთხვევაში,
- ითვალისწინებდეს სტუდენტთა აზრი მათი სწავლის შინაარსზე და ფორმაზე.

10. რათა სტუდენტმა წარმატებას მიაღწიოს უცხოურ ენაზე დამოუკიდებელ მუშაობაში, აუცილებელი (ან სასურველია):

- მისი მაღალი მოტივაცია,
- ზოგიერთი პიროვნული თვისება, ისეთი, როგორიცაა კომუნიკაბელურობა, დამოუკიდებლობა, კრეატულობა, ენობრივი ალღო,
- ენობრივი უნარ-ჩვევების საკმაოდ მაღალი დონე.

7. იმისათვის, რომ ჩავრთოთ სტუდენტები უცხოურ ენაზე დამოუკიდებელ მუშაობაში, აუცილებელია გამოვიყენოთ მოტივების მრავალსახეობა:

- ზოგადი ინტერესი ენისადმი, მისი დაუფლებისადმი, ამ ენის მატარებელი ერის /ერების კულტურისადმი,
- ინტერესი ენის რომელიმე ასპექტისადმი და იმ ერის (ერების) კულტურისადმი, რომელიც (რომლებიც) ამ ენის მატარებელია (მატარებლები არიან),
- რომელიმე სხვა ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებაც ძირითადად შესაძლებელია უცხოური ენის საშუალებით (მაგალითად, ინტერნეტზე მასალების მოძიება),

- ინტერესის გაზრდა სასწავლო მასალების მაღალი ხარისხის ხარჯზე,
- მასწავლებლის პატივისცემა და მასწავლებლის დადებითი განწყობა სტუდენტისადმი,
- ჯგუფელების წინაშე თავის გამოჩენა ან, პირიქით, მათი დაცინვის შიში,
- ჯგუფელებთან თანამშრომლობა და შეჯიბრი,
- სასწავლო პროცესში სტუდენტის როლის გაზრდა (მასალების და დავალების ფორმის არჩევის შესაძლებლობა, ინიციატივის დაფასება),
- დავალების საინტერესო ფორმა,
- უკუკავშირის უზრუნველყოფა ყველა იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტი გრძნობს ამის საჭიროებას,
- კომფორტული გარემოს შექმნა (შფოთვის მინიმუმამდე დაყვანა, მასწავლებლისა და თანაჯგუფელების მხარდაჭერა),
- წარმატების გამოცდილება (დავალებების სირთულის შესაბამისობა სტუდენტთა ენობრივი და ზოგადინტელექტუალური დონისადმი – "ცოტა მეტის" მოთხოვნა, ვიდრე სტუდენტმა იცის), წარმატებაზე (და არა ჩავარდნაზე) ყურადღების გამახვილება, შექება და სხვა სახის დაჯილდოება.
- დიპლომის მიღების საჭიროება,
- მომავალ დასაქმებაზე ზრუნვა,
- უცხოური ენის სხვა პრაქტიკულ გამოყენებაზე ზრუნვა (ბიზნესში, მოგზაურობისას და ა.შ.).

8. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა უცხოური ენის სწავლისა ზრდის არა მხოლოდ ენაზე მუშაობის დროს, არამედ მის ეფექტურობას (სტუდენტებს უყალიბდებათ სწავლის სტრატეგიები).

ლიტერატურა:

1. ალხაზიშვილი ა. უცხოური ენების სწავლება ფსიქოლოგიის მონაცემთა საფუძველზე. თბილისი. "ენა და კულტურა". 1997.
2. განათლების ფსიქოლოგია. შედგენილია ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის წევრების მიერ. თბილისი. 2005.
3. გოქსაძე ლ. ინგლისური ენის ზოგადი კურსი. გრამატიკა. II ნაწილი. თსუ, თბილისი. 1996.
4. დანელია, ი. ინგლისურენოვან მხატვრულ ტექსტზე მუშაობის მეთოდიკა უმაღლესი სასწავლებლების ენობრივ ფაკულტეტებზე. ავტორეფერატი საკანდიდატო დის. თბ. 2006
5. იმედაძე ი. ფსიქოლოგიის საფუძვლები. "ენა და კულტურა" 2005.
6. მალაზონია შ. პედაგოგიკა. თბილისი. 2001.
7. ძირითადი უცხო ენა. ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი. პროგრამა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თსუ. თბილისი. 1998.
8. Под ред. О.В. Афанасьевой Enjoyable English Classics. «Русское Слово» Москва. 1999.
9. Викеева А.С. Некоторые приёмы развития творческих способностей учащихся на уроках иностранного языка. Иностранные Языки в Школе. 2'2005. ст. 37-41.
10. Кирякова А.В. Ориентация школьников на социально значимые ценности: Учеб. пособие. Л. 1991.
11. Крайг Г. Психология развития. СПб.: Питер. 2002-992с.
12. Кон И.С. Психология ранней юности. М.: Просвещение, 1989.
13. Купрянова Г.В. Групповая и самостоятельная работа учащихся при освоении грамматики. Иностранные Языки в Школе. 6'2001. ст.26-32.

14. Москалева И.С. Голубева С.П. Использование компьютерных технологий для профессиональной подготовки учителей иностранного языка. Иностранные Языки в Школе. 1'2005. ст. 83-87.
15. Мухина В.С. Возрастная психология феноменология развития, детство, отрочество. М., 1997.
16. Под редакцией А.А. Реана. Психология человека от рождения до смерти. СПб, Праим-Еврознак, 2001.
17. Теслина О.В. Проектные формы работы на уроке английского языка. Иностранные Языки в Школе. 3'2002. ст. 41-45.
18. Acklam R. with Burgess S. First Certificate Gold. Longman. 2004.
19. Ajzen I. Attitudes, Personality and Behaviour. Chicago: Dorsey Press. 1988.
20. Alexander L. G. Essay and Letter Writing. Longman. 1997.
21. Ames C. Classrooms, goals, structure and student motivation. Journal of Educational Psychology. 1992. 84, 267-271.
22. Atkinson J. W. and Raynor J. O. (Eds) Motivation and Achievement. Washington, DC: Winston and Sons. 1974.
23. Azar B. S. Fundamentals of English Grammar. 2nd Ed. Pearson Education. 1996.
24. Bandura A. Self-Efficacy: The Exercise of Control. New York: Freeman. 1997.
25. Batt C. I have seen the future and It works. 1998. www.ariadne.ac.uk/issue18/batt.
26. Benson P. Teaching and Researching Autonomy in Language Learning. Harlow: Longman. 2001.
27. Brindley G. Needs Analysis and Objective Setting in the Adult Migrant Education Program. Sydney: NSW Adult Migrant Education Service. 1984.
28. Brophy J. E. Toward a model of the value aspects of motivation in education: Developing appreciating for particular learning domains and activities. Educational Psychologist. 1999.

29. Brown J. D. The Elements of Language Curriculum. Heinle and Heinle Publishers. 1995.
30. Brown J. D. Understanding Research in Second Language Learning. CUP. 1988.
31. Brown H. D. A Practical Guide to Language Learning: Fifteen-Week Program of Srategies for Success. Boston, MA: McGraw-Hill. 1989.
32. Brown H. D. Principles of Language Learning and Teaching. Pearson Education LTd. 2000.
33. Brundage D. H. and Mackeracher D. Adult Learning Principles and their Application to Program Planning. Ontario: Ontario Institute for Studies in Education. 1980.
34. Bundy A. Lifelong Learning and Public Libraries. Australian Public Libraries and Information Services, 1999, 12/30, P. 95.
35. Celce-Murcia M. Teaching English as a second or Foreign Language. Heinle and Heinle Publishers. 1991.
36. Christison M. A. Applying Multiple Intelligences Theory in Preservice and Inservice TEFL Education Programs. English Teaching Forum, Vol. 36. No. 2 Apr-Jun, 1998, 2-13.
37. Clement R. Ethnicity, contact and communicative competence in a second language. Oxford: Pergamon. 1980, 147-154.
38. Clement R. Dornyei Z. and Noels K. A. Motivation, self-confidence and cohesion in the foreign language classroom. Language Learning. 1994, 44, 417-448.
39. Cobuild C. Student's Grammar In Use. CUP. 1988.
40. Collie J. Slater S. Cambridge Skills for Fluency. CUP. 1992.
41. Corno E. Modern conceptions of volition and educational research. - Educational researcher, 1993, 22, 14 – 22.
42. Covington M. Making the grade: A Self-Worth Perspective on Motivation and School Reform. CUP. 1992.

43. Covington M. V. and Teel K. M. Overcoming Student Failure: Changing Motives and Incentives for Learning. Washington D. C.: American Psychological Association. 1996.
44. Covington M. V. The Will to Learn: A Guide for Motivating Young People. CUP, 1998.
45. Crookes G. and Schmidt R. W. Motivation: Reopening the research agenda. Language Learning. 1991. 41, 469-512.
46. D'Arcy A. V. Practice Your Comparatives. Longman. 1990.
47. Deci E. L. and Ryan R> M. Intrinsic Motivation and Self-Determination in Human Behaviour. New York: Plenum. 1985.
48. Dobson M. J. Effective Techniques for English Conversation Groups. Third USIA reprinting. 1992.
49. Doghonadze N. Methods of teaching Languages as the Guidelines of Creation EFL Textbooks. Tbilisi. 1996.
50. Dornyei Z. Motivational Strategies in the Language Classroom, CUP, 2001.
51. Doughty M. A wide view from a high place, Public Library Journal, 1999. 14(4), 86-90.
52. Eagly A. H. and Chaiken S. The Psychology of Attitudes. New York: Harcourt Brace. 1993.
53. Fengying M. Motivating Students by Modifying Evaluation Methods. English Teaching Forum, Vol. 41. No. 1 Jan 2003. 38-41.
54. Fryer R. H. Learning for the twenty-first century. First report of the National Advisory Group for Continuous Education and Lifelong Learning. 1997 www.lifelonglearning.co.uk/nagcell/index/htm
55. Gardner H. Multiple Intelligences: The Theory of Practice. Basic Books. 1993.
56. Gardner H. Frames of Mind: The Theory of Multiple Intelligences. Basic Books. 1983.

57. Gardner R.C. Social psychological aspects of second language acquisition In H. Giles and R. St. Clair. (Eds.)Language and Social Psychology. Oxford: Blackwell, 1979. 193-220.
58. Goksadze L. An Advanced Course in Current English Grammar. Volume I. TUP. Tbilisi. 1998.
59. Gierse C. Ideas on how to motivate learners independence. Modern English Teacher, Vol. 2. No. 4. October, 1993. 57-60.
60. Goleman D. Emotional Intelligences. Why Can it Matter More than IQ? Bloomsbury. 1996.
61. Hadley A. O. Teaching Language in Context. Heinle and Neinle Publishers. 1993.
62. Harmer J. The Practice of English Language Teaching. PEL. 2001.
63. Heron J. The Facilitator's Handbook", London: Kogan Page, 1989.
64. Hover D. Think Twice. CUP. 1990.
65. Hughes G. S. A Handbook of Classroom English. OUP. 2000.
66. Edited by Kral Th. Teacher Development. Making the Right Moves. English Teaching Forum. 1989-1993.
67. Jing H. English Corner and EFL Extracurricular Writing. English Teaching Forum, Vol. 36. No. 2 Apr-Jun, 1998, 29-30.
68. Kuhl J. Motivation, Intention and Volition. Berlin: Springer. 1987. 279-291.
69. Lightbown P.M. Spada N. How languages are learned. OUP. 1993.
70. Locke E. A. and Latham G. P. A Theory of Goal Setting and Task Performance. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall. 1990.
71. Lopez C. Motivating EFL Learners. English Teaching Forum, Vol. 37. No. 2 Apr-Jun, 1999, 17-18.
72. MacIntyre P. D. Language anxiety: A review of the research for language teachers. Affect in Foreign Language and Second Language Learning. Boston. MA: McGraw-Hill. 1995. 24-45.
73. Malcolm D. and Rindfleisch W. Individualising Learning Through Self-Directed Projects. English Teaching Forum, Vol. 41. No.3 July 2003. 10-15.

74. Maslow A. H. Motivation and personality (2nd ed.) New York. Harper and Row. 1970.
75. Maugham W. S. The Painted Veil. «Киев. Знання». 1999.
76. Mekay S. L. Sociolinguistics and Language Teaching. CUP. 1996.
77. Murphy R. English Grammar In Use. CUP. 1988.
78. Nguyen Thi Cam Le. From Passive Participant to Active Thinker. A Learner-Centered Approach to Materials Development. English Teaching Forum, Vol. 43. No. 3, 2005. 2-9.
79. Nunan D. The Learner-Centered Curriculum. CUP. 1988.
80. O'Malley J. Learning Strategies in Second Language Acquisition. CUP.1990.
81. Oskarsson M. Approaches to Self-Assessment in Foreign Language Learning. Oxford: Pergamon. 1980.
82. Raffini J. P. Winners without Losers: Structures and Strategies for Increasing Student Motivation to Learn. Needham Heights, MA: allyn and Bacon. 1993.
83. Ramsey G. Images. Longman. 1990.
84. Edited by Reid M. J. Understanding Learning Styles in the Second Language Classroom. Prentice Hall Regents. 1998.
85. Scharle A. and Szabo A. Learner Autonomy, CUP, 2000.
86. Scheidecker D. and W. Freeman How Legendary Teachers Motivate Kids. Thousand Oaks, CA: Corwin Press. 1999.
87. Seidl J. Grammar Two. OUP. 1996.
88. Swan M. Walter C. The Good Grammar. HarperCollins Publishers. 1992.
89. Thornbury S. How to Teach Grammar. Pearson Education Limited. 1999.
90. Ur P. A Course in Language Teaching. Practice and Theory. CUP. 1991.
91. Ur P. and Wright A. Five-Minute Activities. CUP. 1998.
92. Ur P. Grammar Practice Activities. A practical guide for teacher. CUP. 1988.
93. Ushida E. Learner Autonomy 5: The Role of Motivation. Dublin: Authentik. 1996.
94. Valdez M. G. How Learners' Needs Affect Syllabus Design. English Teaching Forum, Vol. 37. No. 1 Jan-Mar, 1999, 30-31.

95. Vallerand R. J. Toward a Hierarchical model of intrinsic and extrinsic motivation. Advances in Experimental Social Psychology. 1997.
96. Walker E. Elsworth S. Grammar Practice. Pearson Education Limited. 2000.
97. Warschauer M. Shetzer H. Meloni Ch. Internet for English Teaching. The U. S. Department of State through special arrangement with TESOL. 2002.
98. Weiner B. Human Motivation: Metaphors, Theories and Research. Newbury Park, CA: Sage. 1992.
99. Weiner B. Integrating social and personal Theories of achievement motivation. Review of Educational Research. 1994. 64, 557-573.
100. Wentzel K. R. Social-Motivational processes and interpersonal relationships: Implications for understanding motivation at school. Journal of Educational Psychology. 1999. 91, 76-97.
101. West C. Selections. Georgian Press (Jersey) Limited. 1997.
102. Wilde O. The Happy Prince and Other Tales. Москва «Глосса». 1998.
103. Williams M. Motivation in Foreign and Second Language Learning: An interactive perspective. Educational and Child Psychology, 1994. 11, 77-84.
104. Williams, M. and R. Burden. Psychology for Language Learners. CUP, 1997.
105. Willing K. Learning Styles in Adult Migrant Education. Adult Migrant Education Programme: Adelaide. 1987.
106. Willing K. Teaching How to learn, Learning Strategies in ESL. National Centre for English Language Teaching and Research. Macquarie University. 1989.
107. Wisniewska I. Designing Materials for Teacher Autonomy. English Teaching Forum, Vol. 36. No. 2 Apr-Jun, 1998, 24-27.
108. Wright T. Roles of Teachers and Learners. OUP. 1987.